ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

18 ივლისი ორშაბათი 2011
№ 166 (13 463) ფასი 80 თეთრი



# საქართველო კარგად მიდის

**ჩვენმა კალათბურთელებმა ჯგუფში პირველობა დაიბევეს. შაბათს პოლონეთს 76:69 მოუგეს, გუშინ კი ესტონეთიც დაამარცხეს - 88:87**

12

# COPA APOC ALIPSIS

## გააჩერეთ დედამიწა! რა ხდება?

### სელესაოში ჩუქჩები თამაშობენ

### შერცხვენილ არგენტინაში ბრაზილია უარესად შერცხვა: 4 პენალტიდან 3 კარს ააცილა!

კოპა ამერიკაზე დრამა დატრიალდა - ტურნირი არგენტინისა და ბრაზილიის გარეშე გრძელდება! ორივე გუნდი პენალტების სერიით დაეთხოვა ტურნირს. ის, რაც ბრაზილიელებს შეემთხვათ, ერთობ იშვიათია - მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა... ოთხიდან ოთხი პენალტი გააფუჭეს!

დიდი სამხრეთამერიკული დერბი არგენტინასა და ურუგვაის შორის, **სერხიო ბატისტას** გუნდისთვის ცუდად დასრულდა, ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ვერც დამატებულმა ტაიმებმა, პენალტების სერიაში კი სტუმართა მეკარე **მუსლერამ კარლოს ტევესს** აუღო და... „სელესტე" ნახევარფინალშია, „ალბი სელესტე" კი დაეთხოვა კოპას. ურუგვაის ნახევარფინალში მოულოდნელი მეტოქე, პერუ ელის. პერუმ დამატებით დროში ორი უპასუხო გოლი გაუტანა თითქოსდა ფავორიტ კოლუმბიას, რომელთა ნაქებმა ფორვარდმა **რადამელ ფალკაომ** მანამდე პენალტი ვერ გაიტანა.

წუხელ მეორე ნახევარფინალური წყვილი გაირკვა - ის, რაც ბრაზილიას დაემართა, ძნელად შეიძლება მოეძებნოს ანალოგი მსოფლიო ფეხბურთში. პარაგვაელებმა ფავორიტის შეტევებს 120 წუთი გაუძლეს, შემდეგ კი პენალტების სერია 2:0 მოუგეს, იმიტომ რომ... ბრაზილიელებს გოლის გატანის ეს ხერხი არ სცოდნიათ.

**ნახევარფინალი**

20 ივლისი, 04:45, ლა პლატა

**პერუ-ურუგვაი**

21 ივლისი, 04:45, მენდოსა

**პარაგვაი-ვენესუელა**

შაბათის გამართული ნახევარფინალები 8

**ბრაზილია 0 0 პარაგვაი**

**პენალტებით 0:2**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სილვა, სანტოსი - ლუკას ლეივა, რამირესი, განსო (100. ლუკასი) - რობინიო, პატო (111. ელანო), ნეიმარი (80. ფრედი).

**პარაგვაი:** ვილარი - ალკარასი, ვერონი, და სილვა, ტორესი (71. მარეკოსი) - ვერა (63. ბარეტო), რივეროსი, კასერესი, ესტიგარიბია - ვალდესი, ბარიოსი (83. პერესი).

**გაძევება:** ლუკას ლეივა (103), ალკარასი (103)



**ჩილე 1 2 ვენესუელა**

**ჩილე:** ბრავო - კონტრერასი, პონსე, ხარა (61. პარედესი) - ისლა, მედელი, კარმონა (46. ვალდივია), ვიდალი - ხიმენესი (84. მუნიოსი)- სანჩესი, სუასო.

**ვენესუელა:** ვეგა - როსალესი, პეროსო, ვისკარონდო, ჩიჩერო - გონსალესი (89. მორენო), ლუსენა, რინკონი, არანგო - მიკუ (60. რონდონი), მალდონადო (65 სეიხასი).

**გოლები:** 0:1 ვისკარონდო (35). 1:1 სუასო (70), 1:2 სიჩერო (81).
**გაძევება:** მედელი (83). რინკონი (90+4)



35 წლის წინათ, 1976 წლის 17 ივლისს მონრეალში საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის XXI ოლიმპიური თამაშები. სსრ კავშირის სპორტულ დელეგაციაში გამოდიოდა 11 სპორტსმენი, რომელთაგან მედალი ექვსმა მოიპოვა. ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა, სამხტომი), ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი), ვერცხლის მედალს დაეუფლა რამაზ ხარშილაძე (ძიუდო), ბრინჯაოსსას — მიხეილ ქორქია (კალათბურთი) და შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო).



# პროტესტი

აქ უნდა ყოფილიყო ფოტო...

## დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ჟურნალისტურ გაერთიანებებს, საქართველოს ხელისუფლებას, საზოგადოებას...

უკვე კვირაზე მეტია, არ წყდება ჟურნალისტების საპროტესტო აქციები.

ქართველი ფოტორეპორტიორები - გია აბდალაძე, ირაკლი გედენიძე და ზურაბ ქურციკიძე - კვლავ პატიმრობაში რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბრალის დამადასტურებელი ფაქტობრივი მტკიცებულებები წარმოდგენილი დღემდე არ ყოფილა.

საეჭვო ვითარებაში, იძულებით მიღებული აღიარებები ვერ გვარწმუნებენ ფოტორეპორტიორების ჯაშუშობაში.

ამ ადამიანების ღამეულმა დაკავებებმა, მათ მიმართ განხორციელებულმა საპროცესო ქმედებებმა, საქმის მასალების გასაიდუმლოებამ, ჟურნალისტების საპროტესტო აქციებისა და შეკითხვების მიმართ ხელისუფლების ცინიკურმა დამოკიდებულებამ და სატელევიზიო ინსინუაციებმა, დამოუკიდებელი მედიის და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. ჩვენ მომხდარს აღვიქვამთ, როგორც შურისძიებას და დევნას სიმართლის ასახვისათვის რაც ხელისუფლების მიერ დემოკრატიულ განვითარებაზე ფაქტობრივად უარის თქმას ნიშნავს.

მიგვაჩნია, რომ ასეთი ქმედებები, რომელზეც პასუხისმგებლობა ეკისრება პირველ რიგში პრეზიდენტს და ძალოვანი უწყებების პირველ პირებს, ლახავს ჩვენი, როგორც მედიის წარმომადგენლების უფლებებს, და უდიდეს ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს.

მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ჟურნალისტურ გაერთიანებებს, არ მოადუნონ ყურადღება ამ საქმესთან დაკავშირებით.

მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას, გაითვალისწინოს ჟურნალისტებისა და საზოგადო მოღვაწეების წერილობითი შუამდგომლობა და თავდებით გაათავისუფლოს გია აბდალაძე, ირაკლი გედენიძე და ზურაბ ქურციკიძე. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საჯარო გახადონ საქმის მასალები. შეწყვიტოს ჟურნალისტების დევნა მათი პროფესიული საქმიანობის გამო.

**ასოციაციები, გაზეთები, ჟურნალები, სააგენტოები:**

1. საქართველოს პრესის ასოციაცია
2. საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია
3. საქართველოს რეგიონალ მაუწყებელ ასოციაცია
4. ასავალ-დასავალი
5. ახალი თაობა
6. კვირის პალიტრა
7. რეზონანსი
8. ალია
9. ქრონიკა
10. ვერსია
11. ოლიმპი
12. საქართველოს რესპუბლიკა
13. დრონი
14. ფაინენშელი
15. მესენჯერი
16. ნეტგაზეთი
17. ყველა სიახლე
18. ლელო
19. სარკე
20. თბილისელები
21. რეიტინგი
22. გზა
23. ლიბერალი
24. გურია ნიუსი
25. ბათუმელები
26. კახეთის საინფორმაციო ცენტრი
27. მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი
28. თავისუფალი სიტყვა
29. მთავარი თემა სამეგრელოში
30. ქართლის ხმა
31. ჩემი ხარაგაული
32. ალიონი
33. ლანჩხუთი პლუსი
34. რუსთავის ამბები
35. ახალი გაზეთი
36. სამხრეთის კარიბჭე
37. პო და არა
38. ინტერპრესნიუსი
39. პირველი
40. ჯი-ეიჩ-ენი
41. მედიანიუსი
42. მედია.ჯე
43. პრესაგე.ტვ

*ხელმოწერები გრძელდება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● ინტერვიუ



რამდენიმე წლის წინ, როდესაც გიორგი დევდარიანი უმაღლესლიგელი "თბილისის" მთავარი მწვრთნელი იყო და მისი გუნდის სანახავად ხალხი სტადიონზე სიამოვნებით დადიოდა, ყველასათვის მოულოდნელად იგი ბავშვთა ფეხბურთში დაბრუნდა.

ინვალა, იშრომა და კიდევ ერთი თაობა გაზარდა, რომელიც დღეს 19-წლამდელთა ნაკრების ბირთვს შეადგენს, ორი (გიორგი ჭანტურია, ვალერი ყაზაიშვილი) ჰოლანდიის ერედივიზიონის "ვიტესში" მიიწვიეს, ცხრა – "დინამო 2"-ში, ზოგიც – გორის "დილასა" და "ზესტაფონში".

მოკლედ, ბავშვთა ფეხბურთში დევდარიანი ისე გამოჩნდა, ბევრი უმაღლეს ლიგაში რომ ვერ ახერხებს. თუმცა, უმაღლესი ლიგის გუნდების მიწვევების მიუხედავად, თბილისის "დინამო 2"-ის მთავარ მწვრთნელად მუშაობა ამჯობინა.

გიორგი დევდარიანთან სალაპარაკო დაგვიგროვდა: რატომ თბილისის "დინამო 2" და არა უმაღლესი ლიგა, როგორ ემზადება 19-წლამდელთა ნაკრები ჩრდილოეთ ირლანდიაში დაგეგმილი ტურნირისთვის და, რაც მთავარია, თავად მწვრთნელია საინტერესო — ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მისი ყველა გაზრდილი ნაკრებში თამაშობს...

# გიორგი დევდარიანის ორი საქმე და ერთი ამოცანა: გავზარდოთ ქართველები!

## დანაკლისი სერიოზულია, მაგრამ ჩრდილოეთ ირლანდიაში ჩრდილში ყოფნას არ ვაპირებთ

- ორი კვირაა, რაც "დინამო 2"-ის მთავარ მწვრთნელად დამნიშნეს და ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ. ბაზის გარემონტებამდე გუნდი ოლიმპიური მომზადების ცენტრში ვარჯიშობს. ჩემი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი მივაწოდო პირველ გუნდს. შევეცდები, ეს ამოცანა ისე გადავჭრა, როგორც ქართულ ფეხბურთსა და "დინამოს" ეკადრება.

"საბურთალოდან" გადმოვიყვანე 19-წლამდელთა ნაკრების 9 ფეხბურთელი, ნიჭიერი მოთამაშეები გუნდშიც დამხვდნენ, შერჩევებიც გვქონდა და 22 საუკეთესო დავიტოვეთ. ასაკიც გავითვალისწინეთ – 1992 წლიანებზე უფროსი მხოლოდ გველესიანია, ნიჭიერი ბიჭია და თავის გამოჩენის საშუალება მივეცით.

**- კარგია, რომ ნაკრების ცხრა კანდიდატი "დინამო 2"-თან ერთად მოემზადება, მაგრამ ელიტრაუნდის შემდეგ წელიწადნახევრიანი სანაკრებო პაუზა გქონდათ, ეს პატარა დრო არ არის და კანდიდატებს სად აკვირდებოდით?**

- ჩვენ ხომ ბოლნისის "სიონში" ვთამაშობდით და ყველა გუნდს ოთხჯერ შევხვდით, ცხადია, ბავშვებს გულდასმით ვაკვირდებოდი. ამას გარდა, დუბლების ტური ორ დღეზე იყო განაწილებული და მაქსიმალური რაოდენობის შეხვედრებს ვესწრებოდი. უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელებზეც ვაგროვებდი ინფორმაციებს...

**- კვირას 19-წლამდელების შეკრება დაიწყო, 23 ივლისს კი ჩრდილოეთ ირლანდიაში ტურნირი იწყება. სრული შემადგენლობით ითამაშებთ?**

- ძალიან დასანანია, რომ რამდენიმე ლიდერი ვერ დაგვეხმარება: ყაზაიშვილი და ჭანტურია "ვიტესის" მთავარ გუნდს შეკრებაზე მიჰყვებიან; "ორჰუსის" ძირითადში გადაიყვანეს და შეკრებაზეა დავით სხირტლაძეც, ცოტნე ხარაბაძე ქუთაისის "ტორპედოში" ემზადება, ბაჩო არაბული საოპერაციაო და გერმანიაში უნდა გაემგზავროს. დავით ხოჭოლავამ მყესი გაიწყვიტა...

**- ექვსი წამყვანი მოთამაშის არყოფნა სერიოზული დანაკლისია და გუნდს დაეტყობა.**

- ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ ხოჭოლავა ტრავმას გამგზავრებამდე მოიშუშებს, მაგრამ ხუთი მოთამაშის არყოფნა, მართლაც დაგვეტყობა. ამას გარდა, ტურნირი ერთი წლით უფროსი ნაკრებებისთვის ტარდება. შევეცდებით, თავი არ შევირცხვინოთ, მაგრამ ტურნირს უფრო შერჩევის ხასიათი ექნება, ვისაც ნაკრებში თამაშის ამბიცია აქვს, შეუძლია, თავისი პრეტენზია საქმით დაამტკიცოს. გამგზავრებამდე კი საკონტროლო შეხვედრის ჩატარებას ვეცდებით.

სხვათა შორის, ძალიან მინდოდა საფრანგეთში მოთამაშე ენუქიძის ნახვა, მაგრამ საპასპორტო პრობლემის გამო ვერ ჩამოდის, აქუბარდია კიევის "დინამოშია", გუნდსაც დავუკავშირდით და ოჯახსაც, ამბობენ, რომ ჩამოსვლა უნდა, მაგრამ ვერ ჩამოვიყვანეთ. მსურდა, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა ყაზანის "რუბინიდან" მერაბ ურიდიას გამოძახებაც.

დავიმატეთ 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი ნიკა სანდოხაძე. "დინამოდან" ავიყვანე თედო კაკულია, რომელიც ადრეც მომწონდა, მაგრამ ელიტდრაუნდის 18-კაციან განაცხადში ფიზიკური მომზადების პრობლემების გამო ვერ მოხვდა. ზოგიერთი ბავშვი ასეა, სიმწიფეს მოგვიანებით აღწევს. ასევე „დინამოში" დამხვდა და მომეწონა ბუბა რუხაძე, „ვიტ ჯორჯიადან" გიორგი კალანდია დავიმატეთ, ახალია გიორგი ქვილითაიაც.

"საბურთალოზეც" მსურს ვთქვა, სადაც წლები ვიმუშავე – ექვსი კვირაა, შეკრებაზე ვართ და პირველი ოთხი კვირა სკოლა გვაფინანსებდა. მერე "დინამოში" გადავედი, მაგრამ იქ დავტოვე მეგობრები, რომლებიც სკოლასთან ერთად ქართულ ფეხბურთზე ზრუნავენ. ყოველთვის ვიქნები მათი გულშემატკივარი, რადგან ბოლო წლებში ნაკრებს ძალიან ბევრი ფეხბურთელი აღვუზარდეთ.

აქვე ვიტყვი, რომ თავის გამოჩენის საშუალება ყველას აქვს და მხოლოდ დინამოელებით არ შემოვიფარგლები. ნაკრებში ყველა ღირსეული მოხვდება.

**- დროის გადანაწილებას კლუბსა და ნაკრებზე როგორ ახერხებთ?**

- კლუბში ხელს მიწყობენ. ამას გარდა, ის ორი კვირა, რომელსაც ნაკრებთან გავატარებ, "დინამო 2"-ს თემურ შალამბერიძე, მეკარეთა მწვრთნელი გიორგი მაკასარაშვილი და ფიზმომზადების მწვრთნელი ივანე ლუცენკო მიხედავენ, რომლებსაც სავსებით ვენდობი.

**- უმაღლესი ლიგის გუნდები გიწვევდნენ, თქვენ კი რატომღაც "დინამო 2" ჩაიბარეთ.**

- მიწვევები მართლაც მქონდა, მაგრამ ჩემთვის პრიორიტეტული სანაკრებო მუშაობაა, მინდა, ამ ბიჭებთან ერთად კარგი შედეგები ვაჩვენოთ ევროპის ჩემპიონატზე. ორივე საქმეს კი სხვაგან ვერ შევითავსებდი. "დინამო 2"-ში ეს შესაძლებელია, რადგან ნაკრების ცხრა კანდიდატი აქ თამაშობს. სხვათა შორის, "დინამომ" გაითვალიწინა ნაკრების ინტერესები და შეკრებაზე არადინამოელების მიწვევის საშუალებაც მოგვცა. კლუბს იოლად იმიტომაც შევუთანხმდი, რომ ნაკრების ინტერესებს ითვალისწინებს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

## მოულოდნელი ჩირიკაშვილი:

# აქ დაკარგული შვეიცარიაში გამოჩნდა

**"კლაუს ტოპმიოლერმა** ეროვნული ნაკრების გაფართოებულ სიაში შემიყვანა და მალტის ტურნირზეც წამიყვანა. ვფიქრობ, ჯერ ყველაფერი წინაა და გამართლება-არგამართლებაზე ლაპარაკი ნაადრევია. ახალგაზრდა ვარ და კარიერაზე ხელი არ ჩამიქნევია. ადამიანს შრომა ადრე თუ გვიან დაუფასდება. თუ არ იზარმაცებ, წესით, ყველაფერი გამოგივა" – უთხრა **ირაკლი ჩირიკაშვილმა** "ლელოს" შარშან, 1 დეკემბერს, როდესაც უგუნდოდ იყო და ასე ყველაფერი აგიხდეთ – "რადიო ჟენევას" ცნობით, შვეიცარიული სუპერლიგის ნეუშატელის "ქსამაქსის" პრეზიდენტმა **ევგენი რუდაკოვმა** დაადასტურა ორი ბრაზილიელისა და ბოლნისის "სიონის" ნახევარმცველ ჩირიკაშვილის დამატება. ირაკლიმ დაბადების დღისთვის (15 ივლისს 24 წლის გახდა) მშვენიერი საჩუქარი მიიღო.

"არკ ინფო" იუწყება, რომ 24 წლის ქართველზე კვირანახევარიანი დაკვირვების შემდეგ "ქსამაქსმა" მასთან ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა. სამეული მედიას უკვე წარუდგინეს.

... ირაკლი თბილისის „დინამოში" 18 წლისა გამოჩნდა. ნახევარმცველი **კახა ცხადაძემ** დააწინაურა და ძირითადში თავის გამოჩენის შანსს აძლევდა. მაგრამ "თანამეგობრობის თასის" მერე ცხადაძე გუნდიდან წავიდა და მის ნაცვლად დანიშნულმა **ანდრეი ჩერნიშოვმა** ირაკლის შანსი აღარ მისცა. მისი თქმით, რუს სპეციალისტს ახალგაზრდები გულზე არ ეხატებოდა და გუნდის დატოვება მოუხდა.

მერე ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა **ვლადიმერ ხაჩიძის** გაწვრთნილ "ბორჯომში", **გიორგი კიკნაძემ** და **ზაზა ზამთარაძემ** თბილისის "ლოკომოტივში" ათამაშეს, მიიწვიეს ცხინვალის "სპარტაკში", ბოლოს - ბოლნისის "სიონში".

საგულისხმოა, რომ ირაკლის დასრულებული ჩემპიონატის პირველი ეტაპი გაუცდა – შარშან ზაფხულს „სიონი" დატოვა, მაგრამ უცხოური ვარიანტები უშედეგო გამოდგა, კლუბი საქართველოშიც ვერ მოიძია და დარჩა უგუნდოდ.

იმ დროს, როდესაც კლუბები კვალიფიციური ფეხბურთელების დეფიციტს უჩივიან, გამოცანად რჩება, ნახევარი წელი რატომ არავის გაახსენდა ნიჭიერი ახალგაზრდა? ამ კითხვით ალავერდს ჩვენი გუნდების სელექციონერებთან გადავდივართ. ირაკლის ხომ უთამაშია საქართველოს 17, 19-წლამდელთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში, 19-წლამდელებში **კობა ჟორჟიკაშვილის** ხელმძღვანელობით – ელიტრაუნდშიც, ანუ სულ იყო თვალთახედვის არეში.

ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვით, რომ თვალახვეულთათვის "ლელო" სატრანსფერო პერიოდში უგუნდო მოთამაშეთა სიმბოლურ ნაკრებს აქვეყნებს, რომელშიც დეკემბერში ჩირიკაშვილიც დასახელდა. ჰოდა, გაახსენდათ, ირაკლი ბოლნისში მეორე ეტაპზე დაბრუნდა და თოთხმეტ მატჩში 2 გოლი გაიტანა.

ახლა ჩირიკაშვილი შვეიცარიაშია, მდიდარი ქვეყნის სუპერლიგის უმდიდრეს კლუბ "ქსამაქსში" **დავიდ ნავაროს** გვერდით მოხვდა და იქნებ ახლა მაინც დავფიქრდეთ, რატომ გვექცა ტრადიციად ნიჭიერი ბავშვების კარგვა- დავიწყება: იმიტომ ხომ არა, რომ მავანთ ბნელი გარიგებები წესად უქცევიათ?

**მერაბ მამულაშვილი**



● საქართველოს ჩემპიონატი. სამზადისი

# კოლხებმა ისევ მოიგეს

ფოთის "კოლხეთი" გრიგოლეთში ლანჩხუთის "გურიას" ესპარინგა და 2:1 გაიმარჯვა. ზღვისპირელები პირველ ტაიმში **ნიქარიშვილისა** და **მდივნიშვილის** გოლებით დაწინაურდნენ, "გურიამ" პრესტიჟის გოლი მატჩის მიწურულს გაიტანა.

კოლხეთი: **ხარშილაძე, კილასონია, ცხვიტარია, ქაჯაია, ლემონჯავა, ლომაშვილი, გულუა, ცხადაია, მოისწრაფიშვილი, ნიქარიშვილი, მდივნიშვილი.**

*შეცვლაზე შევიდნენ: მეგრელიშვილი, გელაჭეიშვილი, ქორჩილავა, ბარამიძე, გეგელია, რუსია.*

"კოლხეთი" მომდევნო ამხანაგურ შეხვედრას 18 ივლისს ბათუმის "ადელთან" გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტორპედო

# ბოლქვაძეს უკვე ტორპედოსთვის გააქვს

## ძნელი საკონტროლოები სლოვენიაში


დავით ბოლქვაძე

ქუთაისის „ტორპედო“ ურეკში მზადებას განაგრძობს. 15 ივლისს გუნდმა მეოთხე სპარინგი უმაღლესი ლიგის დებიუტანტ მარტვილის „მერანთან“ გამართა.

ქუთაისელთა ვებგვერდის ცნობით, 26-ე წუთზე **დავით ბოლქვაძისა** და **ირაკლი დოლიძის** კომბინაცია ბოლქვაძემ ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა - 1:0. ეს გოლი ერთადერთი გამოდგა და **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** შეგირდებმა გაიმარჯვეს.

"ტორპედო": **მიგინეიშვილი, ფოფხაძე (60. ტაბატაძე), თოდუა (66. ფარულავა), ქემოკლიძე (66. ჩხარტიშვილი), მანჩხავა (60. გურული), ჩიკვილაძე (70. კუხიანიძე), დილმელაშვილი, დოლიძე, სეთურიძე (46. კირკიტაძე), ბოლქვაძე, გოცირიძე (46. მეგრელაძე).**

"ტორპედოს" ხუთი მოთამაშე აკლდა - მცირე ტრავმის გამო **გიორგი დათუნაიშვილი**, აგრეთვე ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული ოთხი ფეხბურთელი, რომლებიც **ოთარ გაბელიამ** თურქეთში "ქაისერთან" სათამაშოდ წაიყვანა. იქ **გივი იოსელიანი** ძირითადში იყო და 70-ე წუთზე შეცვალეს, შეუცვლელად ჩაატარა მატჩი **თორნიკე თარხნიშვილმა, ნიკა საბანაძემ** – ტაიმი, **ცოტნე ხარაბაძემ** კი 30 წუთი დაყო მოედანზე.

გუნდის პრესსამსახურის ცნობით, 19 ივლისს "ტორპედო" მორიგ საკონტროლო შეხვედრას პირველი ლიგის ფავორიტ საჩხერის „ჩიხურასთან“ ურეკშივე გამართავს, 20 ივლისს ქუთაისში დაბრუნდება და ორ დღეში სლოვენიაში გაემგზავრება, სადაც 1 აგვისტომდე დარჩება.

ბალკანურ შეკრებაზე "ტორპედო" მურსკა სობოტაში გაჩერდება და სამ საკონტროლო მატჩს გამართავს: თელ ავივის "მაქაბისთან", ბელგრადის ოფკსთან და რუმინულ კრაიოვას "უნივერსიტატიასთან".

**მერაბ მამულაშვილი**

# +1: ა, ბატონო, თუ არ გიბინებს

## უხდება, ეკუთვნის ქუთაისს ხარისხი

სანამ გუნდი ურეკში ემზადებოდა, ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ახალი საფარი დააგეს. კლუბის ხელმძღვანელებმა საფრის მდგომარეობა სპეციალისტებთან ერთად შეამოწმეს და საერთო აზრით, ეროვნულ ჩემპიონატში "ტორპედო" მეტოქეებს უმაღლესი ხარისხის გაზონზე უმასპინძლებს.

მოედნის განახლება ივლისის დამდეგს დაიწყო, სამუშაოებს ბერძნული კომპანია "კრისტიან სიმუნოვიჩი – სპორტენგი" აწარმოებდა, რომელმაც მინდორი უკვე დააგო ეროვნული ნაკრების ბაზაზე, ახლა კი ამავე სამუშაოს თბილისის "დინამოს" ბაზაზე ასრულებს.

სტადიონზე გარემონტდა ჩვენში მუდამ პრობლემური სველი წერტილებიც.

ცხადია, ეს ყველაფერი ძალიან გვახარებს, რადგან დღეს ფეხბურთს ხარისხიან საფარზე თამაშობენ, უხარისხოზე კი — მის უხარისხო ნაირსახეობას. მაყურებლის სტადიონზე დაბრუნება კი ასეთი "წვრილმანი" საკითხების მოუგვარებლად წარმოუდგენელია.

ჩვენ კი ის ვთქვათ, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე ბევრად უკეთესის მოლოდინში ვართ, ვიდრე გასულ სეზონში იყო – კარგ მდგომარეობაშია ეროვნული სტადიონის საფარი, აგვისტოსმდე ხარისხიანი მინდორი იქნება "მიხეილ მესხის" სტადიონზე, ზესტაფონში ხომ **ილია კოკაიამ** ეს პრობლემა დიდი ხანია, მოაგვარა, ამას დაემატა ქუთაისიც, ფედერაციის ტენდერის დასრულების შემდეგ ხარისხიანად „შეიმოსება“ გორის, ფოთისა და ქობულეთის სტადიონები, ეროვნული ჩემპიონატისთვის გაიხსნება ნაკრების ტექნიკური ცენტრის კოხტა სტადიონი, მცხეთაში შეგვემატება "ვიტ ჯორჯიას" სტადიონი, რუსთავშიც ნორმალური საფარია და, იქნებ, ოდნავ უკეთესი ფეხბურთი მაინც ვიხილოთ?

**მერაბ მამულაშვილი**



● საქართველოს ჩემპიონატი. სამზადისი

# ვიტელები: ცხადია, თურქეთისკენ

საბოლოოდ გაირკვა "ვიტ ჯორჯიას" შეკრების ადგილი - როგორც მოსალოდნელი იყო, ვეტერინარები თურქეთის საკურორტო ქალაქ ბოლუში გაემგზავრებიან. **ზურაბ ბერიძის** გუნდი თურქეთში 28 ივლისს ჩავა და იქაური სუპერლიგისა და ქვედა ლიგის კლუბებთან რამდენიმე საკონტროლო მატჩს გამართავს.

ვიტელთა თავკაც **ზურაბ ბერიძეს** შეკრებაზე 25 ფეხბურთელი მიჰყავს.

მეკარეები: **1. არდალიონ მიქაბერიძე, 12. ჯინო რეჭია, 25. გიორგი ძაძამია.**

მცველები: **3. გიორგი ხუმარაშვილი, 4. ლაშა კასრაძე, 14. ირაკლი ხუჭუა, 19. ოთარ ჯავაშვილი, 20. დავით ხურცილავა, 22. რევაზ ლანიაშვილი, 28. ჯემალ გოგიაშვილი, 29. გურამ ადამაძე.**

ნახევარმცველები: **6. გიორგი ვასაძე, 7. გიორგი ოთარიშვილი, 8. გურამ გურეშიძე, 15. გიორგი კორიფაძე, 18. გიორგი გურეშიძე, 21. დავით მაისაშვილი, 27. შოთა დავლაშელიძე, 30. გიორგი ჯანელიძე.**

თავდამსხმელები: **10. ირაკლი სიხარულიძე, 11. ბესიკ ჩიმაკაძე, 13. ელგუჯა ლობჯანიძე, 16. გიგა ჯულელი, 23. ბექა ზაქრაძე, 24. გიორგი ვაშაკიძე.**

ლობჯანიძე, დავლაშელიძე და ჯავაშვილი "ვიტ ჯორჯიას" დუბლებიდან ძირითად გუნდში ახლახან გადაიყვანეს.

**ლევან ჟანეჟაშვილი**

● დილა



# შეკვეთილიდან შეკვეთილი თურქეთი და ზედაც გალაxი

დილას სტადიონი საუმაღლესოდ ემზადება

შაბათს გორის „დილამ“ შეკვეთილში დაიწყო ერთკვირიანი შეკრება. ჩვენს ზღვისპირეთში მოსამზადებელი ეტაპის გარკვეული ნაწილის გამართვა, როგორც გუნდის უფროსმა **გოჩა ლომიძემ** გვითხრა, ხელმძღვანელობამ ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტილებად მიიჩნია. საქმე ისაა, რომ სტამბოლის სიახლოვეს ერთ-ერთ მთიან საკურორტო ქალაქში დაგეგმილი შეკრება ამ ეტაპზე უამინდობის, კერძოდ, ნისლის გამო გადაიდო..

„ჯერჯერობით „დილა“ შეკვეთილში მოემზადება, სადაც დაგეგმილი გვაქვს ამხანაგური მატჩები ბათუმის „დინამოსთან“, ზუგდიდის „ბაიასთან“, ცხინვალის „სპარტაკთან“ და ფოთის „კოლხეთთან“, რის შემდეგაც, დაახლოებით 23-24 ივლისს, გადავინაცვლებთ თურქეთში, სტამბოლთან მდებარე მთიან საკურორტო ზონაში. ჩვენი ინფორმაციით, იქ იმ დროს 15-მდე საფეხბურთო კლუბი იქნება შეკრებაზე, რომელთაგან რამდენიმე თურქეთის უმაღლესი ლიგის გუნდია. მათთან ამხანაგური მატჩების დაგეგმვაზე ჩვენი წარმომადგენლები მუშაობენ და ეს სპარინგმატჩებიც აუცილებლად გვექნება. რას შეეხება ტრანსფერებს, ფაქტობრივად, შეგვიძლია, გუნდი დაკომპლექტებულად მივიჩნიოთ. ამჟამინდელი შემადგენლობა არა მგონია, შეიცვალოს,“ — გვითხრა „დილას“ მთავარმა მწვრთნელმა **გია ცეცაძემ**.

გოჩა ლომიძემ ისიც გვითხრა, რომ მალე გორში, „დილას“ მთავარ არენაზე, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე, მინდვრის საფრის აღებაც დაიწყება. ამით მოედანი შემზადდება იმ სარემონტო სამუშაოებისთვის, რომელსაც ფედერაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია განახორციელებს. ბურჯანაძის სახელობის არენიდან აღებულ საფარს კი გორის „ქართლის“ სტადიონზე გადაიტანენ. მოგეხსენებათ, აქამდე „ქართლზე“ ცხინვალის „სპარტაკი“ ასპარეზობდა, თუმცა მიმდინარე წლიდან გორის ორივე სტადიონი და ქალაქის მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ბავშვთა საფეხბურთო სკოლა ქალაქის ხელმძღვანელობამ „დილას“ გადასცა კლუბის უფრო წარმატებული მუშაობის მიზნით. გუნდისთვის სპონსორის მოძიების საქმეში ისევ არ არის სიცხადე, თუმცა „დილას“ თავკაცები ისევ იმედიანად არიან და, დაფინანსების თვალსაზრისით, გუნდში პრობლემებს გამორიცხავენ.

**ვასილ ბალახაძე**

დავით ასპანიძის ფოტო

● სპარტაკი

# ტონი ადამსი ცხინვალელებს: WELCOME TO GABALA!

მომავალი სეზონისთვის მზადებას ცხინვალის "სპარტაკი" ურეკში განაგრძობს. **ბადრი კვარაცხელიას** გუნდმა ხუთი ამხანაგური მატჩი გამართა და ყველა მოიგო. რამდენიმე დღეში კი "სპარტაკი" უცხოელ მეტოქეებთან მოსინჯავს ძალებს.

"სპარტაკს" აზერბაიჯანში საერთაშორისო ტურნირზე ეპატიჟებიან, კერძოდ კი, მიწვევა "გაბალასგან" მოუვიდა, რომლის მთავარი მწვრთნელი **ტონი ადამსია**. "სპარტაკმა" მეზობლებს თანხმობა უკვე უთხრა.

ოთხთა საერთაშორისო ტურნირი ქალაქ გაბალაში 30-31 ივლისს ჩატარდება. წილისყრა 4 მონაწილე გუნდს დააწყვილებს, პირველ დღეს ნახევარფინალები გაიმართება, მეორე დღეს გამარჯვებულები ფინალში ითამაშებენ, დამარცხებულები კი - მე-3 ადგილისთვის. "გაბალასა" და ცხინვალის "სპარტაკის" გარდა, ტურნირში აზერბაიჯანის პრემიერლიგის ორი წარმომადგენელი ითამაშებს, თუმცა არც ის არის გამორიცხული, გაბალაში რუსეთის პირველი ლიგის კლუბი ჩავიდეს.

ტონი ადამსის გუნდი აზერბაიჯანის პრემიერლიგის განვლილ სეზონში მე-7 ადგილს დასჯერდა. გაბალელები ახლა ინგლისში არიან მოსამზადებელ შეკრებაზე და შინ ერთ კვირაში დაბრუნდებიან.

**ლევან ჟანეჟაშვილი**


ბადრი კვარაცხელია


ტონი ადამსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროტურნირები. მეტოქეები

# დაჩიამ სკამზე კაცი გამოაცხადა: ყველანი ზიმბრუზე!

**საევროთასო ციებ-ცხელება გრძელდება და სანამ ქართული კლუბები იქ ბრძოლას განაგრძობენ, სისტემატურად მოგაწვდით ინფორმაციებს მათზეც და მათ მეტოქეებზეც. ვნახოთ, რა ხდება "დაჩიას", "ლანელისა" და "ირტიშის" ბანაკებში. მათგან განსხვავებით, "ანორთოსისს" თავი ქუდში აქვს და ვფიქრობთ, მასზე ყურადღების გამახვილება არც ღირს.**




ზესტაფონი-დაჩია 3:0



მეტალურგი-ირტიში 1:1

## სრულიად საიდუმლოდ და ყველას გასაგონად: მგლები კუპრს ხარშავენ

ზესტაფონში ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე "დაჩიამ" განცხადებით მიმართა მასმედიის წარმომადგენლებს, ამხანაგურ მატჩებს დახურულ კარს მიღმა ვატარებთ და ძალიან გთხოვთ, ჩვენს გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდეთო. როგორ არგო კიშინიოველებს მზადების ამგვარმა მეთოდმა, ეს "დავით აბაშიძეზე" კარგად გამოჩნდა. ამის მიუხედავად, "დაჩია" პრესასთან დისტანცირებას განაგრძობს და ამჯერად ახალ განცხადებას ავრცელებს.

*"13 ივლისს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის პირველ მატჩში "დაჩია" "ზესტაფონთან" დამარცხდა. ჩვენი მეტოქე ჩვენზე მოტივირებული აღმოჩნდა. 4-ათასიანმა სტადიონმა მასპინძელთა გუნდის გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა და დავრწმუნდით, რომ ზესტაფონი ფეხბურთითა და ამ კლუბის ცხოვრებით ცხოვრობს.*

*თითქმის ყველა სპორტული გაზეთი და საიტი ასეთი სათაურით გამოვიდა – "მეორე მატჩი ფორმალობაა". დიახ, 3:0-ით "ზესტაფონმა" შემდეგი ეტაპისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა და არ გამოვრიცხოთ, რომ 20 ივლისს "დაჩიამ" მართლაც დაასრულოს ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა, მაგრამ ამ ეტაპის გადალახვისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. სამწვრთნელო შტაბი და ფეხბურთელები ამისთვის ყველაფერს გააკეთებენ.*

*ასეთი მარცხი შეიძლება სასარგებლოც აღმოჩნდეს და ბევრი რამ გვასწავლოს. მასმედიას კი ასეთი თხოვნით მივმართავთ: ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ "ზესტაფონთან" განმეორებითი მატჩისთვის ბოლომდე კონცენტრირებულები ვიყოთ, საამისოდ კი საჭიროა, "დაჩიას" ფეხბურთელებმა პრესასთან კონტაქტი არ იქონიონ. თქვენს ცნობისმოყვარეობას 19 ივლისის პრესკონფერენციაზე გუნდის მთავარი მწვრთნელი იგორ დობროვოლსკი და "დაჩიას" ერთ-ერთი ფეხბურთელი დააკმაყოფილებენ.*

*გამარჯვება ძალიან გვინდა და ამ საქმეში გულშემატკივრებმა დიდი როლი უნდა ითამაშონ. რა შეუძლია ერთგულ ქომაგობას, ეს ზესტაფონში კარგად დავინახეთ. დედაქალაქის მცხოვრებნო! "ზესტაფონმა" საკუთარი ტრიბუნების თვალწინ სამი გოლი გაიტანა, რატომ ვერ უნდა ვუპასუხოთ იმავეთი? გთხოვთ, მობრძანდეთ "ზიმბრუს" სტადიონზე, რათა 90 წუთის განმავლობაში "ყვითელ მგლებთან" ერთად ქართველ ფეხბურთელებს ნამდვილი ჯოჯოხეთი მოვუწყოთ! მხოლოდ თქვენთან ერთად გავიმარჯვებთ!"*

ამჯერად "დაჩიას" განცხადების კომენტარისგან თავს შევიკავებთ და გირჩევთ, ვებგვერდ moldovfootball.com-ზე „ზესტაფონი"-„დაჩიას" შეხვედრის მიმოხილვაზე მიბმულ კომენტარებს გაეცნოთ. მოლდოველ გულშემატკივართა უმრავლესობა "დაჩიას" მწარედ დასცინის და მის ერთგულ ქომაგებს ნიშნისმოგებით მიმართავს, თუ სეპარატისტული "შერიფის" ჩემპიონობა და ევროწარმატებები მოგბეზრდათ, ახლა ნაღდი მოლდოვური კლუბის ყურებით დატკბითო...

ჩვენ კი "დაჩიას" დაცინვისგან მაინც თავი შევიკავოთ და განმეორებით დაპირისპირებას დაველოდოთ, სადაც "ზესტაფონი" სოლიდური ფორით ჩადის, მაგრამ მაინც ბრძოლა ელის.

"დაჩია"-"ზესტაფონი" 20 ივლისს თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება და მას სლოვენიელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის **მატეი იუგის** ხელმძღვანელობით.

## წინასწარ დიდი მადლობა, მაგრამ ასე ვერ გაგიშვებთ

*"ისტორიული გამარჯვება,"* – ასე უწოდა "ლანელი"-"დინამოს" მატჩის კომენტატორმა თამაშის შედეგს. იმედია, საპასუხო შეხვედრის შემდეგ "ლანელის" წევრებს საზეიმო აღარაფერი ექნებათ.

თბილისში კი ეს უელსური კლუბი მხოლოდ ფეხბურთით არ მოექცევა ჩვენი ყურადღების ცენტრში. როგორც "ლანელის" ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, თამაშის წინა დღეს გუნდი სრული შემადგენლობით ეწვევა მიუსაფარ ბავშვთა სახლს და მის ბინადრებს საჩუქრებს გადასცემს. დაგვეთანხმებით, ბრიტანელებს საქებარი გადაწყვეტილება მიუღიათ.

"დინამოს" მეტოქეთა ქველმოქმედებას თუ გავიხსენებთ, მეხსიერებაში, უპირველესად, ლევერკუზენის "ბაიერის" სტუმრობა ამოტივტივდება. "ფარმაცევტებმა" საქართველოსთვის შავბნელ 90-იანებში დიდი რაოდენობით ჰუმანიტარული დახმარება ჩამოიტანეს, სადაც საკვებსა და მედიკამენტებთან ერთად სპორტული ამუნიციაც იყო. ალბათ გახსოვთ, იმ პერიოდში თბილისში ძალიან ბევრი პატარა ბიჭი დადიოდა "ბაიერის" შავ-წითელი მაისურით...

"დინამო"-"ლანელი" 21 ივლისს ეროვნულ სტადიონზე 21 საათზე დაიწყება და მას შვედები გაუძღვებიან, არბიტრი – **მარტინ სტრომბერგსონი**.

## ირტიში ყინჩობს: ვიფრთხილებთ, ოღონდ გავიტანთ

რუსთავში მიღწეული 1:1 პავლოდარელებს შემდეგ რაუნდში გასვლის შესანიშნავ შანსს უქმნის. ყაზახურ პრესაში "ირტიშის" მთავარი მწვრთნელის, **ტალგატ ბაისუფინოვის** კომენტარი გამოქვეყნდა: *"როცა სტუმრად ფრედ თამაშობ და თანაც გოლი გაგაქვს, ეს უკვე დიდი უპირატესობაა. წყვილის ფავორიტებად ვიქეცით, მაგრამ ეს ფაქტი მოდუნების უფლებას არ გვაძლევს. "მეტალურგი" საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ პრობლემები პავლოდარშიც შეგვიქმნას და მაქსიმალური სიფრთხილით თამაში გვმართებს".*

"ირტიშის" თავკაცმა იქვე დასძინა, რომ 0:0-ზე თამაშს არ აპირებს და მისი გუნდი გოლის გატანას შინაც შეეცდება.

"ირტიშისა" და "მეტალურგის" განმეორებითი მატჩი 21 ივლისს თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება, თამაშს ბულგარელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება **გეორგი იორდანოვის** მეთაურობით.

იმავე დღეს, 21 საათზე, "გაგრა" ზესტაფონში "ანორთოსისს" უმასპინძლებს. შეხვედრის არბიტრი გერმანელი **პეტერ ზიპელი** იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლანელი-დინამო 2:1



ანორთოსისი-გაგრა 3:0

ლეგიონი



ჯაბა ლიპარტია (№10)



კარლსრუე გოლს ზეიმობს

# იაშვილი ორით და ორიანით იწყებს

## მოულოდნელი ქართული გოლები: სალუქვაძე, ნავალოვსკი, ლიპარტია...

თუკი შარშან უკრაინულმა პრემიერლიჰამ ქართული გოლის გარეშე ჩაიარა, ახალდაწყებულ ჩემპიონატში ტური არ გავა, ჩვენებურებმა თავი არ გამოიჩინონ - ამ უქმეებზე **ჯაბა ლიპარტიას** ჯერი იყო, რომელმაც „ზარიაში" სადებიუტო გოლი გაიტანა. მისი გუნდი ხარკოვში ესტუმრა „მეტალისტს" და 2:3 დამარცხდა. სტუმართა „ათიანმა" 59-ე წუთზე გაათანაბრა (2:2 გახადა), როცა მარცხნიდან მოწოდებულ პასს ოსტატურად გამოეხმაურა. როგორც ყოველთვის, ლიპარტია ასრულებდა ლუგანსკელთა ყველა სტანდარტულს.

ტური კი იმ თამაშით დაიწყო, სადაც ქართველებმა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშეს, თუმცა გაშვებისთვის მათ **ხუანდე რამოსზე** შური ვერ იძიეს - **უჩა ლობჟანიძე** და **ჯაბა კანკავა** სრულად იყვნენ მოედანზე „კრივბასი"-"დნიპროს" შეხვედრაში (0:2). დებიუტანტ „ოლექსანდრიას" ქართველმა ლეგიონერმა **დავით თარგამაძემ** პირველივე ტურში გაიტანა, ახლა კი მას კარგი შანსი ჰქონდა, კიევის „დინამოსთან" მატჩში წარმოჩენილიყო. ჩვენებური საკმაოდ აქტიური გახლდათ (განსაკუთრებით პირველ ტაიმში), თუმცა მისი გუნდი ფავორიტთან 1:3 დამარცხდა.

**ვასილ გიგიაძის** „ტავრია" სტუმრად 2:2 დაუზავდა „ვოლინს", ჩვენი ვეტერანი ამ მატჩში სიმბოლურად მონაწილეობდა - 93-ე წუთზე გამოვიდა. ამ ტურში არ უთამაშიათ **სანდრო გურულსა** (კარპატი) და **თორნიკე ოქრიაშვილს** (ილიჩივეცი), არსენალელი **სანდრო კობახიძე** კი (ილიჩივეცთან 1:1) 69-ე წუთზე შეცვალეს.

ავსტრიის ბუნდესლიგაც დაიწყო, ჩემპიონთა ლიგაზე „ზესტაფონის" სავარაუდო მეტოქე „შტურმმა" სტუმრად „რიდთან" 1:1 ითამაშა. **გიორგი ფოფხაძის** დებიუტი არ შედგა, ის სათადარიგო იყო, მაგრამ მოედანზე არ შესულა.

რუსეთში თასის 1/16 ფინალური მატჩები გაიმართა. თქვენს ყურადღებას „ურალანი"-"რუბინის" თამაშზე შევაჩერებთ, რომელიც 0:0 დასრულდა, პენალტების სერიაში კი 6:5 ყაზანელებმა იმარჯვეს. ამ მატჩში „რუბინში" დებიუტი ჰქონდა 19 წლის **საბა კვირკველიას**, ქართველი მცველი მოედანზე 110 წუთი იყო. სხვათა შორის, მასპინძელთაგან ერთი პენალტი ექსზუგდიდელმა **ჩისამბა ლუნგუმ** გაიტანა. „სპარტაკი" შემდეგ ეტაპზე გავიდა, მოსკოველებმა სტუმრად 1:0 მოუგეს „ისტრას", **ჯანო ანანიძე** 66-ე წუთზე შეცვალეს. „ხიმკი" „ზენიტს" ებრძოლა, მაგრამ საბოლოოდ ვერას გახდა - 2:3. 38-ე წუთზე მასპინძელთაგან სუპერგოლი **გიორგი ნავალოვსკიმ** გაიტანა (შორეულ კუთხეში, ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა). „კრასნოდარი" კი დაემშვიდობა რუსეთის თასზე ოცნებას, ვორონეჟში „ფაკელთან" 1:2 დამარცხდა. ჩვენებურთაგან მხოლოდ კაპიტანმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** ითამაშა. **ლევან გვაზავას** „ტერეკმა" 2:0 მოუგო „ნიჟნი ნოვგოროდს", ლევანი შესვენებაზე შეცვალეს. ქართველთა „ვოლგამ" იაროსლავლში „შინიკს" 1:0 მოუგო. გამარჯვების გოლი კი **ლაშა სალუქვაძის** ანგარიშზეა - ითამაშეს **გია გრიგალავამ** და **მათე ვაწაძემაც**, ხოლო აქამდე ტრავმირებული **გოჩა ხოჯავა** მოედანზე 61-ე წუთზე შევიდა. ულიანოვსკში ადგილობრივი „ვოლგა" ვერაფერს გახდა „ანჟისთან" (0:3), რომლის კარსაც **ნუკრი რევიშვილი** იცავდა.

ლატვიის ვირსლიგაში „დაუგავამ" 4:2 მოუგო „გულბენეს", ოთხიდან ორი გოლის ავტორი **მამუკა ლონლაძეა.**

დაბოლოს, მე-2 ბუნდესლიგა მოგებით დაიწყო **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ", რომელმაც 3:2 აჯობა „დუისბურგს". კაპიტანმა ძალიან კარგად ითამაშა, მის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია. „შპორტალმა" იაშვილს 2-იანი დაუწერა, რაც ძალიან კარგი შეფასებაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# რატომ გაიქცა კლიში?



**გაელ კლიში** ამბობს, რომ „მანჩესტერ სიტიში" გადასვლის წინ „არსენალთან" ახალ, დიდხელფასიან კონტრაქტზე თქვა უარი. მიზეზი: 25 წლის ფრანგ მცველს **არსენ ვენგერის** დაუსრულებელი წარუმატებლობები მობეზრდა. კლიში ამბობს, რომ მართალია, ისტლენდელებთან ერთად ამერიკულ შეკრებაზე ჯერ მხოლოდ ერთი კვირაა რაც იმყოფება, მაგრამ უკვე გრძნობს, რომ გამარჯვებისთვის შეკრული და შემართული კოლექტივის წევრი გახდა.

„რვა წელიწადი გავატარე „არსენალში". რასაკვირველია, იქ ყველას და ყველაფერს შეჩვეული გახლდით და ჩემთვის ახალი კონტრაქტის გაფორმება მეტად იოლი საქმე იყო. თან, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ „მეთოფეებს" ყოველთვის ძლიერი გუნდი ეყოლებათ და ნებისმიერ შეჯიბრებაში ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსი ექნებათ. მაგრამ მე იქ დარჩენა აღარ ვისურვე, რადგან მივხვდი, რომ ფავორიტის სტატუსის ქონა და ბოლოს დამარცხება მომბეზრდა. მინდა იმ გუნდში ვითამაშო, რომელიც გაიმარჯვებს".

კლიშიმ, რომელმაც „მანჩესტერ სიტისთან" ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ურთიერთობების შემდგომი გაფუჭებისგან თავი დაიზღვია და თქვა, რომ ის თანამემამულე სპეციალისტის, ვენგერის წინააღმდეგ კი არ გამოდის, არამედ იმ უიღბლობის წინააღმდეგ, ვენგერს ბოლო წლების განმავლობაში რომ დასდევს თან.

„მანჩესტერში იმიტომ გადმოვედი, რომ ვიგრძენი, „სიტი" ჩამოყალიბდა კლუბად, რომელიც მზად არის დიდი ჯილდოები მოხვეტოს. გაიხსენეთ, გასული სეზონი. „არსენალში" ოთხივე ტურნირის მოგებას ვაპირებდით, მაგრამ ბოლოს პრემიერლიგაშიც მეოთხეზე დავრჩით და ვერც სხვა შეჯიბრებაში მივაღწიეთ რამეს. და რა ქნა „სიტიმ"? მესამეზე გავიდა და ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიპოვა. ამრიგად, მე შევუერთდი გუნდს, რომელიც იმარჯვებს".

კლიშის მისი ძველი გამონათქვამები შეახსენეს და არც თავად უარყო, რომ ადრე „სიტი" მთლიანად აბუდაბელი მეპატრონეების ფულზე დამოკიდებული კლუბი ეგონა.

„როდესაც „მანჩესტერ სიტი" შეიხმა მანსურმა ჩაიბარა, გარშემო დიდი ეჭვი გაჩნდა. ერთ-ერთი სკეპტიკოსთაგანი გახლდით მეც. კრიტიკის დედააზრი ის გახლდათ, რომ ისტლენდზე ყველაფერს ფული განსაზღვრავდა, თუმცა გასულმა სეზონმა აზრი შემაცვლევინა. დავრწმუნდი, რომ „სიტი" უკვე ფულისგან დამოუკიდებლად არის ის გუნდი, რომელსაც თვალი დიდ შედეგებზე უჭირავს. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდში კლუბის სიმდიდრეცა და ფეხბურთელების ვარსკვლავობაც უძლურია. ასეთ დროს ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი იმარჯვებს. ვერ წარმოიდგენთ, რა გულსატკენი იყო ის, რაც „არსენალს" გადახდა. პერიოდულად ზღაპრულ ფეხბურთს ვთამაშობდით, თუმცა მერე დგებოდა დრო, როდესაც საუკეთესო ფეხბურთელები გვიშავდებოდა. საკმარისი იყო სესკ ფაბრეგასი და რობინ ვან პერსი გამოგვკლებოდა, რომ ჩვენ თავს ველარაფერს ვართმევდით.

სულ ერთი კვირაა, რაც „სიტის" ფეხბურთელი ვარ, მაგრამ მიმოვიხედე და დავინახე, რომ ძლიერ გუნდში მოვხვდი. დავინახე, რომ კლუბი სავსეა მაღალი დონის ფეხბურთელებით, რომლებიც თავისუფლად შეცვლიან ერთმანეთს. მწვრთნელს როტაციის პრინციპის გამოყენება შეეძლება. ეს წარმატების საწინდარია".

**ილია ბაბუნაშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი


ალექს ფერგიუსონი

# დიდი ექვსეული

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი** ამბობს, რომ მომავალ სეზონში პრემიერლიგის ტიტულს ექვსი გუნდი შეეცილება ერთმანეთს. რასაკვირველია, ფერგი ამ ექვსში, უპირველეს ყოვლისა, ტრადიციულ „დიდ ოთხეულს" გულისხმობს. მერე რა, რომ „არსენალს" არც გასული სეზონის ბოლო უვარგოდა და ზაფხულში, სატრანსფერო ბაზარზეც ვერაფერს ახერხებს. მართალია, კაცმა არ იცის როგორ დასრულდება **სესკ ფაბრეგასისა და სამირ ნასრის** ამბავი. **არსენ ვენგერს** შესაძლოა ერთიც გაექცეს და მეორეც, მაგრამ „მეთოფეები" ყველა ვარიანტში ფავორიტებად დარჩებიან. რაც შეეხება „ლივერპულს", ის ინგლისის ჩემპიონატში 1990 წლის შემდეგ ხელმოცარული დადის, მაგრამ სწორედ ეს აძლევს სტიმულს. ამას დაამატეთ „მანჩესტერ სიტი", რომელიც ყოველწლიურად იკრებს ძალებს, მომავალ სეზონში კი უკვე უმაღლესი მწვერვალების დასალაშქრად ემზადება. პლუს, „ტოტენჰემ ჰოთსპური" — გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა და... სწორედ ეს არის მისი დიდი უპირატესობა. „დეზები" სხვებზე ნაკლებად დაიღლებიან.

„ძალიან დავეჩვიეთ ტოპოთხეულზე ლაპარაკს. ოთხეულში ჩვენ, „არსენალი", „ჩელსი" და „ლივერპული" ვიგულისხმებით, მაგრამ ვფიქრობ, მხოლოდ ოთხ გუნდზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. აშკარაა, რომ ლიდერთა გუნდს „მანჩესტერ სიტი" შემოუერთდა. ისტლენდელებს ყველა ჩვენგანზე მეტი ფული აქვთ და საუკეთესო ფეხბურთელების ყიდვაც შეუძლიათ.

რაც შეეხება „ტოტენჰემს", ვფიქრობ, გასულ სეზონში ამ გუნდს პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში ერთდროულად გამოსვლამ უარყოფითი დაღი დაასვა, დაღალა. ამიტომაც დაამთავრეს ჩემპიონატი ოთხეულს მიღმა. მაგრამ როდესაც ამ გუნდებს და მათ პოტენციალს უყურებ, ხვდები, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა".

ინგლისური გაზეთები კი „მანჩესტერ იუნაიტედის" ახალ ფორმაზე ამახვილებენ ყურადღებას და წერენ, რომ სერ ალექსის მიერ ჩამოთვლილი ხუთი გუნდის მოედანზე ჩემპიონს სწორედ ამ უჩვეულო „შავ-ლურჯი" მაისურებით მოუწევს თამაში. ეს ფორმა „ნაიკის" დიზაინერებმა 1948 წლის ფეხბურთის ასოციაციის ფინალისტი და 1968 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი „იუნაიტედის" ფორმათა მიხედვით შექმნეს.

**ილია ბაბუნაშვილი**

ნიუკასლ იუნაიტედი



# ჩხუბი ამხანაგურად

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია საქმეს ბოლომდე ჩაჰყვება და მტყუან-მართალს გაარკვევს: დარლინგტონში, „ნიუკასლ იუნაიტედის" ფანებმა აყალ-მაყალი მოაწყვეს. ეს ამბავი სეზონისწინა ამხანაგური თამაშის დროს მოხდა. „კაჭკაჭებს" ნიუკასლიდან 50 კილომეტრში მდებარე დარლინგტონში 6 ათასამდე გულშემატკივარი ახლდათ, რომელთაგან დაახლოებით 500 მოედანზე ჩახტა. მათ, ასე, 19 წლის თავდამსხმელის, **სემი ამეობის** გოლი აღნიშნეს. არეულობის დროს ნიუკასლელმა ფანებმა სტიუარტს სახეში გაარტყეს. შემდეგ, თითქოს, დაწყნარდნენ, მაგრამ ერთი ხანი რომ გავიდა, იგივე გაიმეორეს — კვლავ გადაეშვნენ მოედანზე. ეს „დარლინგტონის" მწვრთნელის **მარკ კუპერისთვის** გამოდგა მეტისმეტი. მან ფეხბურთელებს უხმო და გასახდელში შეიყვანა.

ფაქტია, რომ ფეხბურთის ასოციაციას მომხდარის შეფასება მოუწევს, ოღონდ ვერდიქტის გამოტანამდე ის ორივე მხარეს, პოლიციელებს და ადგილობრივ ხელისუფლებს დაელაპარაკება. ასოციაციის პრესმდივანმა განაცხადა:

„ორშაბათს ორივე კლუბს დავუკავშირდებით. შევეხმიანებით სხვა პასუხისმგებელ პირებსაც, რომელთაც რაც შეიძლება სრულყოფილი და ამომწურავი სურათის დახატვას ვთხოვთ. შემდეგ ნაბიჯს მხოლოდ მას მერე გადავდგამთ, რაც ინციდენტის შესახებ ყველაფერი გვეცოდინება".

გაზეთები წერენ, რომ ასოციაცია შეეცდება „ნიუკასლ იუნაიტედი" დაინდოს და მის გულშემატკივარს, მომავალ სეზონში, სხვადასხვა ქალაქში სტუმრობები არ აუკრძალოს. სავარაუდოდ, თავად „კაჭკაჭები" გამოიჩენენ ინიციატივას და რამდენიმე ხულიგანს გრძელვადიანი დისკვალიფიკაციით დასჯიან.

**ილია ბაბუნაშვილი**



ამბები

## მიხაილოვიჩს ფრეის იმედი არ აქვს



„ფიორენტინას" მთავარმა მწვრთნელმა **სინიშა მიხაილოვიჩმა** თქვა, ფლორენციული კლუბის ძირითად შემადგენლობაში **სებასტიან ფრეის** ადგილს ვერ ვხედავო. 31 წლის მეკარემ არაერთხელ თქვა, „ფიორენტინაში" დარჩენა მინდაო, მაგრამ მწვრთნელის განცხადებიდან ჩანს, რომ მას წასვლა მოუწევს. მიხაილოვიჩის თქმით, „ვიოლას" პირველი ნომერი ან **ბორუცი** იქნება, ანაც **ნეტო**. იტალიური პრესის ცნობით, ფრეის გადაბირება „პალერმოს" და „ჯენოას" უნდათ. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ფრეი საკმაოდ მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია და წესით, ვერც „პალერმო" და ვერც „ჯენოა" მას ვერ გადაუხდიან იმდენს, რამდენსაც „ფიორენტინაში" იღებს.

## პალერმო სტადიონს ააშენებს

„პალერმოს" პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** თავისი კლუბისთვის ახალი, საკუთარი სტადიონის აშენება უნდა. „საკუთარი სტადიონი თანამედროვე ფეხბურთში ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. შესაბამისად, ახალი არენის აშენება „პალერმოს" მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის. უკვე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი „ახალი სახლი" 35 000 გულშემატკივარს დაიტევს და ულამაზესი იქნება. ცოტა ხანში გულშემატკივრებს პროექტს წარვუდგენთ, რომელიც იმედია, ყველას მოეწონება," - აცხადებს ძამპარინი.

მისი თქმით, სტადიონის აშენებას ექვსი თვე დასჭირდება და ერთადერთი რამ, რაც საქმის დაწყებას ხელს უშლის და აჭიანურებს, ტიპურ იტალიური ბიუროკრატიაა: „ახალი სტადიონი დიდ შემოსავალს მოგვიტანს და შესაძლებლობას მოგვცემს, ხარჯები ავანაზღაუროთ. ეს „პალერმოსთვის" უდიდესი ინვესტიცია იქნება."

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა



● რომა

# ვუჩინიჩი ტოტენჰემისკენ?

## ინგლისელებმა რომასთან მოლაპარაკებები დაიწყეს



მირკო ვუჩინიჩი

„ტოტენჰემის“ მწვრთნელ **ჰარი რედნაპს** თავდასხმის გაძლიერება უნდა და იტალიურ და ინგლისურ პრესას თუ დავუჯერებთ, „რომას“ 27 წლის ფორვარდ **მირკო ვუჩინიჩს** დაადგა თვალი. მეტსაც გეტყვით: გაირკვა, რომ „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელობამ რომაულ კლუბთან მოლაპარაკებები წამოიწყო. რედნაპის ფავორიტი წინა ხაზისთვის იტალიელი **ჯუზეპე როსი** გახლდათ, მაგრამ ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ ეს უკანასკნელი „ვილიარეალიდან“ ტურინის „იუვენტუსში“ გადავა. აქედან გამომდინარე, „ტოტენჰემმა“ აქცენტი ვუჩინიჩზე გადაიტანა.

არადა, „ჯალოროსის“ თავდამსხმელის ყიდვა თურმე „ბლექბერნს“ და მიუნხენის „ბაიერნსაც“ სურთ.

ახლა „ტოტენჰემის“ ერთ-ერთ მესვეურს მოვუსმინოთ, რომელმაც „გაძეტა დელო სპორტს“ ვუჩინიჩით დაინტერესება დაუდასტურა, საზოგადოებისთვის კი ინკოგნიტოდ არჩენა ამჯობინა: *„ვუჩინიჩი უნიჭიერესი ფეხბურთელია, რომელიც ნებისმიერ სუპერგრანდს დაამშვენებდა. მირკო „ტოტენჰემს“ მაგრად გააძლიერებს. ვუჩინიჩი მრავალმხრივი თავდამსხმელია, ტექნიკურიცაა და საგოლე ალღოც შესანიშნავი აქვს. ამასთან ერთად, მას არა მარტო ცენტრფორვარდის, არამედ გარემარბისა და უკან დახეული თავდამსხმელის პოზიციებზეც შეუძლია ასპარეზობა. აქედან გამომდინარე, ვუჩინიჩი „ტოტენჰემს“ ზუსტად ესადაგება. რომაელებს სწრაფად სურთ მოლაპარაკებების დამთავრება და ამის საწინააღმდეგო არც რედნაპს აქვს რამე. ერთადერთი, რაც ახლა გვანერვიულებს, მონტენეგროელის მძიმე ხასიათი და ცუდი ფორმაა. ვუჩინიჩმა გასული სეზონი საკმაოდ სუსტად ჩაატარა, თუმცა ჰარიმ იცის, როგორ უნდა მოამზადოს ფეხბურთელი და როგორ უნდა მიიღოს მისგან მაქსიმუმი.“*

იტალიელი მიმომხილველები წერენ, რომ „რომა“ მზადაა, ვუჩინიჩი დათმოს, რადგან „ჯალოროსის“ მის პოზიციაზე ახლა **ერიკ ლამელა** ჰყავს, რომელიც იტალიელებმა „რივერ პლეიტიდან“ იყიდეს. სწორედ ვუჩინიჩის დარი შემტევია **ბოიან კრკიჩიც**. როგორც ირკვევა, „ტოტენჰემი“ ვუჩინიჩში 17 მილიონ ევროს იხდის, „რომა“ კი 20 მილიონ ევროს ითხოვს.

მირკო ვუჩინიჩი მარადიულ ქალაქში ოთხი წლის წინ აღმოჩნდა („ლეჩედან“ გადავიდა) და მაშინ „რომას“ მისი ტრანსფერი 19.5 მილიონი ევრო დაუჯდა. მონტენეგროელს „ჯალოროსისთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული. იტალიის ჩემპიონატში ვუჩინიჩმა 27 თამაშში 10 გოლი გაიტანა და ორი საგოლე გადაცემაც მიითვალა.

**ლაშა წიკლაური**

● ინტერი

# სტანკოვიჩი მძიმე ბრძოლას ელის

## დეიანს სკუდეტოს დაბრუნება უნდა

გასულ სეზონში „ინტერმა“ შარშანდელთან შედარებით, ძალიან ცუდად იასპარეზა. 2010 წლის ევროპის ტრიუმფატორმა ვერც ჩემპიონთა ლიგაში გააწყო რამე და იტალიის ჩემპიონობაც თანაქალაქელ „მილანს“ დაუთმო. თუმცა, „ნერაძურის“ ფიასკოს ჰქონდა ობიექტური თუ სუბიექტორი მიზეზები და ახლა ამ მიზეზებზე აღარ ვისაუბრებთ, რადგან „ინტერის“ წარუმატებლობაზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა.

ახალი ის არის, რომ „ინტერს“ იტალიაში დომინანტის როლის დაბრუნება უნდა. „ნერაძურის“ **ჯანპიერო გასპერინის** სახით ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, რომელზეც მასიმო მორატი უდიდეს იმედებს ამყარებს და ცდილობს, ფანებიც დაარწმუნოს იმაში, რომ გასპერინის ხელში „ინტერი“ ისევ უძლეველი იქნება. მორატი ახლა სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობს და უკვე გადაწყვეტილია, რომ „ნერაძურიში“ ბრაზილიელი მარჯვენა მცველი **ჟონათანი** (სანტოსიდან) გადავა.

ახალ სეზონს განსაკუთრებით იმედიანად მილანელთა გამოცდილი საყრდენი ნახევარმცველი **დეიან სტანკოვიჩი** ელის. ეს უკანასკნელი ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი, რაშიც მისი სიტყვებიდან თვითონ დარწმუნდებით: *„ახალი სეზონის დაწყებას ყველანი მოუთმენლად ველით. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველა ჩემი თანაგუნდელი ძალიან მონდომებულია. „ინტერმა“ ეს სეზონი ისე უნდა ჩაატაროს, როგორც ეკადრება. ახლა ყველა ძლიერდება. სატრანსფერო ბაზარზე მარტო გრანდები კი არ აქტიურობენ, საშუალო დონის კლუბები და სუსტებიც ყიდულობენ ახალ ფეხბურთელებს. ეს ყველაფერ იმას ნიშნავს, რომ იტალიის ჩემპიონატის სტარტს მაქსიმალურად კარგად მომზადებულები უნდა შევხვდეთ, რადგან უკვე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ „სკუდეტოსთვის“ ბრძოლა ისეთი დაძაბული იქნება, როგორიც დიდი ხანია, არ ყოფილა. ამ ეტაპზე ყველაფრით კმაყოფილი ვარ. მოსამზადებელი პროცესი კარგად მიდის და ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯებით.“*

„სქაი სპორტსის“ კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში სტანკოვიჩმა კონკრეტულად ჯანპიერო გასპერინიზეც ისაუბრა: *„ჩვენი ახალი მწვრთნელი თითოეულ დეტალს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ფეხბურთელებს ძალიან ხშირად ცალ-ცალკე გვესაუბრება და დაწვრილებით გვიხსნის, რას ითხოვს თითოეული ჩვენგანისგან. ამ ეტაპზე ჯერ კიდევ მწვრთნელის გაცნობის პროცესში ვართ, მაგრამ უკვე მოგვწონს მისი მიდგომა ნებისმიერ საკითხთან და მჯერა, რომ შეუძლია, „ინტერს“ „სკუდეტო“ დაუბრუნოს.“*



დეიან სტანკოვიჩი

**ლაშა წიკლაური**

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# ამაური ფლამენგოში?



კარვალიო ამაურის გული სამშობლოსკენ მიუწევს

დიდი შანსია, რომ ტურინის „იუვენტუსის“ წარმოშობით ბრაზილიელი თავდამსხმელი **კარვალიო ამაური** ბრაზილიაში წავიდეს და კარიერა „ფლამენგოში“ გააგრძელოს. „კორიერე დელო სპორტის“ ინფორმაციით, ბრაზილიური კლუბი ამაურით ძალიანაა დაინტერესებული და თვითონ ფორვარდსაც გული სამშობლოსკენ მიუწევს. ფაქტია, რომ ამაურის „იუვეში“ დარჩენა მას მერე აღარ უნდა, რაც ტურინული გრანდის ტიფოზებმა სასტიკად უსტვინეს.

*„აგენტმა მითხრა, „ფლამენგო“ სერიოზულადაა დაინტერესებულიო. ამ დღეებში კონკრეტულად დაველაპარაკები და თუ ბრაზილიური კლუბის ინტერესი მართლაც სერიოზულია, შეიძლება წავიდე,* - ამბობს ამაური „კორიერესთვის“ მიცემულ ინტერვიუში, - *ევროპაში 11 წელი ვითამაშე და თუ „ფლამენგოს“ სერიოზულად ვუნდივარ, ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ბრაზილიაში წავიდე. „ფლაში“ ჩემი თანაკლუბელი და უახლოესი მეგობარი ფელიპე მელო თამაშობდა და ამ გუნდზე ძალიან ბევრი რამ მიამბო.“*

**ლაშა წიკლაური**

● დორტმუნდის ბორუსია



იურგენ კლოპის მთავარი იმედი შინჯი კაგავაა

# კლოპი: კაგავა ფანტასტიკაა!

## იურგენი ახალწვეულებით უკმაყოფილოა და ისევ ძველების იმედი აქვს

ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი შეკრება დორტმუნდის „ბორუსიამაც“ დაასრულა - გერმანიის ჩემპიონებმა ავსტრიაში რვა დღე დაჰყვეს და დორტმუნდისკენ გეზი გუშინ საღამოს აიღეს. შეკრების ბოლო ტესტმატჩი BVB-მ ვარშავის „პოლონიასთან“ 1:2 წააგო, მაგრამ შეკრების შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე „ბორუსიას“ თავკაც **იურგენ კლოპს** ამ მარცხზე ბევრი არ უსაუბრია. საერთო ჯამში, კლოპი შეკრებით კმაყოფილია, მაგრამ აღიარებს, რომ რამდენიმე პრობლემა აქვს.

*„ტიპური შეკრება გამოვიდა, კარგიც ბევრი იყო და ცუდსაც ვერ ავცდით. ეს აბსოლუტურად ნორმალურია, ყოველთვის ყველაფერი კარგად უბრალოდ ვერ იქნება,“* - აღნიშნა კლოპმა. ცუდში იურგენმა ის აბეზარი ფანიც იგულისხმა, „პოლონიასთან“ მატჩის მეორე ტაიმში მოედანზე რომ შეიჭრა და დორტმუნდელ ფეხბურთელებს თვალწინ მოსისხლე მტრის, „შალკეს“ მაისურა რომ უფრიალა, განსაკუთრებით დღენიადაგ გელზენკირხენული კლუბის მაგინებელ **კევინ გროსკროიტცს** რომ მოუშალა ნერვები.

ცუდია ისიც, რომ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები, საყრდენი **სვენ ბენდერი** და მარცხენა მცველი **მარსელ შმელცერი** დაშავებულები არიან და ხეირიანად ვერ ივარჯიშეს. გარდა ამისა, „ბორუსიას“ ორი მთავარი ახალწვეული, **ილქაი გიუნდოგანი** და **ივან პერიშიჩი** ჯერ ვერ გამოიყურებიან ისე, როგორც ამას კლოპი ისურვებდა. გიუნდოგანი ვესტფალიელებმა „ნიურნბერგიდან“ 4 მილიონ ევროდ შეიძინეს და მან მადრიდის „რეალში“ გადასული **ნური შაჰინი** უნდა შეცვალოს. კლოპი ამბობს, გიუნდოგანი მისალებზე ერთი-ორი კილოგრამით მეტს იწონის, ეტყობა, ჭამის მადის პრობლემა არასდროს აწუხებსო. რაც შეეხება შემტევ ნახევარმცველ პერიშიჩს, რომელიც „ბორუსიამ“ „ბრიუგედან“ 5.5 მილიონ ევროდ შეიძინა: იურგენმა ხორვატ ფეხბურთელზე უფრო ცუდი რაღაცები თქვა.

*„ივან პერიშიჩი იმის ტიპური მაგალითია, რომ ფეხბურთელებს ახალ გარემოსთან შეგუება ხშირად უჭირთ ხოლმე. ივანი ჩვენი ვარჯიშების ტემპს ჯერ ვერ აჰყვა. ჩვენ ვარჯიშზე თითქმის არასდროს ვისვენებთ ხოლმე, რაც პერიშიჩისთვის სიახლეა და ამიტომაც უჭირს. ამასთან, მას სიმსუბუქეც აკლია. მოკლედ, მის დღევანდელ ფორმას არადამაკმაყოფილებლად ვაფასებ,“* - უთხრა კლოპმა გაზეთ „რურ ნახრიხთენს“.

კითხვაზე, რამდენად გამოადგებიან „დორტმუნდს“ გიუნდოგანი და პერიშიჩი ახალ სეზონში, იურგენი ჯერ ვერ პასუხობს - გულახდილად ამბობს, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ამ ეპატზე არ შემიძლიაო. თუმცა კლოპი საერთოდ ერიდება იმაზე ლაპარაკს, რომ დორტმუნდელთა მიზანი აუცილებლად ჩემპიონობის შენარჩუნება იქნება. იურგენის აზრით, უფრო მართებული და აზრიანი იქნება იმის თქმა, რომ „ბორუსიას“ მიზანი ახალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება უნდა იყოს – მიუხედავად იმისა, რომ გუნდი მოქმედი ჩემპიონია. *„იმის თქმა, რომ აუცილებლად ისევ ჩემპიონები უნდა გავხდეთ, სასაცილოა,“* - ამბობს კლოპი.

სამაგიეროდ, დორტმუნდელთა დამრიგებელი ძალიან კმაყოფილია იაპონელი **შინჯი კაგავათი**, რომელმაც გასულ სეზონში, პირველი წრე სენსაციურად ჩაატარა, ზამთარში კი უმძიმესი ტრავმა მიიღო და მთელი მეორე წრე გაუცდა. კლოპი ამიტომაც ამბობს, კაგავაც ახალწვეულივითაა, აღარც კი მახსოვდა, რომ ისიც ჩემი შეგირდი იყოო.

*„იცით, რა არის ნამდვილი სენსაცია? ის, რომ ჩემპიონები კაგავას გარეშე გავხდით! შინჯი კაგავა ძალიან მაგარი ფეხბურთელია. ახალ სეზონში ყველაზე მეტად სწორედ მისი იმედი მაქვს და ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება იმაში, რომ ჩემპიონთა ლიგაშიც გაიბრწყინებს,“* - აცხადებს იურგენი.

კაგავასთან ერთად კლოპის მთავარი იმედი **მარიო გიოტცეა**, რომელმაც შეკრებაზე ასევე ძალიან მოინდომა და ისე გადაიღალა, რომ ბოლო ტესტმატჩში იურგენმა 18 წლის ვარსკვლავი დაასვენა. სამაგიეროდ, კლოპი გიოტცეს სამშაბათს, „ლიგა ტოტალის თასზე“ (მაინცთან) აუცილებლად ათამაშებს. ოთხშაბათს, BVB-ს ან ფინალში მოუწევს თამაში, ანაც მატჩში მესამე ადგილისათვის – მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს „ბაიერნი“ და „ჰამბურგი“ ეთამაშებიან.

„ლიგა ტოტალის თასის“ შემდეგ, დორტმუნდი უკვე არაოფიციალური სუპერთასის მატჩისთვის დაიწყებს მზადებას, რომელიც შაბათს უნდა გაიმართოს და რომელშიც „ბორუსიას“ მეტოქე „შალკე“ იქნება. შაბათის შემდეგ კი, პირველი მატჩი „ვალანსიენთან“ ამხანაგური შეხვედრაა (მომავალ სამშაბათს), რის მერეც, „დორტმუნდს“ ახალი სეზონი უკვე ოფიციალურად ეწყება: 30 ივლისს, გერმანიის თასის პირველი ეტაპია, რომელზეც BVB „ზანდჰაუზენს“ უნდა შეხვდეს. ექვსი დღის შემდეგ კი, ბუნდესლიგის პირველი ტური და „ჰამბურგთან“ სეზონის გახსნითი მატჩია დაგეგმილი.

*„ყველაზე მთავარი ის არის, რომ სეზონის სტარტს ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელი შეხვდეს, თორემ ფაქტია, რომ ფეხბურთის თამაში არ დაგვავიწყებია,“* - ასეთია კლოპის დასკვნა.

**გოტფრიდ ლენცი**

● რეალი

# რეალი 11/12: დებიუტი ბრწყინვალეა

## კალეხონის პირველი, კრიშტიანოს შედევრი და იოზილის ათიანი



ახლახან დევიდ ბექჰემის (№23) გუნდმა კრიშტიანო რონალდოს გოლი გაუშვა

ამერიკაში **რონალდომ** და კომპანიამ **ბექჰემსა & Co**-ზე წაივარჯიშა - 2011/12 წლების სეზონის ფორმაციის „რეალის" დებიუტი ბრწყინვალე იყო, „სამეფო კლუბმა" ამხანაგურ მატჩში „ლოს ანჯელეს გელექსი" მოსრა - 4:1. ამ შეხვედრის ერთ-ერთი გოლის ავტორმა **კრიშტიანო რონალდომ** კი მატჩის შემდეგ ზუსტად ასე თქვა: *ჩინებული ვარჯიში გამოგვივიდაო.* ეს, შესაძლოა, ამერიკული MLS-ისა და „ლოს ანჯელესის" მოყვარულებს ეწყინოთ, თუმცა ფაქტი სახეზეა - უვარჯიშებელი და გამოხშირებული „რეალი" სულ სხვა სამყაროა და „გელექსი", სადაც ტკბილ პენსიას ატარებს ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი კაშკაშა წარმომადგენელი და ყოფილი რეალელი **დევიდ ბექჰემი**, სულ სხვა.

ოთხიდან ერთი გოლი „რეალის" ახალწვეულისაა - **ხოსე კალეხონს**, 24 წლის გარემარბს, რომელიც ჯერ კიდევ მაისში „ესპანიოლის" მაისურით დაქროდა პრიმერაში, 30 წუთი ეყო „რეალის" თეთრ მაისურასთან შესაგუებლად და მან გაიტანა. ამ ეპიზოდში ერთბაშად ორმა ახალწვეულმა იყოჩაღა - **ფაბიო კოენტრაომ** ჩაჭრა ლოსანჯელესელთა გრძელი პასი, კონტრშეტევა წამოიწყო და... შემდეგ ყველაფერი გენიალურად გააკეთა **კაკამ** - ანუ შესანიშნავი პასი გადააწოდა ახალბედა კალეხონს. 9 წუთში მეორე გოლიც გავიდა კალიფორნიელთა კარში - „რეალის" პრესინგმა მოედნის შუაში გაჭრა, **მარსელომ** ბურთი მოიპოვა და საჯარიმოს კუთხეში **ხოსელუ** მოძებნა, „რეალ კასტილიას" ფორვარდმაც შეძლო გატანა, თუმცა აქ ამერიკელი მცველის ბრალიცაა, რომლის რიკოშეტმა მეკარე დააბნია.

მეორე ტაიმში მოედანზე კრიშტიანო რონალდო გამოვიდა და გასული სეზონის „ოქროს ბუცის" მფლობელმა 8 წუთში 3:0 გახადა ანგარიში, გოლი კი სუპერი გამოუვიდა - ერთი მოძრაობით სამი მცველი ჩამოიცილა, ესეც არ იკმარა, ერთ-ერთი მსხვერპლი კიდევ ერთხელ გაამასხარავა და საკმაოდ მახვილი კუთხიდან გაიტანა. ხუთ წუთში კოენტრაოს ჩაწოდებულს თავი **ქარიმ ბენზემამ** დაუხვედრა. ამერიკელებმა პრესტიჟის გოლი მაინც გაიტანეს დამატებაზე თავით **ედამ კრისმენმა** იყოჩაღა - 4:1.

ლოს ანჯელესის მემორიალურ კოლიზეუმში მატჩს 50 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. **ჟოზე მოურინიომ** შესვენებაზე მთლიანად შეცვალა შემადგენლობა. პორტუგალიელ თავკაცს კოპა ამერიკაზე მოთამაშე **გონსალო იგუაინი** და **ანხელ დი მარია** აკლდნენ. ახალწვეული **ნური შაჰინი** კი ტრავმირებულია. მოურინიომ ასეთი სასტარტო შემადგენლობა გამოიყვანა, კარში **იკერ კასილიასი** იდგა, დაცვაც ტრადიციული იყო, მარჯვნიდან მარცხნივ: **სერხიო რამოსი, პეპე, რიკარდო კარვალიო** და მარსელო. ცენტრში მოქმედებდნენ **ესტებან გრანერო** და **სამი ხედირა**. გრანეროს პლეიმეიქერობდა, რაშიც მას დიდად ეხმარებოდა **კაკა**, სამი შემტევი ნახევარმცველიდან ერთ-ერთი, ბრაზილიელი მართლაც ბრწყინვალე იყო, ისევე როგორც მარცხენა ფრთაზე მოქმედი ფაბიო კოენტრაო. სწორედ კოენტრაო გახდა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი. მარჯვნიდან ხოსე კალეხონი უტევდა - ცენტრფორვარდი კი ხოსელუ გახლდათ. მოკლედ, ჟოზემ აჩვენა, რომ სასტარტოში ერთდროულად მარსელოსთვისაც აქვს ადგილი და კოენტრაოსთვისაც, თუ საჭირო გახდა ისინი ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან. მეორე ტაიმში ითამაშეს: **ადანი - არბელოა, ალბიოლი, ვარანი, ნაჩო - ხესე, ჩაბი ალონსო** - რონალდო, **იოზილი, კასადო - ბენზემა.**

*„მოხარული ვარ ამ გამარჯვებით, მეტოქე საკმაოდ რთული იყო. მოგებაზე მეტად ის მიხარია, რომ ფეხბურთელებმა დავალება კარგად შეასრულეს. დღითიდღე ვუმატებთ და ვგრძნობ, რომ სერიოზული მიზნებისთვის მზად ვართ",* - განაცხადა მატჩის შემდეგ ჟოზე მოურინიომ.

ამ თამაშამდე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ არგენტინელი **ესეკიელ გარაი** აღარ არის „რეალის" ფეხბურთელი - ის „ბენფიკამ" გაიფორმა.

ამერიკულ ტურნეზე ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სიახლე ნომრებია: ასე მაგალითად, **ლასანა დიარა** „რეალს" ამერიკაში არ გაჰყოლია და დიდი შანსია, ის მალე სულ სხვა გუნდის წევრი გახდეს. ამ შემთხვევაში კი პრესტიჟული „ათიანი" მესუთ იოზილს ერგება, რადგან სწორედ გერმანელი თამაშობს ტურნეზე ამ ნომრით. გარაის 19 ნომერი რაფაელ ვარანმა მიიღო. ფაბიო კოენტრაო „სამეფო კლუბში" მე-15 ნომრით ითამაშებს. **ფერნანდო გაგოს** ნაქონი 5-იანი ნური შაჰინისაა, 21-ს კი ხოსე კალეხონი დაეპატრონა, რომელიც გასულ სეზონში **პედრო ლეონს** ეცვა. ვიმეორებთ, რომ ეს ყველაფერი ჯერ ოფიციალურად დადასტურებული ფაქტი არ არის...

● ამბავი ერთ სვეტად




### კემპბელი არსენალში

კოპა ამერიკაზე კოსტა რიკის ნაკრებს (რომელიც ძირიდად ახალგაზრდული გუნდით იყო დაკომპლექტებული) დიდად თავი არ გამოუჩენია, თუ არ ჩავთლით ცენტრალურამერიკელთა 19 წლის ფორვარდ **ჯოელ კემპბელს**, ვინც ბოლივიასთან მატჩში გაიბრწყინა. მაშინვე ვივარაუდეთ, რომ ტალანტი შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ ევროპულ კლუბებს და აი, გუშინ ცნობილი გახდა, რომ ლონდონის „არსენალმა" და კოსტარიკულმა „საპრისამ" ყველა საკითხი შეათანხმეს და მომავალი სეზონიდან კემპბელი „არსენალში" ითამაშებს. ამის შესახებ თავად „საპრისას" პრეზიდენტმა **ხუან როხამ** განაცხადა. სხვათა შორის, ლონდონელებს კემპბელი ძალიან იაფი უჯდებათ - სულ რაღაც 1 მილიონი ევრო. თუმცა ჯერ კოსტარიკელმა ბრიტანეთში მუშაობის უფლება უნდა მიიღოს.

### კაპდევილას უშვებენ

„ვილიარეალი" არ დააკავებს მის გამოცდილ მცველ **ხოან კაპდევილას** და მის სანაცვლოდ ვალენსიური კლუბი არაფერს მოითხოვს. ეს გამონაკლისი მსოფლიოს 33 წლის ჩემპიონს დამსახურებისთვის გაუკეთეს. ესპანეთის ნაკრების მარცხენა მცველით ბევრი კლუბი დაინტერესდა, რომელთა შორის ყველაზე დიდი შანსი პორტუგალიურ „ბენფიკას" აქვს.

● ესპანური ტრანსფერები

# ბარსამ ენრიკე შორს გაუშვა

## ბარსა და რეალი ნეიმარისთვის იბრძოლებენ

სანამ ლა ლიგა დაწყებულა (და კიდევ ერთი კვირა ამის შემდეგაც) ესპანური კლუბები განაგრძობენ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას. როგორც ჩანს, დიდი ომია მოსალოდნელი ამ ფრონტზეც, მონაწილენი კი ისევ ისინი არიან, „რეალი" და „ბარსელონა". საქმე იმაშია, და ეს თავად ფეხბურთელის აგენტმაც დაადასტურა, „რეალის" გარდა ბრაზილიელი თინეიჯერის, **ნეიმარის** ყიდვა „ბარსელონასაც" მოუნდომებია. თუკი „რეალი" თანახმაა ნეიმარის ნაცვლად 45 მილიონი ევრო გაიღოს, „ბარსელონა" 50-საც არ იშურებს.

ამასობაში, კატალონიურმა გრანდმა ერთი არასაჭირო ფეხბურთელიც მოიცილა, ბრაზილიელ მცველ **ენრიკე ადრიანო ბუსს** „რასინგში" გატარებული იჯარის პერიოდი დაუსრულდა, „ბარსამ" ამჯერად ის უფრო შორს გაუშვა (ისევ იჯარით) - მშობლიურ ბრაზილიაში, ენრიკე სეზონს „პალმეირასში" გაატარებს. ენრიკეს „ბარსელონაში" ჩემპიონატის მატჩში არც უთამაშია - ის 2008 წლის ზაფხულში გადავიდა კატალონიაში და მას შემდეგ სულ იჯარით თამაშობს, ჯერ გერმანულ „ლევერკუზენში", შემდეგ კი - სანტანდერის „რასინგში". მოკლედ, ლა ლიგამ ერთი კარგი ფეხბურთელი დაკარგა. მართალია, ენრიკე ვერ ახერხებს ბარსელონური კონკურენციის დაძლევას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „რასინგში" ის მოწინავე მცველი იყო.

ბარსელონის კიდევ ერთმა გუნდმა, „ესპანიოლმა" მედიას წარუდგინა ორი ფეხბურთელი: **ექტორ მორენო** და **დიდაკ ვილა**. მორენოში „ესპანიოლმა" ჰოლანდიურ „ალკმაარს" 4 მილიონი ევრო გადაუხადა. დიდაკ ვილა კი „ესპანიოლში" „მილანიდან" დაბრუნდა, ოღონდ, ახლა ის კატალონიაში იჯარით ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




ენრიკე (მარცხნივ) პალმეირასში განათხოვრეს

| თარიღი | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 7 ივლისი | ხუან კარლოსი | რეალი ბ | სარაგოსა | 2,5 მლნ. ევრო |
| 7 ივლისი | კრისტიან საპატა | უდინეზე | ვილიარეალი | 7 მლნ. |
| 7 ივლისი | ფლორიან ლეჟონი | ისტრი | ვილიარეალი | 1 მლნ. |
| 7 ივლისი | ფრან კარნისერი | ხაენი | ოსასუნა | თავ. აგენტი |
| 7 ივლისი | მიჩელი | ვალენსია | ერკულესი | იჯარა |
| 7 ივლისი | მანუ მოლინა | ესპანიოლი | უესკა | იჯარა |
| 8 ივლისი | პაბლო კასერესი | ტიგრე | მალიორკა | თავ. აგენტი |
| 8 ივლისი | ხავი ლოპესი | მალაგა | ხაენი | იჯარა |
| 9 ივლისი | ისკო | ვალენსია | მალაგა | 6 მლნ. |
| 9 ივლისი | მარკო ტორსილიერი | სპორტინგი | რაიო ვალეკანო | იჯარა |
| 9 ივლისი | ხაიმე მორენო | უდინეზე | გრანადა | იჯარა |
| 9 ივლისი | ოიერ სანხურხო | ოსასუნა | სელტა | იჯარა |
| 10 ივლისი | ველიგტონ სილვა | არსენალი | ლევანტე | იჯარა |
| 10 ივილისი | ჯანი ზუივერლონი | ვესტ ბრომვიჩი | მალიორკა | თავ. აგენტი |
| 11 ივლისი | დავიდ კორტესი | ერკულესი | გრანადა | თავ. აგენტი |
| 11 ივლისი | კრისტობალ მარკესი | ვილიარეალი | კარპატი | თავ. აგენტი |
| 11 ივლისი | ედუ რამოსი | მალაგა | ვილიარეალი | თავ. აგენტი |
| 12 ივლისი | ალბერტო პერეა | ატლეტიკო | რაიო ვალეკანო | თავ. აგენტი |
| 12 ივლისი | არონ ნიგესი | ვალენსია | ალმერია | თავ. აგენტი |
| 12 ივლისი | ხერმან პაჩეკო | ატლეტიკო | კარპატი | თავ. აგენტი |
| 12 ივლისი | ხავიერ აკუნია | რეალი ბ | ხირონა | იჯარა |
| 12 ივლისი | რენანი | ვალენსია | ინტერნასიონალი | თავ. აგენტი |
| 13 ივლისი | მიგელ ანხელ საისი | რასინგი | ბარსელონა ბ | 6 მლნ. |
| 13 ივლისი | იკეჩი ანია | სელტა | გრანადა | თავ. აგენტი |
| 13 ივლისი | პედრო ბარანკოსი | გრანადა | კადისი | იჯარა |
| 13 ივლისი | სანი | ვალენსია | ნუმანსია | თავ. აგენტი |
| 14 ივლისი | ჟილვან ვიეირა | უესკა | ერკულესი | 0,6 მლნ. ევრო |
| 14 ივლისი | ხუან კარლოსი | ვილიარეალი | ელჩე | იჯარა |
| 14 ივლისი | ალეხანდრო დომინგესი | ვალენსია | რივერი | იჯარა |
| 14 ივლისი | დანი ბენიტესი | უდინეზე | გრანადა | იჯარა |
| 14 ივლისი | რუი ფონტე | სპორტინგი | ესპანიოლი | იჯარა |
| 14 ივლისი | ბენხა | ბარსელონა ბ | ხირონა | თავ. აგენტი |
| 15 ივლისი | ივან ბოლადო | რასინგი | კარტახენა | თავ. აგენტი |
| 15 ივლისი | ჟოზი ალტიდორი | ვილიარეალი | ალკმაარი | თავ. აგენტი |
| 15 ივლისი | ენრიკე | ბარსელონა | პალმეირასი | იჯარა |
| 16 ივლისი | ჯონ. დოს სანტოსი | ბარსელონა ბ | სარაგოსა | 1 მლნ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

მეოთხედფინალური მატჩები

# პერუმ რუბიკონი გადალახა

მატჩის შემდეგ პერუს ნაკრების ურუგვაელი მწვრთნელი **სერხიო აპრაჰამ მარკარიანი**, რომელსაც შვიდიდან 18 წლამდე ბავშვობა არგენტინაში აქვს გატარებული, ნახევარფინალში გასვლისთვის ღმერთს მადლობას სწირავდა.

*„დიდება უფალს დღევანდელი გამარჯვებისთვის - თქვა მან - კოლუმბიას პენალტი რომ გაეტანა, სულ სხვა ამბის მომსწრენი გავხდებოდით. ამ შეხვედრაში ჩემმა ფეხბურთელებმა უდიდესი ძალისხმევისა და დისციპლინის წყალობით გაიმარჯვეს, რაც ძნელი იყო, რადგან მეტოქე საოცარი ენერგიისა და ფიზიკური შესაძლებლობების მქონე გუნდი იყო“.*

მარკარიანმა თქვა, რომ მისმა მოთამაშეებმა იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ იმ შემთხვევაშიც, თუ საქმე ცუდად წავიდოდა: *„ჩვენი გუნდი თანდათანობით სწავლობს, როგორ მოიგოს. პერუს ნაკრებს აღარ სჭირდება მარცხის გაიშვიათებული ჟანგბადისთვის, წვიმისა და მცხუნვარე მზისთვის დაბრალება. ბიჭებმა ერთსულოვნად ითამაშეს და გაიმარჯვეს. რომ არა ერთსულოვანი გუნდური მოქმედებები, დავმარცხდებოდით. მეტიც, დღეს შესაძლოა სწორედ ის თამაში შედგა, რომელიც პერუს ნაკრების ცხოვრებას მანამდელ და შემდგომ პერიოდებად დაყოფს. დღეს ჩვენ მარტო „კოპა ამერიკაზე“ კი არ გადავდგით დიდი ნაბიჯი, არამედ ზოგადად, როგორც კოლექტივმა. ამიერიდან ჩვენ სულ სხვა გუნდი ვიქნებით“.*

კოლუმბიის ნაკრების თავკაცმა **ერნან „ბოლილო“ გომესმა** კი დამარცხება **ფალკაოს** მიერ მეორე ტაიმის მე-20 წუთზე ვერგატანილ პენალტს დააბრალა. მან თქვა:

*„საქმე დამატებით დრომდე სულ არ უნდა მიგვეყვანა, მაგრამ რას იზამ. ფეხბურთს ასეთი რალაცები სჩვევია. არადა, ცუდად არ გვითამაშია. რამდენიმე საგოლე მომენტიც გვქონდა... პენალტებს კი ფალკაო, როგორც წესი, მიზანში არტყამს. მაინცდამაინც დღეს გაუმრუდდა ფეხი. ბოლივიასთან გაიტანა, დღეს კი ვერა“.*

პერუს ნაკრებს გამარჯვება ქვეყნის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **ოილანტა უმალამაც** მიულოცა.

*„გმადლობთ, ბიჭებო! ჩვენი ხალხი ამ სიხარულისთვის დიდ მადლობას გიძღვნით. პერუს სიყვარულითა და მონდომებით ყოველთვის დიდ საქმეებს გავაკეთებთ“.*

ამრიგად, **კარლოს ლობატონისა** და **ხუან ვარგასის** მიერ დამატებით დროში გატანილი გოლებით პერუს ნაკრებმა კოლუმბია დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მანამდე, შეხვედრას საკვანძო მომენტი ჰქონდა — კოლუმბიელთა ვარსკვლავმა ფალკაომ პენალტი ვერ გაიტანა. კიდევ ერთ ეპიზოდში, მისმა მეწყვილე-ფორვარდმა, **დაირო მორენომ** (სწორედ მისი წაქცევის გამო დაინიშნა ხსენებული თერთმეტმეტრიანი) ძლიერი დარტყმით პერუელთა კარის ძელი შეაზანზარა, მეორე ნახევრის მიწურულს კი **ფრედი გუარინის** „გასროლილს“ **რაულ ფერნანდესმა** თითი ჰკრა და შემდეგ ბურთი კვლავ ძელმა აისხლიტა.

აქ ჩავურთავთ, რომ კოლუმბიამ მეოთხედფინალში ამაყად შეაბიჯა, A ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვა, პერუ კი C ჯგუფის მესამე ადგილით გაძვრა, მაგრამ, მათ შეხვედრაში მოხდა ის, რაც პლეი-ოფების ისტორიაში ადრეც ბევრჯერ მომხდარა — გაიმარჯვა გუნდმა, რომელსაც წაგებას უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა, წინასწარმეტყველება რად გვინდა, როდესაც ყველამ კარგად დაინახა, რომ ზოგადად კოლუმბიამ უკეთ ითამაშა, პერუმ კი, საქმე საქმეზე რომ მიდგა, მეტი სიზუსტე გამოიჩინა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პირველი ტაიმი მოსაწყენი იყო, მოვლენები მეორე ნახევრიდან განვითარდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად „კოპა ამერიკას“ ოფიციალური ვებგვერდის, მომხმარებელმა პერუს ნაკრებისა და იტალიური „ფიორენტინას“ 27 წლის მცველ-ნახევარმცველი **ხუან ვარგასი** დაასახელა. ვარგასს მიმდინარე ტურნირზე ეს პატივი მეორედ ერგო. ამჯერად მას 19,5 პროცენტმა მისცა ხმა.

*„ამ დაძაბული შეხვედრის ბოლომდე ჩემი ქვეყნის სიყვარულმა გამაძლებინა — თქვა საუკეთესომ — ჰაერი აღარ მყოფნიდა, მაგრამ თავს ძალას ვატანდი. ბიჭებს ვერ ვუღალატებდი“.*

| კოლუმბია | 0 | 0 | პერუ |
|---|---|---|---|

**დამატებით დროში 0:2**

**კოლუმბია:** ლ. მარტინესი, სუნიგა, პერეა, იეპესი, არმერო, სანჩესი (112. ჯ. მარტინესი), აგილარი (104. გუტიერესი), გუარინი, მორენო, რამოსი (72. როდალეგა), ფალკაო.

**პერუ:** ფერნანდესი, რევორედო, რამოსი, როდრიგესი, ვილჩესი, ადვინკულა (46. ლობატონი), ბალბინი, კრუსადო (118. ბალონი), ვარგასი, ჩიროკე (95. იოტუნი)

**გოლები:** 0:1 ლობატონი (101), 0:2 ვარგასი (111)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
**ხუან ვარგასი (პერუ)**



მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი ხუან ვარგასი (მარცხნივ)

# მი(ე)სია შეუძლებელია!

| არგენტინა | 1 | 1 | ურუგვაი |
|---|---|---|---|

**პენალტებით 4:5**

**არგენტინა:** რომერო, საბალეტა, ბურდისო, მილიტო, ძანეტი, გაგო (96. ბილია), მასკერანო, დი მარია (72. პასტორე), მესი, აგუერო (83. ტევესი), იგუაინი.

**ურუგვაი:** მუსლერა, მ. პერეირა, ლუგანო, ვიქტორინო (19. სკოტი), კასერესი, პერესი, რიოსი (109. ეგურენი), გონსალესი, ა. პერეირა (109. გარგანო), ფორლანი, სუარესი.

**გოლები:** 0:1 პერესი (5), 1:1 იგუაინი (17)
**გაძევება:** პერესი (38), მასკერანო (86)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
**ფერნანდო მუსლერა (ურუგვაი)**

სანტა ფეს „ესტადიო ბრიგადიერ ხენერალ ესტანისლაო ლოპესზე“ ურუგვაიმ არგენტინა „კოპა ამერიკადან“ გააგდო. ვერ უშველა ბრიგადის გენერალმა **ლეო მესისა** და მის თანაგუნდელებს, არადა საქმე მასპინძელთათვის ცუდად არ მიდიოდა. მართალია, ანგარიში ურუგვაელმა **დიეგო პერესმა** შეხვედრის დაწყებისთანავე გახსნა, მაგრამ მე-17 წუთზე **გინსალო იგუაინმა** გაქვითა, პირველი ტაიმის მიწურულს კი უკვე ნახსენები პერესი პარაგვაელმა მსაჯმა, **კარლოს ამარილიამ** მოედნიდან გააგდო - თითქოსდა, მეტი რაღა უპირატესობა უნდოდათ არგენტინელებს. მაგრამ მათ პირველი ნახევრის დარჩენილ 6 და მეორეს 86 წუთში რიცხობრივი უპირატესობით ვერ ისარგებლეს, რის შემდეგაც წითელი ბარათების რაოდენობა გათანაბრდა — ამარილიამ მოედნიდან **ხავიერ მასკერანოც** დაითხოვა. ამასობაში ძირითადი დრო დასრულდა, დამატებულში კი გოლები არ გასულა და დადგა პენალტების ჯერი, სადაც თავი ურუგვაელთა მეკარე **ფერნანდო მუსლერამ** გამოიჩინა. მან **კარლოს ტევესის** პენალტი მოიგერია, თუმცა, ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ ბუენოს აირესში დაბადებულმა „ლაციოს“ მეკარემ მთელი შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარა. მომხმარებელმა ურუგვაელთა გოლკიპერი მატჩის გმირად ტყუილად არ დაასახელა.

ნახევარფინალში ურუგვაის ეროვნული გუნდი, რომელსაც მეტსახელად ერთ-ერთი ადგილობრივი ტომის ეშხით ჩარუასს ეძახიან, სამშაბათს პერუს ხვდება.

**ოსკარ ტაბარესის** გუნდმა მასპინძლები მე-5 წუთზევე დაზაფრა: **დიეგო ფორლანმა** მოედნის სიღრმიდან, ჯარიმიდან პირდაპირ საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, რომელსაც ორივე გუნდის ფეხბურთელთა დიდი ჯგუფიდან **მარტინ კასერესი** შესწვდა და თავური დაარტყა. არგენტინელების მეკარე **სერხიო რომერომ** ეს დარტყმა კარგი ნახტომით მოიგერია, მაგრამ რად გინდა, მცველებს მარჯვენა ფრთა მთლიანად მოშიშვლებული დარჩათ, სადაც პერესმა ჩაირბინა და ბურთი კარში უპრობლემოდ შეაგდო.

ურუგვაელთა უპირატესობა 12-წუთიანი გამოდგა. ამის შემდეგ „ბარსელონასა“ და „რეალის“ ფეხბურთელების თანამშრომლობამ არგენტინელებს სიხარული მოჰგვარა: მესის ბრწყინვალე პასით იგუაინმა ისარგებლა, როგორც დაგეშილ ცენტრფორვარდებს სჩვევიათ, მცველებს დაუსხლტა და ბურთს თავი მიჰკრა - 1:1. ტაიმის მიწურულს კი, როგორც მოგახსენეთ, ურუგვაელებს მორიგი უსიამოვნება შეემთხვათ — პერესმა **ფერნანდო გაგოს** წინააღმდეგ უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დაატოვებინეს.

მეორე ტაიმში, რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, მასპინძლებმა გოლი ვერ გაიტანეს. მეტიც, არგენტინელებს დაცვაში ჰქონდათ პრობლემები და **ლუის სუარესმა** კინაღამ მათ შეუგდო, თუმცა გადალმა კართან მეტი ხიფათი შეიქმნა - მუსლერას მესიმ, იგუაინმა და **სერხიო აგუერომ** ვერ გაუტანეს. ბოლოს, მასკერანომ სუარესის წინააღმდეგ იუხეშა, მისთვის ეს მეორე ყვითელი ბარათი გამოდგა და დამატებით დროში ორივე გუნდი ათ-ათი კაცით დარჩა მოედანზე.

ერთ ეპიზოდში იგუაინმა შესანიშნავი მომენტი გაუშვა ხელიდან — ძელს გაარტყა ბურთი. არგენტინელთა შემადგენლობაში მეორე ტაიმის მიწურულს შესულმა **ხავიერ პასტორემ** და ტევესმა დამატებით 30 წუთში მეტოქეს ერთიორი პრობლემა კი შეუქმნეს, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, საქმე მატჩისშემდგომი პენალტების სერიაზე მიდგა, სადაც კვლავ მუსლერამ იყოჩაღა.

*„ძალიან ბედნიერები ვართ, ნახევარფინალში რომ გავედით. ვგრძნობ, რომ ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩავატარე. ვულოცავ ურუგვაელ ხალხს. ჩვენი გუნდი ასეთ წარმატებას იმსახურებდა. არგენტინელებს ათი კაცითაც ვჯობდით. რაც შეეხება პენალტებს... ეს უბრალოდ იღბლის ამბავია“.*

მცველი **დიეგო ლუგანო:** *„ჩვენ უფრო ვიბრძოლეთ, ვიდრე ვითამაშეთ. საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ დიდი გზაა. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ უკვე რამეს მივაღწიეთ. უბრალოდ, ძლიერი მოწინააღმდეგე გამოვთიშეთ შეჯიბრებას“.*



ტევესის დარტყმული პენალტი მუსლერამ მოიგერია

არგენტინის ნაკრების თავკაცმა **სერხიო ბატისტამ** კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ურუგვაისთან დამარცხება კატასტროფა არ არის და კმაყოფილია იმ ფეხბურთით, რომელიც მისმა ბიჭებმა „კოპა ამერიკაზე“ აჩვენეს.

*„ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ეს კატასტროფა იყო — ბრძანა ბატისტამ — ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ „კოპა ამერიკა“ რომ მოგვეგო, მაგრამ ვერ შევძელით. კატასტროფა, ჩავარდნა... ეს მეტისმეტად მძაფრი სიტყვებია. ურუგვაისთან შეხვედრის პირველ ნახევარში შესანიშნავად ვითამაშეთ, შემდეგ კი მოვიშალეთ, რადგან შევატყვეთ, რომ ჩვენს უპირატესობას გოლებით ვერ გამოვხატავდით. დღეს საგოლე მომენტები შევქმენით, მაგრამ გოლები ვერ გავიტანეთ.*

*თანამდებობიდან გადადგომა აზრადაც არ მომსვლია. გული, რასაკვირველია, ძალიან დამწყდა, მაგრამ ასეთ დროს ადამიანი უნდა გამაგრდეს და მუშაობა განაგრძოს. მე საქმეს სულ ხუთიექვსი თვის წინ შევუდექი და ჯერ არაფერი მომისწრია. რასაკვირველია, „კოპა ამერიკას“ მოგება გვინდოდა, მაგრამ ეს ტურნირი ჩვენთვის მთავარი ნამდვილად არ იყო. ჩვენი უდიდესი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებაა. ჩვენ ტექნიკურ და ფსიქოლოგიურ საკითხებზე მუშაობას განვაგრძობთ“.*

ლეო მესიზე კი ბატისტამ თქვა, რომ 30 წუთის განმავლობაში ის შეუდარებელი იყო.

გამარჯვებულმა მწვრთნელმა ტაბარესმა კი ბრძანა, აი ახლა ნამდვილად ავთამაშდითო.

*„რაც უფრო გვჭირდება, მით უფრო მაღალი დონის ფეხბურთს ვთამაშობთ. არგენტინასთან მოგება, რასაკვირველია, უნდა ვიზეიმოთ, მაგრამ... ჯერჯერობით მხოლოდ გასახდელში“.*

პერუს ნაკრებთან ნახევარფინალურ შეხვედრაზე კი ტაბარესმა თქვა, რომ ეს თანაბარი ძალის გუნდების დაპირისპირება იქნება.

*„ძნელი იქნება, მაგრამ უნდა გავიმარჯვოთ. ამას ჩვენგან ხალხი ელის“.*

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბაიერნი

# 44 მილიონი დახარჯულია და ჩემპიონობაც ნაყიდია?

## ორ წელიწადში ერთხელ, მიუნხენში ყველაფერი კარგადაა ხოლმე...



ჟერომ ბოატენგი და ბასტიან შვაინშტაიგერი

„ბაიერნის" მთავარი ახალწვეული, 22 წლის მცველი **ჟერომ ბოატენგი** მიუნხენში პარასკევს ჩავიდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და რეკორდმაისტერთან ოთხწლიანი კონტრაქტს ხელი მოაწერა. ეს ტრანსფერი ბავარიელებს 13.5 მილიონი ევრო დაუჯდათ – გერმანიის ნაკრების მცველი „მანჩესტერ სიტიდან" იყიდეს.

ყველაფერთან ერთად, ბოატენგის ტრანსფერი იმასაც ნიშნავს, რომ „ბაიერნმა" ტრანსფერებში უკვე 44 მილიონი ევრო დახარჯა, რაც ნებისმიერი სხვა გერმანული კლუბის მერ დახარჯულ თანხებს მნიშვნელოვნად აღემატება. შედარებისთვის, ვიცე-ჩემპიონმა „ლევერკუზენმა" ზაფხულის ტრანსფერებში მხოლოდ 11 მილიონი ევრო გაიღო, მოქმედმა ჩემპიონმა დორტმუნდის „ბორუსიამ" კი სულაც მხოლოდ 10 მილიონი.

როცა „ბაიერნის" ბოსები ჯიბეზე ხელს გვარიანად გაიკრავენ, ასეთი შემთხვევები კი ორ წელიწადში ერთხელ ფიქსირდება, რეკორდმაისტერი უპრობლემოდ ხდება ხოლმე გერმანიის ჩემპიონი. ამრიგად, ნიშნავს თუ არა 44 მილიონის დახარჯვა იმას, რომ „ბაიერნმა" ამ ფულით ფაქტობრივად გერმანიის ჩემპიონობა იყიდა?

2004 წელს გერმანიის ჩემპიონი ბრემენის „ვერდერი" გახდა, რის შემდეგაც „ბაიერნის" ბოსებმა ტრანსფერებში გვარიანი თანხა დახარჯეს და ზედიზედ ორჯერ „ვერცხლის სინი" ალარავის დაუთმეს - 2005 და 2006 წლებში რეკორდმაისტერმა ბუნდესლიგაში უპრობლემოდ იპირველა. აი, 2007-ში კი, ყველასათვის მოულოდნელად, „ვერცხლის სინი" „შტუტგარტმა" მოიგო, რაზეც **ული ჰიონესსა** და კომპანიას ისე მოეშალათ ნერვები, რომ ახალ ფეხბურთელებში 88 მილიონი ევრო დახარჯეს და სხვებთან ერთად ისეთი სუპერვარსკვლავები შეიძინეს, როგორებიც არიან თუ იყვნენ **ფრანკ რიბერი, ლუკა ტონი** და **მიროსლავ კლოზე**. შესაბამისად, 2008 წელს „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონი გახდა და თანაც, მეორეადგილოსან „ვერდერს" 10 ქულით გაასწრო.

აქედან გამომდინარე, 2008 წლის ზაფხულში ბავარიელებს სატრანსფერო ბაზარზე დიდად აღარ უაქტიურიათ და შედეგმაც არ დააყოვნა: 2009 წელს გერმანიის ჩემპიონი არა „ბაიერნი", არამედ „ვოლფსბურგი" გახდა! ისევ გაიკრა ჯიბეზე ხელი ჰიონესმა და შეიძინა ჯერ **მარიო გომესი**, მერე კი **არიენ რობენი** და 2010 წელს მიუნხენურმა გრანდმა ისეც მოიპოვა ვერცხლის სინი – „შალკეს" ხუთი ქულით გაასწრო.

წელს ბავარიელები ისევ მწარე რეალობის წინაშე დადგნენ – ჩემპიონობის დაკარგვას ვინ ჩივის, მეორე ადგილზეც ვერ გავიდნენ და სეზონის ბოლომდე ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაც არ ჰქონდათ განაღდებული. **მანუელ ნოიერი, რაფინია, ჟერომ ბოატენგი** - 44 მილიონი უკვე დახარჯულია და გამორიცხული არაა, რომ სექტემბრამდე „ბაიერნმა" კიდევ ერთი ვარსკვლავი დაიმატოს (ამბობენ, მიუნხენელები „რომას" თავდამსხმელ **მირკო ვუჩინიჩს** უმიზნებენო).

*„ყველა წინაპირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ ჩემპიონობა დავიბრუნოთ. გვყავს ახალი, ძალიან გამოცდილი და მაგარი მწვრთნელი და გვყავს ახალი ფეხბურთელები, რომლებმაც სიცარიელეები ამოავსეს,"* - აცხადებს „ბაიერნის" მენეჯერი **კრისტიან ნერლინგერი.**

მოქმედი ჩემპიონის, „დორტმუნდის" მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპიც** აღიარებს, რომ ახალ სეზონში ჩემპიონობის მთავარი კანდიდატი ისევ „ბაიერნი" იქნება. კლოპი ამბობს, იმდენი ფული დახარჯეს, რომ სხვა რამის თქმა აბსურდი იქნებოდაო და რეკორდმაისტერს იქვე წნეხის ქვეშაც აქცევს, ჩვენ რომ ამდენი ფულის ხარჯვა შეგვეძლოს, ჩემპიონთა ლიგას მოვიგებდითო.

### ბრენო პორტო ალეგრეს უნდა

**ბოატენგის** ტრანსფერი იმასაც ნიშნავს, რომ 21 წლის ბრაზილიელ მცველ **ბრენოს** ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი აღარ აქვს, რადგან „მანჩესტერ სიტიდან" ნაყიდ უკანახაზელთან წყვილში ან დანიელ **ვან ბუიტენი** ითამაშებს, ანაც **ჰოლგერ ბადშტუბერი**. შესაბამისად, ბრენო ცენტრალურ მცველებს შორის უკვე მეოთხე ნომერია. ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, „ბაიერნის" ხელმძღვანელებს მოთმინების ფიალა აევსოთ და ველარ დაელოდებიან, როდის გამოავლენს ბრენო თავის ნიჭსო. არადა, ჰიონესმა ბრაზილიელი მცველი ერთ დროს ასე დაახასიათა: *„ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მცველს ვყიდულობთ!"*



ჟერომ ბოატენგი ბაიერნში წარადგინეს

მოკლედ, დიდი შანსია, რომ ბრენო მიუნხენიდან აიბარგოს. „ბილდის" ცნობით, მისი ყიდვა „ინტერნასიონალ პორტო ალეგრეს" უნდა. ამბობენ, მისით „სან პაულო" და „ფლამენგოც" არიან დაინტერესებულებიო, მაგრამ ბრენო „პორტო ალეგრეს" ანიჭებს უპირატესობას.

ბრაზილიელს „ბაიერნთან" კონტრაქტი 2012 წელს უმთავრდება და თუ მასში ფული არ გადაიხადეს, გაისად მიუნხენს უფასოდ დატოვებს. ბავარიელებს ბრენოში თავის დროზე 11 მილიონი ევრო აქვთ გადახდილი და როგორც ხედავთ, ეს წყალში გადაყრილი ფულია, რადგან ბრენო რეკორდმაისტერს ფეხბურთელად არაფერში გამოადგა, ახლა კი, გუნდს ან უფასოდ დატოვებს, ანაც... ახლა მასში 11 მილიონს კი არა, 4-საც არ გადაიხდიან...

● ვოლფსბურგი




ფელიქს მაგათი კმაყოფილია

„ვოლფსბურგმა" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული ფრანკფურტის „აინტრახტიდან" ცენტრალური მცველი **მარკო რუსი** იყიდა, რის შემდეგაც „მგლების" 57 წლის დამრიგებელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** დამშვიდებულია – „დესპოტი ფელიქსი" ფიქრობს, რომ „ვოლფსბურგი" დაცვაში კარგადაა დაკომპლექტებული. მაგათს რუსის ყიდვა ისედაც უნდოდა, მაგრამ 32 წლის **არნე ფრიდრიხის** ტრავმამ ტრანსფერი დააჩქარებინა – ეს უკანასკნელი ორიოდე კვირის წინ დაშავდა.

*„ფრიდრიხის ტრავმამ ძალიან დამამწუხრა, მაგრამ მარკო რუსის ყიდვის შემდეგ მშვიდად ვარ. ჯერ ერთი, იმედი მაქვს, რომ ფრიდრიხი პირველივე წრეში დაგვიბრუნდება და რომც ვერ დაბრუნდეს, მაინც ვფიქრობ, რომ დაცვის ხაზში კარგად ვართ დაკომპლექტებულები,"* - უთხრა მაგათმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

სადღეისოდ, „დესპოტი ფელიქსის" განკარგულებაში სამი კარგი ცენტრალური მცველია: ზემოთ ხსენებული მარკო რუსი, **ალექსანდერ მადლუნგი** და დანიელი **სიმონ კიაერი.**

● სავარაუდო ტრანსფერი

# ვიდალი იუვეს უახლოვდება

როგორც ჩანს, მიუნხენის „ბაიერნმა" „ლევერკუზენისა" და ჩილეს ნაკრების ნახევარმცველ **არტურო ვიდალისთვის** ბრძოლაში მარცხი განიცადა. „ბილდის" ინფორმაციით, 23 წლის ნახევარმცველი ტურინის „იუვენტუსში" გადასვლასთან ძალიან ახლოსაა. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, რომ „ბებერი ქალბატონი" „ლევერკუზენს" 15 მილიონ ევროს სთავაზობს, რაც „ბაიერნის" წინადადებაზე გაცილებით უკეთესი შეთავაზებაა. მიუნხენელები ვიდალში მხოლოდ 11 მილიონს იხდიდნენ და რეკორდმაისტერის პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** არაერთხელ თქვა, ამ ფეხბურთელში 11 მილიონზე მეტს არ გადავიხდითო. გარდა იმისა, რომ „ლევერკუზენს" „იუვენტუსი" გაცილებით უკეთეს წინადადებას სთავაზობს, „ფარმაცევტებს" არ უნდათ, რომ ვიდალი უშუალო კონკურენტს მიჰყიდონ.

ცნობილია, რომ ვიდალის შეძენა „მილანს" და „ნაპოლისაც" სურთ, მაგრამ „ბილდის" ინფორმაციით, ერთადერთი კლუბი, რომელმაც „ლევერკუზენს" ოფიციალურად მიმართა, „იუვენტუსია" და 15 მილიონიც ისეთი წინადადებაა, რომელზეც „ფარმაცევტები" უარს ვერ იტყვიან.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ

განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი კომფორტული სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს, ველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაჟის ჭიდაობა, მსოფლიოს ჩემპიონატი



# წვიმა და პლაჟი ბათუმში

ბათუმში გუშინ დამთავრებულ პლაჟის ჭიდაობაში მსოფლიოს V ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდნენ ქართველი მოჭიდავეები. უფროსმა ვაჟებმა 3 ოქრო მოიპოვეს – **ალეკო ამინაშვილმა** (70), **ბექა ჭელიძემ** (90) და **ლევან ბერიანიძემ** (+90). ამავე ასაკში ქალებმა ერთი ოქრო, ორი ვერცხლი და ერთიც ბრინჯაო დაისაკუთრეს. ჩემპიონი მძიმეწონოსანი **ლია გვიანიძე** გახდა. ამავე წონაში ვერცხლი **ირინე ლეონიძემ** მოიპოვა, (70) - ში - **შორენა შარაძემ**, ბრინჯაოს მედალოსანი კი **დარინა აბულაძემ** (60) გახდა. უკეთ იჭიდავეს ახალგაზრდებმა, რომლებმაც 3 ოქრო, ამდენივე ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიხვეჭეს. ჩემპიონები **ბიჭიკო აბუსერიძე (60), ზვიად მეკეიძე** (70) და **სანდრო ამინაშვილი** (80) გახდნენ. ვერცხლის მედლებს **სოსო ივანიშვილი** (60), **ჯონი ქადიძე** (80) და **ვეფხვია ჯიჯავაძე** (+80) დაეუფლნენ, **ირაკლი მოსიძე** (70) და **რევაზ ივანიშვილი** (80) კი მესამეზე გავიდნენ. ამავე ასაკში ჩვენი გოგოებიდან მედალი **ნათია დიასამიძემ** (60) მოიპოვა – ბრინჯაო.

გოგოებში შეჯიბრებები არც გამართულა, რადგან მხოლოდ ერთი მონაწილე გამოდიოდა - ყაზახი **ანარ ხამიტოვა** (+50) და ოქრო უბრძოლველად გადაეცა. აქ ჩვენმა ჭაბუკებმა 3 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს. **გურამ დავითაძე** (60), **ასლან მეკეიძე** (70) და **ნოდარ კურტანიძე** (+70) ჩემპიონები გახდნენ. მეორეზე **ვახტანგ მთიულიშვილი** (60) და **ჰუსეინ ირემაძე** (+70) გავიდნენ, ბრინჯაო კი **შოთა ფარტენაძეს** (60) ხვდა.

გუნდურ ჩათვლაში საქართველომ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, მეორეზე ყაზახეთი, მესამეზე კი აზერბაიჯანი გავიდა.

ამინდის ჭირვეულობის გამო სამ დღედ გათვლილი ეს ტურნირი ერთ დღეში მოთავდა. თუმცა პირველობის შეკვეცას მხოლოდ ამინდსაც ვერ დავაბრალებთ – პარასკევს გასამართი ჭაბუკთა პირველობა შაბათისთვის უცხოელ მონაწილეთა სიმცირის გამო გადმოიტანეს. აი, შაბათს კი სტუმრებს ბათუმი მისთვის ჩვეული კოკისპირული წვიმით შეხვდა. ამიტომ ღია ცის ქვეშ, პლაჟზე ჭიდაობა შეუძლებელი გახდა და შეხვედრათა უმეტესობა კვირისთვის გადადეს. ამასობაში უცხოელები ჭაბუკთა შორისაც გამოჩნდნენ და გუშინ სამივე ასაკის ქალებმა და ვაჟებმა ერთად იჭიდავეს. მონაწილეებსა და ორგანიზატორებს ამჯერად გაუმართლათ – გუშინ ბათუმში არ წვიმდა. არც მზე აჭერდა იმდენად უმოწყალოდ, თუმცა ჩახუთული ჰაერის გამო გვარიანად კი ცხელოდა. ბოლო ხანებში სტინგის დონის ვარსკვლავთა შოუებით განებივრებულმა ბათუმელმა მაყურებელმა მორიგი სანახაობა იხილა.

მოგეხსენებათ, ჭიდაობის ეს სახეობა ახალი ხილია და საერთაშორისო ფედერაცია მისი განვითარებისთვის ძალებს არ იშურებს. ახლაც ბათუმში ლოზანიდან, FILA-ს ჩინმაღალი დელეგაცია იმყოფებოდა პრეზიდენტ **რაფაელ მარტინეტის** ხელმძღვანელობით, რომელიც ამ ტურნირზე არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებსაც განიხილავდა. ამაზე ქვემოთ, მანამ კი ისევ მსოფლიოს ჩემპიონატს დავუბრუნდეთ.

საბედნიეროდ, მან მონაწილეთა იმაზე ცოტა მეტი ინტერესი გამოიწვია, ვიდრე თავიდან ველოდით. წინასწარი ინფორმაციით, ტურნირში 11 გუნდი უნდა გამოსულიყო, მაგრამ 14 ნაკრები ჩამოვიდა. უმეტესობა ზღვისპირა ქვეყნიდან, თუმცა იყვნენ ისეთებიც ზღვა და პლაჟი საერთოდ რომ არ გააჩნიათ. მაგალითად, სომხეთი. მათ გარდა ჩემპიონატში გამოდიოდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის, ინდოეთის, ნორვეგიის, შვედეთის, უკრაინის, ყაზახეთის, ესტონეთის, აშშ-ს და სხვათა გუნდები. მონაწილეებს ყველაზე გვიან ესტონელები და ამერიკელები შემოუერთდნენ. იყო წონითი კატეგორიები, სადაც მონაწილეთა სიმცირის გამო ყველა მედალი არც გათამაშდა, თუმცა ჭიდაობაში, ასაკობრივ შეჯიბრებებში ეს, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი ამბავი ხდება.

ცხადია, წარმატებული გამოსვლა მასპინძელთათვის პრიორიტეტული იყო და დასახული ამოცანა წარმატებითაც შეასრულეს – როგორც გითხარით, გუნდური პირველობა დიდი უპირატესობით მოიგეს. ჩვენი გუნდის ყველაზე გამორჩეული ლიდერი მაინც უფროსებში მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი ლევან ბერიანიძე იყო, რომელმაც გაამართლა ფავორიტის იმიჯი.

ახლა კი იმ საქმიან შეხვედრებზე, რაც ბათუმში სტუმრობისას მარტინეტიმ და მისმა ქვეშევრდომებმა გამართეს. საქმე 2013 წლის ევროპის პირველობის თბილისში გამართვას ეხება, თუმცა ბათუმში კიდევ ერთხელ დაგვიდასტურეს, რომ ეს საქმე საბოლოოდ სექტემბერში სტამბოლში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გადაწყდება. როგორც შევიტყვეთ, იქ ჩვენი კონკურენტები უნგრეთი, თურქეთი და რუსეთი იქნებიან. მათ განაცხადი ჯერ კიდევ მარტის ბოლოს დორტმუნდში გამართულ ევროპის პირველობაზე გაუკეთებიათ. ოღონდ ეს იყო ზოგადი განაცხადი – ახალგაზრდების პირველობა იქნებოდა თუ უფროსებისა, მათთვის სულ ერთი იყო, რომლის მასპინძლობის უფლებასაც მისცემდნენ, ჩვენები კი მიზანმიმართულად უმიზნებენ უფროსთა შეჯიბრებას. სათანადო განაცხადს სტამბოლში წარადგენენ. ბათუმში ისიც შევიტყვეთ, რომ ევროპის შემდეგ მსოფლიოს ჯერი დადგება – საქართველო 2017 ან 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე შეიტანს მოთხოვნას.

**ირაკლი თავაძე**
ბათუმიდან

ჭადრაკი

# ნანამ სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა

ჩინეთში მოჭადრაკე ქალთა წრიულ სუპერტურნირში გასულ უქმეებზე ორი ტურის პარტიები გაიმართა. მას შემდეგ, რაც პარასკევს **ნანა ძაგნიძე** ჩინელ **ძიუ ვენძიუნთან** დამარცხდა, შაბათს შავი ფიგურებით ფრანგ **მარი სებაგს** დანებდა. მართალია, ეს შეჯიბრება, როგორც ვთქვით, სუპერტურნირია, თანაც ვენძიუნი და სებაგი ხელწამოსაკრავი დიდოსტატები არ არიან, მაგრამ ორივესთან პირწმინდად ნაგებას ძაგნიძისგან ნამდვილად არ ველოდით. ზედიზედ ორმა წარუმატებლობამ ქართველ მოჭადრაკეს, ეტყობა ცივი შხაპი გადაავლო. ნანამ გუშინ ჩვეულ სტილში ძლია უკრაინიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლებულ **ანა ზატონსკიხს**. კვლავ იმარჯვა ძიუ ვენძიუნმა - მე-4 ტურში მან თანამემამულე **ჩჟაო სიუს** გააჩერებინა საათი.

გაუწყებთ ჩინეთის სუპერტურნირის მესამე-მეოთხე ტურების შედეგებს.

**III ტური.** მარი სებაგი (საფრანგეთი)-ნანა ძაგნიძე (საქართველო) 1:0, ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი)-ჰოუ იფანი (ჩინეთი) 0,5:0,5, ჟუ ჩენი (ყატარი)-ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) 0:1, ტატიანა კოსინცევა (რუსეთი)-ჟაო სიუ (ჩინეთი) 0,5:0,5, ძიუ ვენძიუნი (ჩინეთი)-ანა ზატონსკიხი (აშშ) 1:0



ნანა ძაგნიძე

**IV ტური.** ძაგნიძე-ზატონსკიხი 1:0, ჟაო სიუ-ვენძიუნი 0:1, ნ. კოსინცევა-ტ. კოსინცევა 0,5:0,5, ჰოუ იფანი-ჟუ ჩენი 0,5:0,5, სებაგი-დრონავალი 0,5:0,5.

ოთხი ტურის შემდეგ: ვენძიუნი-3,5, ჰოუ იფანი, ნ. კოსინცევა-2,5-2.5, ტ. კოსინცევა, სებაგი, დრონავალი, ჟაო სიუ-2-2, ძაგნიძე-1,5, ზატონსკიხი, ჟუ ჩენი-1-1 ქულა.

დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ: დრონავალი-ძაგნიძე, ჟუ ჩენი-სებაგი, ტ. კოსინცევა-ჰოუ იფანი, ვენძიუნი-ნ. კოსინცევა, ზატონსკიხი-ჟაო სიუ.

■ ■ ■

გუშინვე ჩინურ ნინბოში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები არ მონაწილეობს. გაუწყებთ პირველი ტურის შედეგებს: აშშ-რუსეთი 1:3, სომხეთი-ისრაელი 3,5:0,5, ეგვიპტე-უკრაინა 1,5:2,5, ჩინეთი-აზერბაიჯანი 2:2, ინდოეთი-უნგრეთი 2:2 (მოგება-2, ფრე-1, წაგება 0 ქულა).

**ვაჟა დანელია**

# ლიდერები დაზავდნენ

შარშან ნანა ალექსანდრიას თასი დიდოსტატმა **კონსტანტინე შანავამ** მოიპოვა. წლევანდელ ფესტივალში გამარჯვების ერთ-ერთ ფავორიტადაც ის მიიჩნევა საქართველოს ნაკრების წევრ **ლევან ფანცულაიასთან** ერთად. 6 ტურის შემდეგ მათ 5,5-5,5 ქულა ჰქონდათ. გუშინ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. თუმცა, რაღა დაპირისპირება - მე-14 სვლაზე დაზავდნენ. მეწინავეთა მე-7 ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **გიგა ყუფარაძე-გაიოზ ნიგალიძე** 0:1, **ზაურ მამადოვი** (აზერბაიჯანი)-**გიორგი ბალათუროვი** 1:0, **დავით ბენიძე-დავით ლომსაძე** 1:0, **დავით ზარქუა-ალექსანდრე ყაშაშვილი** 0,5:0,5, **დავიდ კალაშიანი** (სომხეთი)-**დავით შაჰინიანი** (სომხეთი) 0,5:0,5, **ივერი ჭილლაძე-აკაკი შალამბერიძე** 1:0, **ნინო ბაციაშვილი-ირაკლი ბერაძე** 0,5:0,5.

7 ტურის შემდეგ 6-6 ქულით პირველ-მეოთხე ადგილებზე არიან ლევან ფანცულაია, კონსტანტინე შანავა, გაიოზ ნიგალიძე და ზაურ მამადოვი. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ივერი ჭილლაძე და დავით ბენიძე ჩამორჩებიან. 14 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს.

დღეს მე-8 ტურში ლიდერები ასე დაწყვილდნენ: ნიგალიძე-ფანცულაია, შანავა-მამადოვი, ჭილლაძე-ბენიძე.

ფოთის საჭადრაკო ფესტივალში 8-12 წლის გოგო-ბიჭებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს ასაკების მიხედვით. იქაც 7-7 ტური გათამაშდა.

**8-წლიან** გოგონებში უდანაკარგოდ მეწინავეობს თამარ ესაძე, რომელმაც ასპარეზობის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. მართალია, სოფიკო გოგინავას, მანე ჰოვანესიანსა და ანაიდ მკრტიჩიანს 5-5 ქულა აქვთ და თეორიულად შეუძლიათ ლიდერთან გათანაბრება, მაგრამ ესაძე მათ კოეფიციენტით უსწრებს საგრძნობლად. ამ ასაკის ბიჭებში, ასევე, 7 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეშია შოთა ხოდაშნელი. მას ქულით ჩამორჩება 7 წლის ნიკოლოზ კაჭარავა. 5-მა მოჭადრაკემ 5-5 ქულა მოაგროვა.

**10-წლიანებში** ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: **გოგონები.** 1. ელენე კოსტავა (7), 2. ლილე ქორიძე (6), 3-4. გვანცა მარგველაშვილი, სალომე სანიკიძე (5-5 ქულა). **ბიჭები.** 1-2. კოკა ბუკია და 9 წლის ნიკოლოზ პეტრიაშვილი (6-6), 3-5. გიორგი ინანეიშვილი, ანდრეი მუსტაფინი (აზერბაიჯანი) და ცოტნე მამულაიშვილი (5,5-5,5 ქულა).

**12-წლიანები. გოგონები.** 1. ნარმინ მამადოვა (აზერბაიჯანი, 6), 2. თეა ჭოლაძე (5,5), 3-3. მარიამ ჯავახიშვილი, ნინო დახუნდარიძე (4,5-4,5 ქულა). **ბიჭები.** 1. ლუკა ლიჩელი (6), 2. ავთანდილ ფანჩულძე (5,5), 3-5. ომარ ზარგინავა, გიგი აბსარიძე, გურამ კოკაია (5-5 ქულა).

დღეს მე-8 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

# ქალები ვაჟებზე ნაკლებს მიიღებენ

რეტიმნოში (საბერძნეთი) დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა მესამე საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ერთადერთი ქართველი დიდოსტატი **სოფიკო გურამიშვილი** მონაწილეობს. მე-6 ტურში იგი ამერიკელ **რიჩარდ თუჰრიმთან** დამარცხდა, მეშვიდეში კი ნორვეგიელი **თრონდ რომსდალი** დაამარცხა, გუშინ ჰოლანდიელ სმიტს სძლია და 8 შესაძლებლიდან 5,5 ქულას მოუყარა თავი. შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტურით ადრე 6-6 ქულით **მარონ ბოსიჩიჩი** (ხორვატია) და **იური კრივორუჩკო** (უკრაინა) მეწინავეობდნენ. გუშინ ისინი დაზავდნენ.

ტურნირში 30 მანდილოსანიც იბრძვის მამაკაცების მხარდამხარ. 5,5 ქულით პირველ ადგილზეა გურამიშვილი, ელიზა რაევა (ბულგარეთი) და ვიტა ჩულივსკა (უკრაინა) 5-5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ.

ტურნირის საპრიზო ფონდია 8500 ევრო. გამარჯვებული 2200 ევროს დაიმსახურებს, მეორე-მეექვსე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 1500, 1000, 600 და 400-400 ევროს. ქალებში საუკეთესოს 500 ევრო გადაეცემა, მეორე-მესამე ადგილოსნებს - 300 და 200 ევრო.

**ვაჟა დანელია**

სუმო. ნაგოიას ბაშო. 10-24 ივლისი

# ქართველ ელიტელებს გაუჭირდათ



ელიტის ქართველობას ნაგოიას ბაშოზე ძალიან უჭირს - კომუსუბი **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)** და მე-7 მაეგაშირა **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)** ერთნაირი ბალანსი აქვთ და ის მთლად სახარბიელო ვერ არის - 2-6. ჩვენებურებმა შაბათ-კვირას ელიტაში ყველა დაპირისპირება წააგეს და ახლა ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ - კიდევ ორი მარცხი ტოჩინოშინს კომუსუბის ტიტულს დააკარგვინებს, ხოლო გაგამარუს რეიტინგში დახევს უკან. დღეს ტოჩინოშინი პირველად შეხვდება ამ ბაშოზე მასზე დაბალი რანგის სუმოისტს - მონღოლ **კიოკუტენჰოს**, გაგამარუს მეტოქე კი ბრაზილიელი **კაისეია**.

უკეთ აქვს საქმე **კოკაის (ლევან ცაგურია)**, რომელიც ძურიოს დივიზიონში ჭიდაობს - „შავ ზღვას" 4-4 ბალანსი აქვს

**VII დღე:** ჰაკუჰო-ვაკაკოიუ (ჰატაკიკომი), კაიო-ამინიშიკი (იორიტაოში), კოტოოშუ-ტოიონოშიმა (ოშიდაში), ბარუტო-**ტოჩინოშინი** (უვატენაგე), ჰარუმაფუჯი-გოეიდო (უვატენაგე), კოტოშოგიკუ-იოშიკაძე (იორიკირი), კისენოსატო-კაკურიუ (ოშიდაში), ოკინოუმი-კიოკუტენჰო (იორიკირი), არანი-ტაკეკაძე (იორიტაოში), კაისეი-ტამავაში (ცუკიოტოში), ვაკანოსატო-**გაგამარუ** (სუკუინაგე), ტოჩიოძანი-ტოკიტენკუ (იორიკირი), ჰომაშო-მიაბიამა (ოშიდაში), ასასეკირიუ-დაიდო (მიტატენაგე), კიტატაიკი-შოტენრო (იორიკირი), ტაკარაფუჯი-ტოჩინონადა (იორიკირი), ტაკაიასუ-კიმურაიამა (იორიკირი), ტოიოჰიბიკი-ტოჩინოვაკა (უვატენაგე), ფუჯიაზუმა-საგაცუკასა (ოშიდაში), იოშიაზუმა-ტაკამისაკარი (იორიკირი). ძურიო: მასუნოიამა-**კოკაი** (იორიკირი).

**VIII დღე:** ჰაკუჰო-ამინიშიკი (იორიტაოში), კოტოოშუ-გოეიდო (ჰატაკიკომი), ბარუტო-ვაკაკოიუ (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-ოკინოუმი (უვატენაგე), კოტოშოგიკუ-კაიო (იორიკირი), კისენოსატო-იოშიკაძე (ოშიდაში), კაკურიუ-**ტოჩინოშინი** (იორიტაოში), ტოიონოშიმა-ტაკეკაძე (იორიკირი), კაისეი-კიოკუტენჰო (ოშიდაში), ტოჩიოძანი-ვაკანოსატო (ოშიდაში), მიაბიამა-არანი (ჰიკიოტოში), ტამავაში-**გაგამარუ** (ცუკიოტოში); ჰომაშო-ტოკიტენკუ (იორიკირი), ტაკარაფუჯი-კიმურაიამა (ჰიკიოტოში), ტოიოჰიბიკი-კიტატაიკი (იორიტაოში), შოტენრო-ტოჩინოვაკა (ოშიდაში), ტაკაიასუ-დაიდო (უვატენაგე), ტოჩინონადა-საგაცუკასა (ცუკიოტოში), ფუჯიაზუმა-ბუშუიამა (იორიკი). ძურიო: **კოკაი**-შირონორიუ (ოშიდაში).

## სატურნირო მდგომარეობა

**8-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (ოძეკი)

**7-1:** ბარუტო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), ჰომაშო (მაეგაშირა 9), ტაკაიასუ (მ 11), ფუჯიაზუმა (მ 15).

**6-2:** კოტოოშუ (ოძეკი), კაკურიუ (სეკივაკე), ტოჩიოძანი (მ 8), ტოიოჰიბიკი (მ 12)... **2-6: ტოჩინოშინი** (კომუსუბი), **გაგამარუ** (მ 7).

**IX დღე:** ჰაკუჰო-კაკურიუ, ბარუტო-კისენოსატო, ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ, კაიო-ვაკაკოიუ, ამინიშიკი-კოტოოშუ, გოეიდო-იოშიკაძე, კიოკუტენჰო-**ტოჩინოშინი**, ოკინოუმი-ტოიონოშიმა, ტოკიტენკუ-ტაკეკაძე, კაისეი-**გაგამარუ**, ჰომაშო-ვაკანოსატო, ტამავაში-მიაბიამა, ასასეკირიუ-არანი, ტოჩიოძანი-ტაკაიასუ, კიტატაიკი-საგაცუკასა, ტაკარაფუჯი-ფუჯიაზუმა, ტოჩინოვაკა-დაიდო, კიმურაიამა-ტოიოჰიბიკი, ტოჩინონადა-შოტენრო, ტაკამისაკარი-მასუნოიამა. ძურიო: **კოკაი**-კანბაიაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მეტოქე

# ლაშხი-ალიევის მორიგი დუელი სტამბოლში

მსოფლიოს წლევანდელი პირველობა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან იქ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაიცემა, ყოველ წონაში 6-6. ამდენად, საინტერესოა ჩვენებურთა მეტოქეებიც. განსაკუთრებით ისეთ წონებში, სადაც მედლის მოპოვების კანდიდატები გვყავს. სწორედ ამ კუთხით საინტერესო იყო ბაქოში წინა კვირას დამთავრებული „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალური შეჯიბრება. იქ მასპინძელთა ნაკრებმა ორი ოქრო მოიპოვა, მაგრამ ჩვენთვის ორივე მნიშვნელოვანია - 55-ში ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა **როვშან ბაირამოვმა** იმარჯვა, 60-ში - ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა, საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით მსოფლიოს 2010 წლის საუკეთესო ფალავანმა ჭიდაობის ამ სახეობაში **ჰასან ალიევმა**. მართალია, იქაურთა ნაკრების თავკაცი, მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ფარიდ მანსუროვი** კი ამბობს, ამ ტურნირზე გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის გარანტია არა არის, მაგრამ, სავარაუდოდ, ამ წონებში ჩვენებურებს აზერბაიჯანელთაგან ესენი გაუწევენ კონკურენციას. მათგან უფრო მყარი მაინც ალიევის პოზიცია ჩანს, რომელიც კვლავაც რჩება წონის გამოკვეთილ ლიდერად. მან დუბლს შარშანწინ ახალგაზრდებში მიაღწია, მერე უფროსებში გადავიდა და შარშან უკვე იქ გაიმეორა ეს წარმატება. რომ არა **რევაზ ლაშხი**, ალიევს იქნებ ზედიზედ მესამე დუბლი მოეგო, მაგრამ დორტმუნდში ბორჯომელმა ფალავანმა ჭკვიანი ტაქტიკით ნახევარფინალში ფარ-ხმალი დააყრევინა კონკურენტს და ბრინჯაოს დააჯერა. „ოქროს დიდი პრიზის“ წლევანდელ შეჯიბრებაში საჭიდაოდ ლაშხი ძირითადად ალიევის გამო არ გაუშვეს, მასთან შესაძლო შეხვედრაში მსაჯები დაჩაგრავენ, რაც ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედებსო და ბაქოს ნაცვლად მადრიდში აჭიდავეს. რეალურად მართლაც იყო შანსი, რომ ბაქოში არბიტრები მასპინძელს ყველანაირად დაეხმარებოდნენ და ჩვენი მწვრთნელების გადაწყვეტილებაც გონივრული ჩანს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ალიევმაც ძლიერად იჭიდავა. ფინალში მან ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დავორ სტეპანეკი** დაამარცხა, ტურნირის შემდეგ კი განაცხადა: *„მე ვფიქრობდი, რომ ასპარეზობა არ იქნებოდა იოლი, მაგრამ ფინალამდე განსაკუთრებული პრობლემები არ შემქმნია. ფინალი ცოტათი რთული იყო, თუმცა მოგება არ გამჭირვებია. მიხარია, ყველაფერი ასე კარგად რომ დამთავრდა“.*



რევაზ ლაშხი

იმის მიუხედავად, რომ წარმატებული სპორტსმენია, თურმე ევროპის პირველობაზე წაგებამ მას სერიოზული პრობლემები შეუქმნა: *„იმ წაგების შემდეგ ბევრი ამბობდა, რომ მე დავსუსტდი და არც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაცვა შემეძლო და უფრო დაბალ დონეზე ჩამოვინაცვლე. თუმცა ეს ასე არ არის. ვარჯიშებზე ყველაფერს ვაკეთებდი მოსაგებად, დარბაზიდან ყველაზე ბოლოს გავდიოდი და ამიტომაც გავიმარჯვე“.*

ალიევი ევროპის ჩემპიონატზე წაგებას ტრავმებით ხსნის, თუმცა რამდენად გულახდილია, ცხადია, ვერ გეტყვით. ის ლაპარაკობს ფსიქოლოგიურ პრობლემებზეც, რაც ახალგაზრდა ფალავანს დააწვა, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ეს ყველაფერი უკან დარჩა და ისევ მზადაა დიდი შედეგებისთვის. უპირველესად - სტამბოლში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დასაცავად. *„ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ვერ ვახერხებდი იმ ჭიდაობის დემონსტრირებას, რაც მიყვარს. მთლიანობაში, ეს გამარჯვება ბევრს არაფერს ნიშნავს - მსგავსი შეჯიბრება შარშანაც მოვიგე, მაგრამ ამჯერად საკუთარი ძალების რწმენა დამიბრუნა. მსოფლიოს ჩემპიონატზე პარალელურად ორი ამოცანა მექნება გადასაჭრელი - ტიტულის შენარჩუნება და ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვება“.*

**სავარაუდოდ, ალიევი ლიცენზიას მართლაც მოიპოვებს - სხვა თუ არაფერი, მსგავსი რანგის ღონისძიებას ამ დონის ათლეტის გარეშე ხიბლი დააკლდება, მაგრამ, იმედია, ტიტულის შენარჩუნებაში ლაშხი ამჯერადაც შეუშლის ხელს**

ცოტა უფრო რთულადაა ბაირამოვის ლიდერობის საკითხი - გამარჯვების მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ ის გამოკვეთილი ფავორიტია. დედით ქართველ ფალავანს შარშანდელი სეზონი გაუცდა - ჯერ იყო ტრავმები, რის გამოც წააგო ევროპისთვის შესარჩევი შეჯიბრება, მერე კი მსოფლიოც გამოტოვა. შარშან მას **ელჩინ ალიევმა** აჯობა, რომელმაც მეტეორივით გაიელვა და გაქრა - შარშანვე ევროპის ჩემპიონი გახდა, მერე მსოფლიო წააგო, მას შემდეგ კი არსად ჩანს. ამის მიუხედავად, ბაირამოვს კონკურენტები არ აკლია - ბაქოში ამ წონაში ოთხივე მედალი მასპინძლებმა მოიპოვეს. ბაირამოვმა ნახევარფინალში **ორჰან ახმედოვი** დაამარცხა (მისი მხრიდან ეს რევანშიც იყო), ფინალში კი **ტალაჰ მამედოვი** დაჯაბნა. ამის მიუხედავად, სტამბოლში, მსოფლიოს პირველობაზე წასვლის შანსებზე ღიად საუბარს მაინც მოერიდა, თუმცა ის კი დაადასტურა, რომ ამ გამარჯვებით ისევ დაიბრუნა საკუთარი ძალების რწმენაც და მსოფლიოზე გამოსვლის შანსიც. მან ისიც ღიად განაცხადა, რომ ოლიმპიადის მოსაგებად ემზადება.

აზერბაიჯანელებს ამ ნაკრებში ძირითადად ქვედა წონებში ჰქონდათ წარმატებები, მძიმეებიდან კი **შალვა გადაბაძის** გადაბირების შემდეგ 84-შიც მოიპოვეს მედალი ევროპაზე. ახლა ამ წონაში მათი ლიდერი ირანიდან გადაბირებული მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **სამან ტახმასებია**. მისი გადაყვანის შემდეგ ჩვენებურის შანსები უკან-უკან წავიდა - 84-ში დაკარგა ადგილი და 96-ში გადაინაცვლა, თუმცა იქ წარმატებას ვერ მიაღწია. ბაქოში ის მეოთხედფინალში უნგრელ **ბალაზცკისთან** დამარცხდა და საბოლოოდ მეშვიდეზე დარჩა.

ირაკლი თავაძე

ქართული ჭიდაობა



გამარჯვებულები

# გორი-თბილისი-მცხეთა

უჩვეულო ატმოსფერო იყო გორის „დილას“ სტადიონის მწვანე მინდორზე გაშლილ საჭიდაო ხალიჩაზე. გაიმართა საქართველოს გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში აჭარის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, თბილისის, ქვემო ქართლისა და კახეთის გუნდების მონაწილეობით.

ასეთივე ტურნირი ერთი თვის წინათ მცხეთაში - სანდრო კანდელაკის სახელობის დარბაზში (ცირკში) გაიმართა, სადაც იგივე გუნდები იბრძოდნენ პირველობისათვის. ამ შეჯიბრებებს რეგიონის სახელმწიფო ადმინისტრაციები კურირებენ და დახმარებას უწევენ ქართული ჭიდაობის ცენტრალურ და რეგიონალურ ფედერაციასთან ერთად.

მცხეთაშიც და გორშიც გუნდური პირველობები მასპინძლებმა მოიპოვეს.

გორიში ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები ისე უშელავათო და დრამატული გამოდგა, რომ მხოლოდ ბოლო შერკინებებმა, ანუ მძიმეწონოსნებმა გადაწყვიტეს თავიანთი გუნდების ბედი.

მესამე ადგილისათვის წინა ტურნირის გამარჯვებულმა მცხეთა-მთიანეთმა 3:2 სძლია იმერეთს და 3000 ლარი მოპოვა. ასეთივე ანგარიში იყო ფინალშიც. შიდა ქართლმა აჯობა თბილისს და 6000 ლარი ირგუნა. თბილისელებმა კი 4000 ლარი მიიღეს.

ტექნიკური ჭიდაობისთვის 500 ლარი გადაეცა **ოთარ კაიდარაშვილს** (შიდა ქართლი, 60 კგ).

**საუკეთესო ოთხეული**

1. შიდა ქართლი, 2. თბილისი, 3. მცხეთა-მთიანეთი, 4. იმერეთი.

გამარჯვებული გუნდი: **პაატა მერებაშვილი, ოთარ კაიდარაშვილი** (60 კგ), **გიორგი პაპუნაშვილი, ანზორ ხმიადაშვილი** (70 კგ), **იოსებ ჩილინდრიშვილი, ნოდარ კუდუხაშვილი** (80 კგ), **გიორგი ნოზაძე, ჯუმბერ გიგაური** (90 კგ), **უშანგი კოკაური, ნოდარ მეტრეველი** (+90 კგ). მწვრთნელები: **გივი ზაუტაშვილი, ანზორ თენაძე, ქართლოს პავლიაშვილი.**

შემდეგი გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში ქვემო ქართლში გაიმართება.

გაბრიელ ბარჯაძე



## ნუგზარ ბაქრაძე

73 წლისა გარდაიცვალა ნუგზარ ბაქრაძე, 1960-70-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მთამსვლელი - კავკასიონისა და პამირის მთებში არაერთი წარმატებული ასვლის მონაწილე.

ნუგზარმა შესანიშნავად გააგრძელა მამის, გოგი ბაქრაძის ტრადიციები როგორც მეცნიერებაში, ისე სპორტში. სწორედ გოგი ბაქრაძე იყო საქართველოში სამთო-სათხილამურო სპორტის დამნერგავი და პოპულარიზატორი, ახალგაზრდა მთამსვლელთა შესანიშნავი აღმზრდელი. ასევე ნუგზარ ბაქრაძემ, როგორც მთამსვლელმა, მოთხილამურემ და ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართული სპორტისა და მეცნიერების განვითარებაში.

ნუგზარ ბაქრაძე გამორჩეული გახლდათ ქართველი კაცის შესანიშნავი თვისებებით და სამაგალითო იყო როგორც თავისი, ისე ახალგაზრდა თაობისთვის, რომლის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულ აღზრდას ის ემსახურებოდა.

ნუგზარ ბაქრაძის - ამ ბრწყინვალე მამულიშვილისა და ყოველგვარი ადამიანური ღირსებით შემკული პიროვნების ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და აღზრდილების ხსოვნაში.

საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია

60 წლის წინათ

# 1951 წლის ივლისში ლელო წერდა

**1951 წლის 20 ივლისს** თბილისს ეწვია უნგრეთის სპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია. სტუმრები გაეცნენ საქართველოს სპორტულ ცხოვრებას. შეხვდნენ სახელოვან სპორტსმენებს - **ბ. პაიჭაძეს, ვ. სვეტილკოს, ა. ჯორჯაძეს, ა. ნავასარდოვს...**

■ ■ ■

**თბილისში,** სოხუმში, ბათუმში, ქუთაისსა და გორში საქართველოს განათლების სამინისტრომ ჩაატარა ფიზკულტურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. სწავლება გაიარა 400-მდე მასწავლებელმა.

■ ■ ■

**აჭარის** ფილარმონიის პრიზზე მოჭადრაკეთა პირველობა მოიგო ვ. დოგვაძემ, მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს **კ. მეგრელაძემ** და **ა. გრიხლოვმა.**

■ ■ ■

**თელავში** გაიმართა ამხანაგური მატჩი კალათბურთში. თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის გუნდმა 34:28 აჯობა მასპინძელ კალათბურთელებს.

■ ■ ■

**20 ივლისს** ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოსკოვში ადგილობრივი „ტორპედო“ თბილისის „დინამომ“ 3:1 დაამარცხა. გოლები სტუმართაგან გაიტანეს **ჭკუასელმა, ვარდიმიადმა** და **თოდრიამ.**

■ ■ ■

**სტალინირში** (ახლანდელი ცხინვალი, რედ.) მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში ქალაქის პირველობა მოიგეს **თ. ახალკაცმა, გ. ქოქოევმა, შ. ქერდიკაშვილმა, ა. სმეტანიუკმა** და სხვებმა.

კარატე



# ქართველებს ჩინეთში გრანდ-ოსტატები იწვევენ

საქართველოს გოჯუ-რიუ კარატეს ახალმა ნაკრებმა 2-12 ივლისს საზაფხულო საწვრთნელი შეკრება გაიარა ურეკში. ნაკრებში ძველების გვერდით ახლებიც გამოჩნდნენ, რაც მისასალმებელია და იმის დასტურია, რომ კარატეს ეს მიმართულება საქართველოში ვითარდება და ახალ წარმატებებსაც უნდა ველოდოთ. სხვადასხვა ასაკის და წონითი კატეგორიის 25 წევრისგან შემდგარმა კონტაქტური კარატეს ნაკრებმა უკვე დაიწყო სექტემბრის საქართველოს ჩემპიონატისთვის მზადება. აღსანიშნავია, რომ კონტაქტური კარატეს ქართველი ოსტატები ყოველთვის კარგ შედეგს აღწევენ ევროპა-მსოფლიოს ტატამზე და ამჯერადაც კიდევ ერთი გრანდიოზული ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელსაც შემოდგომაზე ჩინეთი უმასპინძლებს.

„ჩვენთვის ყველაზე პრინციპული და მნიშვნელოვანია ოქტომბრში ჩინეთში გამგზავრება, სადაც მსოფლიოს ყველა უძლიერესი ოსტატი ჩავა. ჩვენთვისაც დიდი დაფასებაა ასეთი მიწვევა. მსოფლიო ჩემპიონატის დღეებშივე გაიმართება სემინარები კონტაქტურ კარატეში. საწვრთნელი შეკრება ურეკში ცოტა ადრე ჩავატარეთ. გვინდა, ეროვნულ ჩემპიონატში ჯეროვნად ვიასპარეზოთ. დავაკომპლექტებთ საქართველოს ნაკრებს, რომელიც უპრესტიჟულეს მსოფლიოს ჩემპიონატსა და სემინარებზე კარატეს გრანდ-ოსტატების წინაშე წარდგება ჩინეთში. ეს საშუალებას მოგვცემს ოსტატობის დონე ავიმაღლოთ. საქართველოს ჩემპიონატამდე კი სექტემბერშივე უკრაინის საერთაშორისო ტურნირი გველოდება. ასე რომ, მოდუნების დრო არ გვაქვს, ფორმაში უნდა ვიყოთ“, - განაცხადა შეკრებიდან დაბრუნებულმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა კონტაქტურ კარატეში, საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ცენტრის პრეზიდენტმა, მესამე დანის მფლობელმა **ლევან როგავამ.**

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი,**
**საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. "ჩელსი"; 6. კლიჩკო; 7. „ათიანი“; 9. კოკა; 10. ალბიოლი; 11. ფრეი; 14. სიმენი; 15. თარჩია; 17. რაპირა; 18. შხელდა; 19. ონოპკო; 21. ანანდი; 25. ევრა; 26. ბრუმელი; 28. შევა; 31. იაგანი; 32. "ნაპოლი"; 33. ოძეკი.

**შვეულად:** 1. ალეგრი; 2. ოჩოა; 3. ჩოხელი; 4. იარდლი; 5. პიპო; 6. "კოლონი"; 8. იაგერი; 12. ანორაკი; 13. შაშხანა; 14. სერსო; 16. ადამი; 20. ნევილი; 22. დევისი; 23. "გრემიო"; 24. ოლსენი; 27. მარსელ; 29. ივან; 30. კოპა.

## 15 ივლისის ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. ტრეკი; 6. ოთურმა; 7. სპურტი; 9. პელე; 10. ჯომარდი; 11. „მაია“; 14. ბილიკი; 15. მუშტის; 17. ცვეიბა; 18. ფინალი; 19. კლუბი; 20. ესპადა; 24. ტირი; 25. არზიანი; 26. ჩარი; 29. აშვეთია; 31. "სიონი"; 32. ფილია; 33. ირჟი.

**შვეულად:** 1. ლეჟავა; 2. "ირაო"; 3. ტაირონ; 4. ისინდი; 5. კულა; 6. ორძელი; 8. იერიში; 12. სკიბობი; 13. მუნიოსი; 14. ბუცი; 16. საიდა; 19. კლინჩი; 21. დარტსი; 22. კრივი; 23. ონიანი; 27. "ბაია"; 28. მეფე; 30. "თორი".

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ნაკრების მეტოქე. ბულგარეთი

# როსენ ბარჩოვსკი: მოწინააღმდეგეების შესწავლას უკვე შევუდექით

ბულგარეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **როსენ ბარჩოვსკიმ** გაფართოებულ შემადგენლობაში ორი ამერიკელი კალათბურთელი შეიყვანა - **ერლ როულანდი** და **კედრიკ სიმონსი**. პირველი უკანახაზელია, მეორე - ფორვარდი. სავარაუდოდ მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატზე ორივე ნატურალიზებულს წაიყვანს, ვინ რომელ მატჩშიც დასჭირდება იმას ათამაშებს. თითოეული მატჩის განაცხადში ორი ნატურალიზებულის შეყვანა ფიბას წესებით აკრძალულია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ძირითადად უკანახაზელი როულანდი დაიტვირთება. ბულგარელებს შარშანაც ორი ნატურალიზებული ჰყავდათ (**ჰოუმანი და კალუეი**), მაგრამ მწვრთნელს გამთამაშებელი კალუეი სჭირდებოდა...

შეკრების დასაწყისში მწვრთნელი როსენ ბარჩოვსკი იმედიანადაა:

*- ნაკრების წევრები ინდივიდუალურად ვარჯიშობდნენ და ოფიციალურ შეკრებას მომზადებულები შეხვდნენ.. მწვრთნელები და სკაუტები უკვე მუშაობენ, მეტოქეებზე ინფორმაციებს აგროვებენ.*

მწვრთნელმა ბულგარეთის ნაკრების შანსებზეც ილაპარაკა:

*- სხვა ჯგუფებში ბევრი ვარსკვლავური გუნდია და საშუალო დონის ნაკრებებს სამეულში მოხვედრის შანსი თითქმის არ აქვთ. ჩვენთან კი ორი გამოკვეთილი ფავორიტია. შესაბამისად ჩვენს მსგავსად ბელგია, საქართველო და უკრაინა მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის ემზადება. რთული ბრძოლები გველის.*

## ბულგარელთა მოსამზადებელი გეგმა

■ 10-25 ივლისი - საწვრთნელი შეკრება ბულგარეთის დაბა ბოროვეცში. სასტუმრო "იასტრებეცი".

■ 25-28 ივლისი - საწვრთნელი შეკრება ხორვატიაში. ორი ამხანაგური მატჩი ხორვატიის ეროვნულ ნაკრებთან.

■ 29-31 ივლისი - საერთაშორისო ტურნირი ბორმიოში, იტალია. მონაწილეობენ: იტალია, უნგრეთი, კანადა, ბულგარეთი.

■ 1-3 აგვისტო - საწვრთნელი შეკრება სოფიაში, სასტუმრო "ვეგა".

■ 5-8 აგვისტო - საერთაშორისო ტურნირი ლიმასოლში, კვიპროსი. მონაწილეობენ: იტალია, საბერძნეთი, ბულგარეთი. მეოთხე გუნდი მოგვიანებით გაირკვევა.

■ 9-18 აგვისტო - საწვრთნელი შეკრება ბულგარეთის დაბა პრავეცში. სასტუმრო „რიუ რესორთი".

■ 19-21 აგვისტო - საერთაშორისო ამხანაგური ტურნირი სკოპიეში, მაკედონია. მონაწილეობენ: მაკედონია, ბულგარეთი. ორი გუნდის ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა.

■ 23-25 აგვისტო - "აკროპოლისის" საერთაშორისო ტურნირი ათენში, საბერძნეთი. მონაწილეობენ: იტალია, საბერძნეთი, ბულგარეთი. მეოთხე გუნდი მოგვიანებით გაირკვევა.

■ 29 აგვისტოდან ბულგარეთის ნაკრები ლიტვის ქალაქ კლაიპედაში დაბანაკდება და 31-ში ევროპის ჩემპიონატში ჩაებმება.

| მოთამაშე | დ.თ. | სმ | გუნდი |
|---|---|---|---|
| ერლ როულანდი | 1983 | 188 | უნიკახა (ესპანეთი) |
| კედრიკ სიმონსი | 1986 | 206 | კავალა (საბერძნეთი) |
| ფილიპ ვიდენოვი | 1980 | 196 | პროკომი (პოლონეთი) |
| ჩავდარ კოსტოვი | 1988 | 196 | კავალა (საბერძნეთი) |
| ივან ლილოვი | 1988 | 196 | რილსკი |
| ტიხომირ ჟელევი | 1990 | 192 | ჩერნო მორე |
| ზლატან გეორგიევი | 1985 | 195 | ლევსკი |
| ალექსანდრ გრუევი | 1983 | 187 | რილსკი |
| ბოჟიდარ ავრამოვი | 1990 | 196 | აკადემიკი |
| ასენ ველიკოვი | 1986 | 188 | ლევსკი |
| დეიან ივანოვი | 1986 | 205 | მონტეგრანარო (იტალია) |
| კალოიან ივანოვი | 1986 | 205 | კახასოლი (ესპანეთი) |
| სტანისლავ ვაკლინოვი | 1989 | 206 | რილსკი |
| ალექსანდრ იანევი | 1990 | 203 | ჩერნო მორე |
| ნიკოლაი ვარბანოვი | 1985 | 209 | ტუნდია |
| პაველ მარინოვი | 1988 | 197 | ტუნდია |
| პაველ ივანოვი | 1988 | 200 | ლევსკი |
| სტეფან გეორგიევი | 1978 | 206 | ლევსკი |
| ტენჩო ბანევი | 1980 | 209 | აკადემიკი |

მწვრთნელი: როსენ ბარჩოვსკი




საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები




მატჩის დამთავრებამდე ექვსი წამით ადრე გადამწყვეტი ტყორცნა მერაბ ბოქოლიშვილმა შეასრულა

# არის პირველი...
## ჯერ მხოლოდ ჯგუფში

**17 ივლისი**

**საქართველო-ესტონეთი 88:87**

**21:18, 24:25, 23:19, 20:25**

**საქართველო:** ბაქრაძე (37 წთ, 11ქ, 3პ, 2ჩ), ლომოური (2 წთ), ჩიკვილაძე (23 წთ, 17ქ, 2მ), შენგელია (32 წთ, 33ქ, 15მ, 2პ, 2ჩ, 1დ), ბოქოლიშვილი (21 წთ, 4ქ), თენიეშვილი (28 წთ, 3ქ, 6მ), ლეჟავა (3 წთ), სანაძე (30 წთ, 14ქ, 7მ), რევაზაშვილი (4 წთ), დვალიშვილი (21 წთ, 6ქ, 5მ).

**ესტონეთი:** დორბეკი (16ქ), რააპი (11ქ), ვეიდემანი (34ქ, 5პ), პუიდეტი (4ქ), სოო (8ქ), კალდრე (6ქ), ვაინო (6ქ, 6მ), მარნი, ლიივრანდი (2ქ), კალე.

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-მაკედონია | 49:64 |
| პოლონეთი-შვეიცარია | 86:75 |

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 4 | 4 | 0 | 333/305 | 8 |
| 2. ესტონეთი | 4 | 3 | 1 | 358/278 | 7 |
| 3. პოლონეთი | 4 | 2 | 2 | 291/292 | 6 |
| 4. რუმინეთი | 4 | 2 | 2 | 222/258 | 6 |
| 5. მაკედონია | 4 | 1 | 3 | 286/305 | 5 |
| 6. შვეიცარია | 4 | 0 | 4 | 260/312 | 4 |

**დღეს**

| | |
|---|---|
| 18:15 | საქართველო-რუმინეთი |
| 19:30 | ესტონეთი-პოლონეთი |
| 20:30 | მკედონია-შვეიცარია |

როგორც აღმოჩნდა, ესტონეთს ჯგუფის ლიდერობაზე სერიოზული პრეტენზია შემთხვევით არ ჰქონია - ჩრდილოელებს მართლაც ნიჭიერი ახალგაზრდები ჰყავთ, რომლებსაც **ვეიდემანი** წინამძღოლობს. ეს კალათბურთელი გასულ სეზონში „ტარტუ როკში" **გიორგი ცინცაძესთან** ერთად თამაშობდა. გუშინ ვეიდემანმა არც მეტი, არც ნაკლები, ქულებით **თორნიკე შენგელიას** აჯობა - 34 ჩააგდო. ქართველთა ლიდერმა კი 33 ქულასა და 15 მოხსნას მოუყარა თავი. თუმცა საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე შენგელია შეტევაში დაჯარიმდა, რაც მისთვის მეხუთე ფოლი აღმოჩნდა და მოედნის დატოვებამ მოუწია. ამავე მიზეზით მატჩი ბოლომდე ვერ ჩაამთავრეს **დუდა სანაძემ და აკაკი დვალიშვილმა**. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხუთი ჯარიმა ორ ესტონელსაც მოუგროვდა.

მოკლედ, მატჩის ბოლო წუთებზე შეხვედრის მონაწილეებმა გვარიანად გვანერვიულეს: მეოთხე პერიოდის დასაწყისში **ნოდარ თენიეშვილმა** და დუდა სანაძემ სამქულიანები ჩააგდეს, მათ შენგელიამ ფარქვეშიდან ტყორცნები შეაშველა და საქართველოს ნაკრები 13 ქულის სხვაობით დაწინაურდა (79:66). ერთ პერიოდში მსგავსი უპირატესობის განიავება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე ახალგაზრდებთან გვაქვს და არანაკლებ მნიშვნელოვანია - ქართველთა მეტოქე დივიზიონის ერთ-ერთი ფავორიტი ესტონეთი იყო. ჰოდა, შენგელიას მეხუთე ჯარიმას ვეიდემანის კიდევ უფრო გააქტიურება მოჰყვა და მისი ზუსტი სამქულიანის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა - 83:83. საპასუხო შეტევაში **ბექა ჩიკვილაძემ** სამიანითვე უპასუხა, თუმცა ესტონელთა ლიდერი ამაზე არ შეჩერდა და ორი ჯარიმის შემდეგ ესტონეთი დაწინაურდა - 87:86 (სირენამდე 12 წამით ადრე). საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** უმალ წუთშესვენება აიღო...

გადამწყვეტ იერიშს გამთამაშებელი **გივი ბაქრაძე** ასე იხსენებს:

*- წუთშესვენების შემდეგ ბურთი გვერდიდან შევიტანეთ. მე და რევაზაშვილმა „პიკ ენდ როლი" გავითამაშეთ და პასი თენიეშვილს გადავაწოდე, რომელმაც კალათის მიმართულებით ისროლა. ფარიდან სახლეტილ ბურთს მერაბ ბოქოლიშვილი დაეუფლა და გამარჯვების მომტანი ორქულიანი ჩააგდო. საოცარი მატჩი იყო. ძალიან გავიხარეთ.*

ამ მოგებით საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა და რუმინეთთან დღევანდელი მატჩი ფორმალობად აქცია. თუმცა ესტონეთის ძლევა ორმაგად მნიშვნელოვანი იმიტომაა, რომ მომდევნო ეტაპზე ჩვენი ქვეჯგუფის პირველ-მეორეადგილოსნები ერთ ჯგუფში მოხვდებიან და ურთიერთშეხვედრის შედეგი პირველი ეტაპიდან გადაჰყვებათ. ასე რომ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისთვის მნიშვნელობა აღარ აქვს, მასთან ერთად ჯგუფიდან ესტონეთი გავა, მაკედონია თუ პოლონეთი - თითოეულ მათგანთან დადებითი ბალანსი აქვს და მეორე ეტაპს ერთი მოგებით დაიწყებს.

## არწივებიც დავარწივოკეთ

**16 ივლისი**

**საქართველო-პოლონეთი 76:69**

**25:17, 21:15, 11:23, 19:14**

**საქართველო:** ბაქრაძე (12 წთ, 2ქ, 2პ), ჩიკვილაძე (23 წთ, 12ქ, 3ჩ), შენგელია (34 წთ, 26ქ, 12მ, 3პ, 3ჩ, 2დ), ბექაური (2 წთ), ბოქოლიშვილი (24 წთ, 7ქ), თენიეშვილი (19 წთ, 2ქ, 3მ, 2პ, 2ჩ), ლეჟავა (28 წთ, 2ქ, 2მ, 2პ), სანაძე (24 წთ, 13ქ, 6მ, 3პ, 2ჩ), რევაზაშვილი (3 წთ), დვალიშვილი (31 წთ, 12ქ, 7მ, 2დ).

**პოლონეთი:** კვიატკოვსკი (7ქ), შუმელდაკრჟიცკი (6ქ), შიმანსკი (13ქ), ზისკოვსკი (7ქ), ვიერუბიცკი, ძიემბა, სოკოლოვსკი (8ქ, 6მ), მლინარსკი (2ქ), ფრასი (10ქ, 10მ), პარჟენსკი (16ქ, 9მ).

კვირას ღამით გამართულ მატჩში საქართველოს ნაკრები ჯგუფის ფავორიტ ესტონეთს ხვდებოდა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლის საკითხი პოლონეთთან შეხვედრამ გადაწყვიტა. მოგების შემთხვევაში ქართველებს ესტონეთთან და რუმინეთთან მატჩები რჩებოდათ, ფაქტობრივად ორეულში მოხვედრაც დადებითად წყდებოდა. ხოლო პოლონეთთან მარცხის შემთხვევაში კი ჩვენი გუნდის ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსი საგრძნობლად მცირდებოდა. არც მეორე პოზიცია გამოჩნდებოდა ნათელ ფერებში. მომდევნო ეტაპზე კი ორი გუნდი გადის...

ეს ყველაფერი კარგად ესმოდათ **დავით უსტიაშვილის** შეგირდებს, რომლებიც უფრო და უფრო ფორმაში შედიან. მათ პოლონეთთან მატჩის დასაწყისი ისე ჩაატარეს, თითქოს საკუთარ მოედანზე ყოფილიყვნენ - შეტევაში ყველაფერი წესრიგში იყო, სამქულიანებს 207 სმ სიმაღლის **თორნიკე შენგელიაც** თამამად ესროდა და აგდებდა კიდეც. პირველი მეოთხედის დასურლებამდე 1:18 წუთით ადრე **ბექა ჩიკვილაძის** შორეული გასროლის შედეგად 15-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა - 25:10. თუმცა, მეოთხედი 27:17 მოვიგეთ.

მეორე ათწუთეულის დასაწყისში **მერაბ ბოქოლიშვილმა** ზედიზედ ჩაგდებული 5 ქულით სტატუს-კვო აღადგინა - 32:17. მალე მოედანზე შენგელიაც დაბრუნდა, რომლის ორქულიანებს **დუდა სანაძემ** სამიანი მიაყოლა და დიდი შესვენების წინ მატჩში ყველაზე მაღალი, 16-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა - 48:32.

შესაძლოა, ასეთმა უპირატესობამ ქართველები ცოტა დაამშვიდა, რაც მეორე ტაიმის დასაწყისში გუნდის თამაშზე უარყოფითად აისახა და პოლონელებმა სხვაობის შემცირებას „მიჰყვეს ხელი". შედეგი კი მესამე პერიოდის ბოლო წამებზე მოიმკეს - **შიმანსკიმ** ორქულიანი ჩააგდო და ჩამორჩენა 4 ქულამდე დაიყვანა (55:59).

მეოთხე პერიოდის წინ მცირე შესვენება საკმარისი აღმოჩნდა ქართველთა გამოსაფხიზლებლად. ამავე დროს დაფიქსირდა საინტერესო მომენტი - დავით უსტიაშვილის შეგირდებმა დაამტკიცეს, რომ მთელი გუნდი შენგელია არ არის. თორნიკეს არყოფნაში ქართველები 11-ით დაწინაურდნენ და, საბოლოოდ, 76:69 კავკასიელთა სასარგებლოდ.

გადავხედოთ მატჩის სტატისტიკას. „ჯვაროსნებმა" „არწივებს" ყველა კომპონენტში აჯობეს გარდა ორისა: მოხსნებში პოლონეთმა 50:38 მოგვიგო და 3-ით მეტი ორქულიანი ჩააგდო (24:21). სამაგიეროდ, საწყის სამ მატჩში დავით უსტიაშვილის გუნდმა ყველაზე უკეთ ისროლა სამქულიანები - 25-დან 8 ჩააგდო (პოლონეთმა - 18-დან 4).

## დავით უსტიაშვილი: მეტი შეგვიძლია

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებსაიტზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ნაკრების მთავარ მწვრთნელ დავით უსტიაშვილთან, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველსაც დააინტერესებს.

**- რა შეგიძლიათ თქვათ საწყისი მატჩების შემდეგ?**

- გამოჩნდა, რომ ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. აქამდე გამართული მატჩები დიდ ბრძოლაში მოვიგეთ, საკმაოდ ძლიერი მეტოქეები გვყავდა. მიხარია, რომ გადამწყვეტ წუთებში ბიჭებმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს. დარბაზში კონდიცირება არაა, საშინელი სიცხეა და მეშინოდა, ბიჭები არ გადაღლილიყვნენ, მაგრამ კარგ ფიზიკურ ფორმაში არიან და რთულ გარემო პირობებს მათზე უარყოფითად არ უმოქმედია. ჩემპიონატამდე გავლილი შეკრების ნაყოფიც დავინახეთ.

**- შვეიცარია, რომელსაც ჩვენ 8 ქულით მოვუგეთ, ესტონეთმა დიდი ანგარიშით დაამარცხა...**

- შვეიცარია არაა სუსტი მეტოქე. ესტონეთამდე ბევრი აკლია, მაგრამ მებრძოლი გუნდია. ესტონეთთან მატჩში არ გაუმართლა. ისეთი შეხვედრა იყო, რომ კლასში სხვაობა თითქმის არ იგრძნობოდა. უბრალოდ, ესტონეთს ძალიან გაუმართლა, თითქმის ყველა ბურთი ჩააგდო, ხოლო შვეიცარიამ - პირიქით.

**- რუმინეთმა პოლონეთს მოუგო...**

- პოლონეთმა პირველ ტურში დიდი ენერგია შეალია მაკედონიასთან შეხვედრას, სადაც მცირე ანგარიშით დამარცხდა. რუმინეთისგან პოლონეთის ძლევა ჩემპიონატზე მოულოდნელობად ჩაითვალა, თუმცა არც რუმინეთია ხელწამოსაკრავი. ჩვენ ამ გუნდთან თამაში წინ გვაქვს და მაქსიმალურად უნდა მოვემზადოთ.

**- რას იტყვით ჩვენი ნაკრების სათადარიგო მოთამაშეებზე, კმაყოფილი ხართ მათი თამაშით?**

- კმაყოფილი ვარ. ისე კი, მინდა ვთქვა, რომ ჩვენს გუნდს ერთი ხუთეული არ ჰყავს. მაგალითად, სანაძე და თენიეშვილი მაკედონიასთან შეცვლაზე შემოვიდნენ, ხოლო შვეიცარიასთან მატჩი ძირითადში დაიწყეს. მთავარი ქულების მოგროვება არაა. მოედანზე არის არანაკლებ მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელსაც სათადარიგოები ასრულებენ. თუმცა მნიშვნელოვან ბურთებსაც აგდებენ - გავიხსენებ რევაზაშვილის, ლეჟავას მოპოვებულ ქულებს. გუნდის წარმატება ყველას დამსახურებაა.

**- არ შეიძლება, თორნიკე შენგელია არ გამოვყოთ...**

- შენგელია ჩვენი გუნდის ლიდერია და დიდ დახმარებას გვიწევს. შენგელიას უფრო მეტი პოტენციალი აქვს და მჯერა, რომ მოუმატებს. ამასვე ვიტყვი ჩვენს ნაკრებზე. ყველამ მაქსიმუმი უნდა გაიღოს და მომავალ მატჩებში უკეთესად უნდა ვითამაშოთ, რათა სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

მსოფლიოს თასი

# ახალი ზელანდიისკენ მიმავალი გზა დაულოცეს


მარცხნიდან: გიორგი ნიჟარაძე, რიჩი დიქსონი და ლაშა ხურციძე

საქართველოს ნაკრებმა ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადების პირველი, თბილისური ეტაპი დაასრულა. „ბორჯღალოსნები“ წვრთნას საფრანგეთში, საკურორტო ქალაქ კანში განაგრძობენ, სადაც რამდენიმე საკონტროლო შეხვედრასაც გამართავენ. ჩვენი გუნდი ახალ ზელანდიაში 3 სექტემბერს სწორედ საფრანგეთიდან გაემგზავრება.

შაბათს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“, სადაც ჩვენი ნაკრებია დაბანაკებული, „ბორჯღალოსნების“ გაცილება მოეწყო, რომელსაც ჟურნალისტებთან ერთად ქომაგები და საქართველოს რაგბის კავშირის სპონსორებიც დაესწრნენ.

პრესკონფერენციის გამართვამდე „ბორჯღალოსნები“ ნაკრების მოძღვარმა მამა ილიამ დალოცა.

**რიჩი დიქსონი,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„დიდი მადლობა მინდა გითხრათ ყველას მობრძანებისთვის და დიდი მხარდაჭერისთვის. მადლობას ვუხდით მამა ილიას, რომელმაც გუნდი დალოცა. ეს ძალზედ ამაღელვებელი მომენტი იყო. კიდევ ერთხელ დავინახე ქართული სულის ძლიერება. აი, საიდან იღებს სულიერ საზრდოს ქართველი ხალხი, ჩვენი მორაგბეები.*

*მსოფლიოს თასისთვის მზადება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. თბილისურმა ეტაპმა კარგად ჩაიარა, თუმცა, ცხადია, ეს საკმარისი არ არის. კიდევ მეტი მუშაობა გვამრთებს. ჯგუფში ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს და მათთან ღირსეულად თამაში სხვაგვარად წარმოუდგენელია. მოთამაშეებს სრულად აქვთ გათავისებული პასუხისმგებლობა გულშემატკივრებისა და ქვეყნის წინაშე და დარწმუნებული ვარ ახალ ზელანდიაში მაქსიმუმს გაიღებენ.*

*მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმზე გუნდები, როგორც წესი, კარგად მომზადებული ჩადიან და შესაძლებლობებზე მეტს აკეთებენ. ფიზიკურ მომზადებას სწორედ ამიტომ ვუთმობთ მეტ დროს და ყურადღებას, რადგან, თუ გვინდა ახალ ზელანდიაში ღირსეულად წარვდგეთ, უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, ვიდრე შეგვიძლია.*

*საფრანგეთში ორ საწვრთნელ შეხვედრას გავმართავთ, საბოლოო 30-კაციან შემადგენლობასაც ამის მერე დავასახელებ. მსოფლიოს თასზე არარეალურ მიზნებს არ ვისახავთ. ამჟამად ჩვენ მხოლოდ პირველი თამაშისთვის ვემზადებით. ამ მატჩში გამოჩნდება, რა შეგვიძლია. ალბათ იღბალმაც მოწყალე თვალით უნდა გადმოგვხედოს. ამ პირველ შეხვედრაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, მთლიანად ტურნირი ჩვენთვის როგორ წარიმართება.*

*ცხადია, ქების ღირსია ის გუნდი, რომელმაც 2007 წლის მსოფლიოს თასზე ითამაშა, მაგრამ გარკვეულწილად იმ გუნდმა დაგვაზარალა კიდეც. ახლა საქართველოს ნაკრებს როგორც აუტსაიდერს არავინ უყურებს და ჩვენმა გუნდმა მოულოდნელობის ეფექტი დაკარგა. ჩვენგან ყველა კარგ თამაშს, სიურპრიზს ელის.*

*ჩვენი მეტოქეების მწვრთნელებს კარგად ვიცნობ. ამას წინათ შოტლანდიის ინგლისელ თავკაცს, ენდი რობინსონს ვესაუბრე, რომელმაც პირდაპირ მითხრა, რომ ჩვენთან თამაშს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ.“*

**ირაკლი აბუსერიძე,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„დიდი მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის. მზადების თბილისური ეტაპი საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. თუმცა წინ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს. ყველანაირად ვეცდებით, ახალ ზელანდიაში ღირსეულად ვითამაშოთ, დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება“.*

**გიორგი ნიჟარაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

*„რაგბის სპეციალისტი არ ვარ, არც სახელოვანი მორაგბე ვყოფილვარ, არც ნათელმხილველი ვარ და არ ვიცი, ახალ ზელანდიაში რა მოხდება. სამაგიეროდ, ძალიან კარგად ვიცნობ ჩვენი ნაკრების მოთამაშეებს. უდიდეს პატივს ვცემ მათ როგორც საკუთარ შვილებს და ძმებს. თუ როგორი კაცები არიან ისინი, არაერთი წლის განმავლობაში მუდმივად ამტკიცებენ. მათ არავის შეხსენება არ სჭირდებათ. დარწმუნებული ვარ, თავს არ დაზოგავენ ჩვენი ერის და ქვეყნის გასახარებლად.*

*მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გვერდში გვედგა, გვეხმარებოდა - გულშემატკივრებს, ჟურნალისტებს, სპონსორებს.“*

პრესკონფერენციის შემდეგ გამართულ ფურშეტზე ქომაგებმა და ჟურნალისტებმა საქართველოს ნაკრებს ახალი ზელანდიისკენ მიმავალი გზა დაულოცეს.

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ორივე-ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები), გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).

მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), ილია ზედგინიძე (კარკერენი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი)

მესამე ხაზი: მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), ზვიად მაისურაძე, გივი ბერიშვილი (ორივე-ლოკომოტივი), შალვა სუთიაშვილი (მასი), დიმიტრი ბასილაია (ობენა), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).

N:9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები)

N:10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟინიენი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), ლაშა ხმალაძე (ლელო)

N:12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), რეზო გიგაური (ფიჟაკი), ალექსანდრე თოდუა (ლელო)

N:11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)

N:15: მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო).

### მსოფლიოს თასი

**B ჯგუფი**

**14 სექტემბერი**
საქართველო-შოტლანდია

**18 სექტემბერი**
საქართველო-ინგლისი

**28 სექტემბერი**
საქართველო-რუმინეთი

**2 ოქტომბერი**
საქართველო-არგენტინა


რიჩი დიქსონი ქომაგებს ავტოგრაფებს ურიგებს

მარცხნიდან: ვასილ კაკოვინი, რეზო გიგაური, დავით ზირაქაშვილი და ირაკლი მაჩხანელი


შვიდკაცა რაგბი
ევროპის გრან პრი

# ბუქარესტში უკეთ, ვიდრე ბარსელონაში

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ ევროპის გრან პრის სერიის ბოლო, მე-4 ეტაპზე უკეთ იასპარეზა, ვიდრე ერთი კვირის წინათ ბარსელონაში და მე-6 ადგილი დაიკავა. შვიდკაცა „ბორჯღალოსნებმა“ ასპარეზობა შესანიშნავად დაიწყეს და სტარტზე ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგეს.

ჩვენმა მორაგბეებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს იტალიის, უკრაინისა და რუმინეთის ნაკრებები, მაგრამ მერე ვერას გახდნენ ჯგუფის ფავორიტებთან - საფრანგეთისა და პორტუგალიის ნაკრებებთან.

შედეგად საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა A ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და მე-5 ადგილისთვის ბრძოლა განაგრძო. აქ ნახევარფინალში ჩვენმა გუნდმა უელსის ნაკრებს სძლია დამაჯერებლად 26:5, მაგრამ მერე ინგლისის ეროვნულ გუნდთან წააგო - 7:29 და საბოლოოდ, როგორც უკვე ვთქვით, მე-6 ადგილი დაიკავა.

### IV ეტაპი

A ჯგუფი: საქართველო-იტალია 19:0, საქართველო-უკრაინა 12:7, საქართველო-რუმინეთი 21:12, საქართველო-საფრანგეთი 14:21, საქართველო-პორტუგალია 0:21.

### V ადგილისთვის. ნახევარფინალი

საქართველო-უელსი 26:5, ინგლისი-იტალია 31:17

### ფინალი

საქართველო-ინგლისი 7:29

### საბოლოო მდგომარეობა

1. პორტუგალია, 2. ესპანეთი, 3. საფრანგეთი, 4. რუსეთი 5. ინგლისი, 6. საქართველო, 7. იტალია, 8. უელსი, 9. უკრაინა, 10. რუმინეთი, 11. ჰოლანდია, 12. მოლდოვა.

### საქართველოს ნაკრები

გიორგი კალმახელიძე, ბექა ბიწაძე (ორივე-არმია), გიორგი შკინინი (ხულიგანა), ირაკლი გეგენავა, ალექსანდრე ნიჟარაძე, შალვა მახარაშვილი (სამივე-ყოჩები), დავით ჩიტიძე, ალექსანდრე ტუჩაშვილი, ირაკლი ღვინჯილია (სამივე-ლოკომოტივი), ლევან გოგოლაშვილი (აკადემია), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი XV), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი), გიორგი კაჭარავა (ლელო)

ტესტები

# სამოელებმა ვოლაბები დასცეს

ერთი კვირის თავზე სამხრეთ ნახევარსფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სანაკრებო ტურნირი - სამი ერის გათამაშება დაიწყება. მანამდე კი ამ შეჯიბრების ერთ-ერთმა მონაწილემ, ავსტრალიის ნაკრებმა საწვრთნელი შეხვედრა გამართა სამოას ეროვნულ გუნდთან და ყველასთვის მოულოდნელად 23:32 დამარცხდა.

„ვოლაბების“ თავკაცმა **რობი დინსმა** სათამაშოდ საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობა გაიყვანა, თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ წამყვანი მორაგბეების ძირითადმა ნაწილმა ითამაშა. მიუხედავად ყველაფრისა, ავსტრალიის ნაკრების მარცხს სამოელებთან არავინ ელოდა.

სამოელებმა შესანიშნავად ითამაშეს და მრისხანე მეტოქეს, რომელიც ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია, ოთხი ლელო გაუტანეს, რაზეც ვოლაბებმა მხოლოდ ორით უპასუხეს.

მომდევნო შეხვედრას ავსტრალიის ნაკრები უკვე სამი ერის გათამაშების ეგიდით გამართავს. მისი მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთ აფრიკის ნაკრები იქნება, რომელიც ამ შეჯიბრებაში, ფაქტობივად, A ნაკრებით გამოვა.

ალსანიშნავია, რომ სამოას ნაკრებს აქამდე მსოფლიოს რეიტინგის ხუთეულის გუნდებითვის არასდროს მოუგია. ავსტრალია კი ამჟამად რეიტინგში მეორე ადგილზეა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრივი



გარაი ნოკაუტში მიდის

# პუკმა პუკით გაიმარჯვა

გერმანელმა **მარკო ჰუკმა** შეინარჩუნა WBO-ის ტიტული პირველ მძიმე წონაში (90,7 კგ). მიუნხენში გამართულ ბრძოლაში მასპინძელმა მოკრივემ მეათე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა არგენტინელი **უგო გარაი**, რომელიც ორი დღის წინ, ოფიციალურ პრესკონფერენციაზე ყელის გამოჭრით ემუქრებოდა გერმანელს.

WBO-ის ტიტული ჰუკმა ორი წლის წინ მოიპოვა, როცა ქულებით დაამარცხა მეორე არგენტინელი **ვიქტორ რამირესი**. ამ ორი წლის განმავლობაში მისთვის ტიტულის ჩამორთმევას ექვსი მოკრივე ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლო მცდელობა რუსული კრივის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს **დენის ლებედევს** ჰქონდა, მაგრამ ქულებით დამარცხდა სერბული წარმოშობის გერმანელთან. ეს გასული წლის დეკემბერში მოხდა.

ჰუკმა ბოლოს ნოკაუტით იმავე 2010 წლის მარტში გაიმარჯვა ამერიკელ **ადამ რიჩარდსთან** ბრძოლაში, აგვისტოში კი ტექნიკური ნოკაუტით მოუგო ასევე ამერიკელ **მეტ გოდფრის**. გარაისთან ბრძოლის წინ მარკომ განაცხადა, რომ თავის კატეგორიაში ყველა ტიტულის შეგროვებასა და დროთა განმავლობაში სუპერმძიმე წონაში გადასვლას აპირებს, სადაც **კლიჩკოების** ბატონობის დამხობას შეეცდება.

რაც შეეხება გარაისთან ბრძოლას, გერმანელი მიუნხენურ პუბლიკას შთამბეჭდავ სანახაობას დაჰპირდა და სიტყვა აასრულა.

თავის დროზე, არგენტინელი ორჯერ იყო ჩემპიონის ტიტულის კანდიდატი, ოღონდ მეორე საშუალო წონაში (76,2 კგ). ორივეჯერ ის უნგრელმა **ჟოლტ ერდეიმ** შეაჩერა. გარაი ერთხელ ჩემპიონიც გახლდათ - WBA-ის საჩემპიონო ქამარს ფლობდა და ეს ტიტული ორჯერ დაიცვა, მაგრამ 2009 წელს ესპანელ **გაბრიელ კამპილიოსთან** შეხვედრაში ყველაფერი დაკარგა.

მიუნხენში გამართული ბრძოლა ჰუკის უპირატესობით წარიმართა. პირველ რაუნდში გარაი რინგზე აღმოჩნდა, თუმცა დარტყმა ძალიან ძლიერი არ ყოფილა და არგენტინელი მალე გამოვიდა ნოკდაუნიდან. მესამე რაუნდში რეფერიმ ერთი ქულა ჩამოართვა გერმანელს მეტოქისთვის კეფაში დარტყმის გამო. საბოლოოდ, ჰუკის ზეწოლამ შედეგი მოიტანა და მეათე რაუნდში მარკომ მარჯვენა დარტყმით მეტოქე ნოკაუტში გაუშვა.

შაბათს გამართული ბრძოლებიდან უნდა აღვნიშნოთ მჩატე წონაში (61,2 კგ) WBA-სა და WBO-ის ჩემპიონის, მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესის** ნოკაუტი კოლუმბიელი **ლიკარ რამოსის** წინააღმდეგ. შეხვედრა პირველ რაუნდში დასრულდა. ბრძოლა პირველ ნახევრადსაშუალო წონაში იმართებოდა და მარკესისთვის ეს იყო ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ს ჩემპიონთან მენი პაკიაოსთან ბრძოლის რეპეტიცია. მარკესს სამი წლის წინ წაგებული აქვს ერთი ბრძოლა ფილიპინელთან.

ამბები

ჰოკეი

## ჩიკაგომ ლიდერი დაკარგა

სტენლის თასის 2010 წლის მფლობელმა „ჩიკაგო ბლექჰოქსმა" ხანგრძლივი დროით დაკარგა თავისი ერთ-ერთი ლიდერი **პატრიკ კეინი**. ფორვარდმა სეზონებს შორის არდადეგების დროს ერთ-ერთ ვარჯიშზე მარცხენა მაჯა მოიტეხა. ახლა ჰოკეისტს ოპერაცია ესაჭიროება, რის შემდეგაც აღდგენითი პერიოდი ექვსი-რვა კვირა გაგრძელდება. სავარაუდოდ, კეინი მოასწრებს საწვრთნელი ბანაკის დაწყებამდე გამოჯანმრთელებას.

*„სამშაბათს მას ოპერაცია უწევს,* - ამბობს სააგენტო „როიტერთან" კომენტარში „ჩიკაგოს" ექიმი **მაიკლ ტერი**. *- სავარაუდოდ, სრულ აღდგენამდე ექვსი-რვა კვირაა საჭირო, რის შემდეგაც ის მზად იქნება ახალი სეზონისთვის".*

ბიატლონი

## ჩემპიონი დაიღალა

ცნობილმა შვედმა ბიატლონისტმა **ანა-კარინ ზიდეკმა** (ქალიშვილობის გვარი ოლოფსონი) კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 38 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა აღიარა, რომ აღარ დარჩა საკმარისი მოტივაცია და ასაკთან ერთად უჭირს ახალგაზრდა კონკურენტებთან ბრძოლა. ნაწილობრივ ზიდეკის გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია შარშანდელმა წარუმატებელმა სეზონმა - მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე გამარჯვების შემდეგ ანა-კარინს სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია.

შვედს ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ექვსი მედალი აქვს მოგებული (ერთი ოქრო, ორი ვერცხლი და სამი ბრინჯაო), 2006 წელს ტურინის ოლიმპიადაზე კი მას-სტარტში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ოქროების განაწილება დაიწყო

ჩინეთის ქალაქ შანხაიში დაიწყო საწყლოსნო სახეობების მსოფლიოს ჩემპიონატი. 16-31 ივლისს გათამაშდება მედლების 66 კომპლექტი: 40 - ცურვაში, 10 - წყალში ხტომაში, 7 - სინქრონულ ცურვაში, 7 - ღია წყალზე ცურვასა და 2 - წყალბურთში.

საგაისო ოლიმპიადის წინ პლანეტის ბოლო პირველობა სამ დისციპლინაში გამოავლენს ლონდონის თამაშების ლიცენზიის მფლობელებს. სინქრონულ ხტომებში ოლიმპიადაზე მოსახვედრად სამეულში შესვლა იქნება საჭირო, ინდივიდუალურ ხტომებში - პირველ თორმეტ სპორტსმენს შორის. „ღია წყალზე" მარათონელებს ათეულში შესვლა დასჭირდებათ, ხოლო მამაკაცებმა წყალბურთში აუცილებლად პოდიუმზე უნდა მოიპოვონ ადგილი.

■ ■ ■

რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი სტარტები ცურვაში გაიმართება. ყველას ახსოვს 2009 წლის პირველობა, რომელიც არანორმალური რაოდენობის მსოფლიოს რეკორდებით აღინიშნა. მაშინ ეს არავის უკვირდა, რადგან საცურაო კოსტიუმების განვითარებამ ძალიან დიდ პროგრესს მიაღწია. მაგრამ 2010 წლის დასაწყისიდან უახლოესი ტექნოლოგიები აკრძალეს და მოცურავეთა შედეგებიც მკვეთრად დაეცა. იმავე 2010 წლიდან მოყოლებული, ჯერ ცურვაში მსოფლიოს რეკორდი არ დამყარებულა.

თავიდან სპეციალისტები სთავაზობდნენ საერთაშორისო ფედერაციას - გაეუქმებინა ახალი რეკორდები და ყველაფერი „სუფთა ფურცლიდან" დაეწყო, რადგან „ტექნოლოგიური დოპინგით" დამყარებული რეკორდები „მუდმივი" იქნებოდა. მაგრამ ფედერაციაში სჯერათ, რომ რეკორდების განახლება დროის საკითხია, ხოლო ყველაზე მეტად ახალ რეკორდებს გულაღმა მოცურავეები მიუახლოვდნენ. ისტორიული მოვლენა, შესაძლოა, შანხაიში მოხდეს, სადაც სპორტსმენები ოპტიმალურ ფორმაში ჩავლენ.

■ ■ ■

ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა იქნება ოლიმპიური თამაშების 14-გზის ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი**. ლეგენდარულ ამერიკელ მოცურავეს არც ისე წარმატებული პერიოდი უდგას, მაგრამ შანხაიში მაინც მოგებისთვის მიემგზავრება. ფელპსი სეზონის პირველ ნაწილში აშკარად ვერ ბრწყინავდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე მან თავის ერთ-ერთ საყვარელ დისტანციაზე - კომპლექსურ ცურვაში 400 მეტრზე თქვა უარი და ყურადღება გადაიტანა 200 მეტრე თავისუფალი სტილით, ბატერფლაითა და კომპლექსური ცურვით დისციპლინებზე. ის კიდევ სამ ესტაფეტაში აპირებს გამოსვლას, ასე რომ, ფელპსი ჩემპიონატზე მაქსიმუმ ექვს ოქროს უმიზნებს.

26 წლის მაიკლი შეეხო ახალი რეკორდების თემას. მას მიაჩნია, რომ შანხაის აუზში შეწყდება 18-თვიანი „მშრალი სარეკორდო პერიოდი".

*„ყველა ელოდება მოცურავეებისგან მსოფლიოს ახალ რეკორდებს. ჩვენ უფრო სწრაფად ცურვას ვაპირებთ, ვიდრე ეს პეკინში ან მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე გავაკეთეთ. მეც მაქვს დაგეგმილი რამდენიმე ახალი შედეგის დაფიქსირება.*

*მსოფლიოს ჩემპიონატი გვიჩვენებს, ვინ და როგორ ემზადება ოლიმპიადისთვის და დაანახებს ამერიკის ნაკრებს, რა მიმართულებით უნდა გააგრძელოს მუშაობა ლონდონის თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად",* - ამბობს ფელპსი.

■ ■ ■

წყალში ხტომაში დიდი ხანია ჩინელი სპორტსმენები დომინირებენ და ისინი აქ მაქსიმალური შედეგის ჩვენებას (10 ოქროს მოგება) აპირებენ. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ უკვე გადაიდგა. მსოფლიოს ჩემპიონატი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონული ხტომებით გაიხსნა და ჩინეთმა დაგეგმილი ოქრო მოიპოვა.

**ვუ მინსიასა** და **ჰე ცის** დუეტის უპირატესობა უდიდესი იყო - ჩინურმა წყვილმა უახლოეს მდევარს 40 ქულაზე მეტი მოუგო. ეს იგივეა, რომ 100 მეტრზე სირბილში ერთმა სპრინტერმა მეორეს ათი მეტრი მოუგოს.

გუშინ კი ჩინელმა კაცებმაც გამოიჩინეს თავი - **კვი ბოსა** და **ჰუო ლიანის** დუეტმა 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში არავის დაუთმო პირველობა.

**წყალში ხტომა**

**ქალები. სინქრონული. 3 მ.**

1. **ვუ მინსია/ჰე ცი** (ჩინ) - 356,40 ქულა; 2. **ემილი ჰეიმანსი/ჯენიფერ აბელი** (კან) - 313,50; 3. **ანაბელ სმიტი/შარლენ სტრატონი** (ავსტრა) - 306,90...

**კაცები. სინქრონული. 10 მ.**

1. **კვი ბო/ჰუო ლიანი** (ჩინ) - 480,03; 2. **პატრიკ ჰაუსდინგი/საშა კლიაინი** (გერ) - 443,01; 3. **ალექსანდრ გორშკოვოზოვი/ალექსანდრ ბონდარი** (უკრ) - 435,36...

■ ■ ■

გუშინ მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე მედალი სინქრონულ ცურვაში გათამაშდა. თუ წყალში ხტომა ჩინელებისაა, აქ მთლიანად რუსები დომინირებენ.

სოლისტების გამოსვლაში პირველობა არავის დაუთმო **ნატალია იშჩენკომ**. ფინალში მან 98,300 ქულა მიიღო, მეორეზე გასულ ჩინელ **ჰუან სიუჩენს** 96,500 ქულა ჰქონდა, ბრინჯაოს მფლობელ ესპანელ **ანდრეა ფუენტესს** - 95,300 ქულა.

აღსანიშნავია, რომ იშჩენკომ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოქროს მე-11 (!) მედალი მოიპოვა. ასეთი რამ სპორტის ამ სახეობის ისტორიაში არ მომხდარა.


პირველი ჩემპიონები

ფორმულა 1

# ჩემპიონი მენეჯერობას იწყებს

ფორმულა 1-ში არ ყოფილა ისეთი პრაქტიკა, როცა მოქმედ პილოტს მენეჯერობა დაეწყოს და თავისი სავარაუდო თუ მოქმედი კონკურენტების კარიერაზე ეზრუნოს. მაგრამ ახლა გამონაკლისი გახდება „მაკლარენის" ბრიტანელი პილოტი **ჯენსონ ბატონი**, რომელმაც თავის მენეჯერ **რიჩარდ გოდარტთან** ერთად კომპანია The Sports Partnership შექმნა.

*„რა თქმა უნდა, ჯენსონს შეუძლია ფორმულა 1-ის სხვა პილოტის კარიერით დაკავდეს. მას არ სურს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს თავის უშუალო კონკურენტთან, მაგრამ სიამოვნებით დაინტერესდებოდა ახალგაზრდა მრბოლელით, რომელსაც თითქმის არ აქვს „სამეფო რბოლებში" გამოსვლის გამოცდილება.*

*რვა წლის განმავლობაში ვიყავი დაკავებული ჯენსონის კარიერით. ის ფორმულა 1-ში 12 წელია გამოდის და კარგად იცის რას ნიშნავს იყოს მსოფლიო სპორტის ვარსკვლავი. ჯენსონს ეხერხება პრესასთან და სპონსორებთან მუშაობა, ვარჯიშების დაგეგმვა, დიეტის შერჩევა. ახლა ის თავის გამოცდილებას სხვა პილოტებს გაუზიარებს",* - ამბობს რიჩარდ გოდარტი.


ჯენსონ ბატონი

■ ■ ■

„რედ ბულის" ტექნიკური დირექტორი **ედრიან ნიუი** ავტოსპორტის სამყაროში ყველაზე პრესტიჟული ინდივიდუალური ჯილდოს მფლობელი გახდა.

ნიუი დაჯილდოვდა ბოლო 30 წლის განმავლობაში საავტომობილო წარმოებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის. ცერემონია ლონდონში გაიმართა და „რედ ბულის" ტექნიკურ შეფს ჯილდო მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **დეიმონ ჰილმა** გადასცა.

ასე რომ, ნიუი ისეთი დიადი პიროვნებების გვერდით დადგა, როგორებიც არიან: **როს ბრაუნი**, **ფრენკ უილიამსი**, **სტირლინგ მოსი**, **ჯეკი სტიუარტი** და **ბერნი ექლსტოუნი**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# ტურის ბედი ალპებში გადაწყდება

გასულ უქმეებზე გამართული ორი ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში რელიეფი საკმაოდ რთული იყო, ყველასთვის მოულოდნელად ფრანგმა **ტომას ვიოკლერმა** შეინარჩუნა ლიდერის ყვითელი მაისურა.

მე-13 ეტაპის მთავარი მთა იყო უმაღლესი კატეგორიის მწვერვალი კოლ დ'ობისკი. მისი სიმაღლე 1700 მეტრია, აღმართის სიგრძე - 20 კილომეტრი. სტარტიდან 30-ე კილომეტრზე წარმატებული გაქცევა განახორციელეს ცნობილმა ველომრბოლელებმა - **ალესანდრო პეტაკიმ, ტორ ჰუშოვდმა, დავიდ მონკუტიემ** და **ჟერემი რუამ**. მათ კიდევ ხუთმა მრბოლელმა აუბა მხარი. ფინიშამდე 70 კილომეტრით ადრე მათი უპირატესობა ძირითად ჯგუფთან ოთხ წუთს შეადგენდა. მოგვიანებით სხვაობა ექვს წუთამდე ავიდა.

ამასობაში, კოლ დ'ობისკზე ასვლის დრო მოვიდა და აქ ფრანგების აქტიურობის ჯერი დადგა. მწვერვალზე პირველად ასვლის შემთხვევაში რუა „მთის მეფის" მაისურის მფლობელი გახდებოდა. ეს სურვილი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ჟერემი ლიდერთა ჯგუფს გაექცა და მწვერვალამდე პირველმა მიაღწია. მას მისდევდა მონკუტიე, ხოლო მესამე იყო ჰუშოვდი, რომელიც ლიდერთან 100 წამს აგებდა.

ამ მომენტისთვის პელოტონი რუასთან 8 წუთს აგებდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ძირითადი ჯგუფიდან ველარავინ შეძლებდა პოდიუმისთვის ბრძოლას. საბოლოოდ, ასეც მოხდა.

რუა დიდი მონდომებით ცდილობდა თავისი უპირატესობის შენარჩუნებას, ჰუშოვდი კი თანდათან ამცირებდა მონკუტიესთან ჩამორჩენას და დაეწია კიდეც ფრანგს. სანამ ნორვეგიელი მონკუტიეს ებრძოდა, რუამ გარკვეული ხანი უპრობლემოდ შეინარჩუნა კომფორტული უპირატესობა და უკვე თავად დაიჯერა, რომ ფინიშზე პირველი მივიდოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს დაიწყო ჰუშოვდმა კარგად მომზადებული შეტევა, რომელსაც ვერც მონკუტიემ და ვერც რუამ ვერაფერი დაუპირისპირეს.

საფინიშო სწორ მონაკვეთზე პირველი ნორვეგიელი გავიდა, ათი წამის შემდეგ იქ განაწყენებული მონკუტიე გამოჩნდა. განაწყენებული იმიტომ, რომ კოლ დ'ობისკის მთა მან რუასთან წააგო, ეტაპი - ჰუშოვდთან. აღსანიშნავია, რომ ტორი გახდა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში მსოფლიოს პირველი ჩემპიონი, რომელმაც ტურ დე ფრანსის ეტაპის მოგება მოახერხა. „მთის ახალმა მეფემ" ჟერემი რუამ ფინიშის ხაზი 26 წამის შემდეგ გადაკვეთა.

■ ■ ■

მე-14 ეტაპს ყველაზე მეტად ელოდნენ ტურის თაყვანისმცემლები, რადგან ფინიში დაგეგმილი იყო ლეგენდარულ მთაზე - პლატო დე ბეიზე, თუმცა ვერც ამჯერად ვიხილეთ სერიოზული ცვლილებები გენერალურ კლასიფიკაციაში.

ტურის ისტორიაში ოთხჯერ იყო ფინიში პლატო დე ბეიზე და ყოველთვის ეტაპის გამარჯვებული საბოლოოდ, ველომარათონის ტრიუმფატორი ხდებოდა: 1998 წელს - **მარკო პანტანი**, 2002 და 2004 წლებში - **ლენს არმსტრონგი** და 2007 წელს - **ალბერტო კონტადორი**.

პლატო დე ბეის გარდა ამ ეტაპზე სხვადასხვა კატეგორიის სირთულის კიდევ ხუთი მწვერვალი იყო, ამიტომაც მრბოლელებს მოსაწყენად არ ეცალათ. ეტაპის წინ მოქმედმა ჩემპიონმა კონტადორმა განაცხადა, რომ არა მხოლოდ ძმები შლეკებისგან ელოდება შეტევას, არამედ თავადაც აპირებდა საპასუხო დარტყმის შესრულებას.

რა თქმა უნდა, ტრადიციულად იყო რამდენიმე გაქცევა, ბრძოლა სამთო ბონუსებისთვის, მაგრამ ყველაფერი პლატო დე ბეის აღმართზე გადაწყდა. ამ დროისთვის ძმები შლეკები გრეგარების გარეშე იყვნენ დარჩენილები. მათ თავიანთი შეტევებით „გაწელეს" პელოტონი, თუმცა ლუქსემბურგელ ფავორიტებს ბევრი არაფერი გამოუვიდათ. საოცარია, მაგრამ მათ ფონზე ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა ყვითელი მაისურის მფლობელი ტომას ვიოკლერი. „ევროპკარის" ლიდერი ჯერ გრეგარი **პიერ როლანის** დახმარებით, შემდეგ კი მარტო გადიოდა ჯგუფის წინ და პირველი იგერიებდა კონკურენტთა მოკრძალებულ შეტევებს. ამით მან ყველას მიანიშნა, რომ ყვითელი მაისურის დათმობას ასე იოლად არ აპირებს.

შლეკებზე უკეთ ვერც კონტადორი გამოიყურებოდა. სამაგიეროდ, მეორე სუნთქვა გაეხსნა **ივან ბასოს**, რომელმაც ერთხელ ისეთი ტემპი აკრიფა, რომ ვერც ერთმა მეტოქემ შეტევა ვერ გაბედა. ფავორიტთა ჯგუფმა წინ უპრობლემოდ მხოლოდ 26 წლის ბელგიელი **იელე ვანენდერტი** გაატარა, რომელიც საერთო ჩათვლაში ათ წუთზე მეტს აგებდა. მან იოლად მოიპოვა კომფორტული უპირატესობა. ფინიშამდე ოთხი კილომეტრით ადრე იერიშზე **სამუელ სანჩესიც** გადავიდა და ძირითადმა ჯგუფმა ისიც მშვიდად გაუშვა. ცხადი იყო, რომ ესპანელი ძალიან შორს ვერ წავიდოდა, ამიტომაც გენერალური კლასიფიკაციის მერვე ნომრისთვის განსაკუთრებით დალლა არ ღირდა. სანჩესმა ბელგიელის დაწევა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა და ვანენდერტმა კარიერაში პირველად მოიგო ტურის ეტაპი.

რაც შეეხება ძირითად ჯგუფში ბრძოლას, ანდი შლეკმა კონკურენტებს მიზერული ორი წამი მოუგო, საერთო ჩათვლაში კი სანჩესმა ადგილი გაუცვალა **დამიანო კუნეგოს**. საერთო ჯამში კი, ეტაპმა არ გაამართლა მაყურებლის მოლოდინი. შესაძლოა, ალპებში უფრო მეტი მხიარულება იქნება.

### XIII ეტაპი

1. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, GRM) - 3.47,36; 2. **დავიდ მონკუტი** (საფ, COF) - +0,10; 3. **ჟერემი რუა** (საფ, FDJ) - +0,26; 4. **ლარ ბაკი** (დან, THR) - +5,00; 5. **ჟერომ პინო** (საფ, QST) - +5,02; 6. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, SKY) - +5,03... 17. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - +7,37... 19. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 24. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - იგივე დრო... 25. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - იგივე დრო; 26. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - იგივე დრო; 27. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - იგივე დრო... 38. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - იგივე დრო... 42. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 49. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - იგივე დრო... 54. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - იგივე დრო...

### XIV ეტაპი

1. **იელე ვანენდერტი** (ბელ, OLO) - 5.13,25; 2. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +0,21; 3. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +0,46; 4. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,48; 5. **რიგობერტო ურანი** (კოლ, SKY) - იგივე დრო; 6. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - იგივე დრო; 7. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - იგივე დრო; 8. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო... 11. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - იგივე დრო... 12. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +1,27... 39. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +9,45... 68. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - +17,03...

### საერთო ჩათვლა

1. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - 61.04,10; 2. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +1,49; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +2,06; 4. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,15; 5. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +3,16; 6. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +3,44; 7. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +4,00; 8. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +4,01... 25. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +16,48...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ტომას ვიოკლერი



## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**მს. ჩემპიონატი**

**ქალები. III ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| შვედეთი-საფრანგეთი | 2:1 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| იაპონია-აშშ | 1:1 პენ. 3:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| არმინია-სანდერლენდი | 1:1 |
| ჰემილტონი-ჰადერსფილდი | 1:2 |
| პანათინაიკოსი-კიოლნი | 1:2 |
| ბრიუგე-ლევერკუზენი | 2:1 |
| მეხელენი-უტრეხტი | 2:1 |
| ჰანოვერი-ჰაპოელი (თ-ა) | 1:2 |
| ფერლი-პორტუ | 1:3 |
| ბორდო-აიაჩო | 2:1 |
| ლეხი-მანიშა | 0:0 |
| ლოკერენი-ესქისეჰირი | 1:2 |
| ბენფიკა-ანდერლეხტი | 2:2 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუე-ალემანია | 1:0 |
| სტ. პაული-ინგოლშტადტი | 2:0 |
| ბრაუნშვაიგი-მიუნხენი | 3:1 |
| ჰანზა-პადერბორნი | 1:2 |
| კარლსრუე-დუისბურგი | 3:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოდენსე-ნორდსილანდი | 2:0 |
| მიდტიულანდი-სილკებორგი | 1:2 |
| ჰორსენსი-კიოგე | 3:0 |
| სონდერიისკი-კოპენჰაგენი | 0:2 |
| ბრონდბიუ-ოლბორგი | 2:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სიოგნდალი-სარპსბორგი | 1:0 |
| მიოლდე-ჰაუგესუნდი | 3:1 |
| სტაბეკი-რუსენბორგი | 2:1 |
| სტრიომსგოდსეტი-სტარტი | 3:0 |
| ვიკინგი-ოლესუნდი | 1:0 |
| ტრომსიო-ვოლერენგა | 4:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრინი-ჰიოდი | 0:1 |
| ალტა-მიონდალენი | 4:1 |
| ბოდო გლიმტი-ნილი | 3:0 |
| ჰამ კამი-სანდნესი | 2:2 |
| ჰიონეფოსი-კონგსვინგერი | 2:1 |
| ლოვ ჰამი-რანდაბერგი | 4:3 |
| რანჰაიმი-ასკერი | 4:0 |
| სტრიომენი-სანდეფიორდი | 0:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გაის-ერებრუ | 4:1 |
| გეფლე-აიკ | 0:3 |
| ჰალმსტადი-ელფსბორგი | 1:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ასირისკა-ვარნამო | 0:1 |
| დეგერფორსი-სუნდსვალი | 0:2 |
| იონჩოპინგი-ბრაგე | 3:0 |
| ლიუნგსკილე-ანგელჰოლმი | 1:2 |
| ვასტერასი-კვიდინგი | 2:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰიკ-ვაასა | 3:0 |
| კუოპიო-იარო | 1:1 |
| როვანიემი-ჰონკა | 1:2 |
| ტურკუ-მარიეჰამნი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| პოპა-კტპ | 1:2 |
| კპვ-ჰამეენლინა | 0:3 |
| ოპს-ლაჰტი | 1:1 |
| პკპს-ჰიფკ | 3:2 |
| ვიიკინგიტ-ესპოო | 1:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-ვინერი | 1:2 |
| რაპიდი-ადმირა | 2:0 |
| რიდი-შტურმი | 1:1 |
| კაპფენბერგი-ვაკერი | 2:3 |
| ზალცბურგი-აუსტრია | 2:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| სიონი-ციურიხი | 1:0 |
| იანგ ბოიზი-ბაზელი | 1:1 |
| ქსამაქსი-ლუცერნი | 0:3 |
| სერვეტი-თუნი | 1:2 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| სტიარნანი-ბრეიდაბლიკი | 3:2 |
| გრინდავიკი-ვესტმანაიეარი | 2:0 |
| ჰაფნარი-ფილკირი | 2:2 |
| რეიკიავიკი-ვალური | 1:1 |

**რუსეთის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლ. ენერგია-კრილია | 0:0 დ.დ. 1:0 |
| ენისეი-ლოკომოტივი | 0:2 |
| მეტალურგი (კ)-ამკარი | 0:1 |
| ურალი-რუბინი | 0:0 პენ. 0:1 |
| ისტრა-სპარტაკი | 0:1 |
| მეტალურგი (ლ)-ტომი | 0:1 |
| ხიმკი-ზენიტი | 2:3 |
| მორდოვია-დინამო (მ) | 0:5 |
| შინიკი-ვოლგა | 0:1 |
| დინამო (ბრ)-ჟუჩანი | 1:1 დ.დ. 3:1 |
| ჟემჩუჟინა-როსტოვი | 1:2 |
| გაზპრომი-ცსკა | 1:0 |
| ტორპედო (ვ)-ნალჩიკი | 3:0 |
| ვოლგა-ანჟი | 0:3 |
| ნ. ნოვგოროდი-ტერეკი | 0:2 |
| ფაკელი-კრასნოდარი | 2:1 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| მეტალისტი-ზორია | 3:2 |
| ოლექსანდრია-დინამო | 1:3 |
| მეტალურგი-შახტარი | 0:2 |
| ვოლინი-ტავრია | 2:2 |
| კარპატი-ჩერნომორეცი | 1:1 |
| ობოლონი-ვორსკლა | 0:1 |
| არსენალი-ილიჩივეცი | 0:0 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-ნიტრა | 1:2 |
| შენიცა-ტატრანი | 3:0 |
| მორავცე-რუჟემბეროკი | 1:0 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| მარიბორი-გორიცა | 1:2 |
| მურა-კოპერი | 1:0 |
| ტრიგლავი-ნაფტა | 2:1 |
| რუდარი-დომჟალე | 0:2 |
| ოლიმპია-სელიე | 0:3 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| დიოშდიორი-ზალაეგერსეგი | 4:1 |
| პეჩი-ჰალადაში | 1:0 |
| უიპეშტი-ლომბარდ პაპა | 0:1 |
| ჰონვედი-დიორი | 1:2 |
| კაპოშვარი-ფერენცვაროში | 2:2 |
| პაკსი-კეჩმეკეტი | 3:2 |

**რუმინეთი**

**სუპერთასი**

| | |
|---|---|
| ოცელული-სტიაუა | 1:0 |

**ესტონეთი**

| | |
|---|---|
| ტრანსი-ფლორა | 1:1 |
| ვილიანდი-პაიდე | 1:1 |
| კალიუ-აიაქსი | 3:0 |
| ტამეკა-კურესაარე | 1:0 |
| ლევადია-კალევი | 3:2 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| ოლიმპსი-მეტალურგსი | 0:3 |
| იურმალა-იეგლავა | 2:0 |
| გულბენე-დაუგავა | 2:4 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ატ. გოიანენზე-ავაი | 0:1 |
| კურიტიბა-ფლუმინენსე | 3:1 |
| ვასკო-ატ. პარანაენსე | 2:1 |
| სანტოსი-ატ. მინეირო | 2:1 |
| სეარა-ამერიკა | 4:0 |
| კრუზეირო-ბაია | 2:1 |
| ინტერნასიონალი-სან პაულუ | 0:3 |

**აშშ**

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-სან ხოსე | 0:0 |
| ჰიუსტონი-კანზასი | 1:1 |
| ჩიკაგო-პორტლენდი | 0:1 |
| დალასი-დი სი იუნაიტედი | 0:0 |
| ჩივასი-ნიუ იორკი | 0:0 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| შიმიცუ-ნიიგატა | 2:1 |
| კოფუ-გამბა | 4:3 |
| კავასაკი-კაშივა | 3:2 |
| კობე-სერეზო | 4:1 |
| კაშიმა-ვეგალტა | 3:0 |
| ივატა-ურავა | 1:1 |
| ომიია-იოკოჰამა | 1:1 |
| იამაგატა-ნაგოია | 0:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. შტუტგარტი**

| | |
|---|---|
| დელ ბონისი-**ფერერო** | 6:3, 4:6, 4:6 |
| ანდუხარი-კუბოტი | 6:4, 3:6, 6:4 |
| ფერერო-ანდუხარი | 6:4, 6:0 |

**ATP. ბაშტადი**

| | |
|---|---|
| **სიოდერლინგი**-ბერდიხი | 6:1, 6:0 |
| ალმაგრო-**ფერერი** | 1:6, 3:6 |
| **სიოდერლინგი**-ფერერი | 6:2, 6:2 |

**WTA. ბად გაშტეინი**

| | |
|---|---|
| სუარ. ნავარო-**კ. ბონდარენკო** | 2:6, 1:6 |
| პოუს ტიო-**პერვაკი** | 2:6, 6:7 |
| პერვაკი-**მეირ ახლაიტნერი** | 0:6, 0:6 |
| **მარტ. სანჩესი**-კ. ბონდარენკო | 6:1, 7:6 |
| **მარტინ. სანჩესი**-მეირ ახლაიტ. | 6:0, 7:5 |

**WTA. პალერმო**

| | |
|---|---|
| ჩეტკოვსკა-**მედინა გარიგესი** | 5:7, 3:6 |
| პენეტა-**ჰერცოგი** | 2:6, 2:6 |
| ჰერცოგი-**მედინა გარიგესი** | 3:6, 2:6 |

## TV პროგრამა

### 18 ივლისი. ორშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. ბრაზილია-პარაგვაი. არგენტინა.
12:00 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. ჩილე-ვენესუელა. არგენტინა.
14:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ინტერნაციონალი-სან პაულუ.
16:00 ამხანაგური მატჩი. კაიზერ ჩიფსი (ს. აფრიკ)-ტოტენჰემი (ინგლისი).
18:00 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. კოლუმბია-პერუ. არგენტინა.
20:30 კოპა ამერიკა 2011. მიმოხილვა.
21:00 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. არგენტინა-ურუგვაი. არგენტინა.
00:00 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. ბრაზილია-პარაგვაი. არგენტინა.
02:00 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. ჩილე-ვენესუელა. არგენტინა.

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კურიტიბა-ფლუმინენსე.
12:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ლეიკერსი-ჰიუსტონი.
14:30 ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ნიურნბერგი. გერმანია.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შვედეთის ღია პირველობა. წყვილები. ფინალი. ბაშტადი. შვედეთი.
20:00 ჩოგბურთი ATP. შვედეთის ღია პირველობა. ფინალი. რობინ სიოდერლინგი-დავიდ ფერერი. ბაშტადი. შვედეთი.
22:30 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ლეიკერსი-ჰიუსტონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



# ნოლე სან ტროპეში

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** თავის მეგობარ გოგონასთან - **ელენა რისტიჩთან** ერთად სან-ტროპეში ისვენებს. სწორედ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გადაწყვიტა ამერიკული სერიის ტურნირებამდე დროის გატარება უიმბლდონის ჩემპიონმა.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ჯოკოვიჩმა აღიარა, რომ დაქორწინებას აპირებს. *„ჩემი თამაშისთვის ეს ძალიან კარგი იქნება,* - დარწმუნებულია სერბი ჩოგბურთელი. - *როჯერ ფედერერი უფრო ლაღად ათამაშდა მას შემდეგ, რაც დაქორწინდა და შვილები გაუჩნდა. იქნებ მეც გამომადგეს ასეთი გამოცდილება“.*

ფორმულა 1

# ლუისი ცოლს ირთავს



გაზეთმა „დეილი მეილმა“ გამოაქვეყნა ცნობილი მომღერლის **ნიკოლ შერცინგერის** მამის - **ალფონსო ვალიენტეს** განცხადება იმის შესახებ, რომ მის ქალიშვილს ხელი სთხოვა „მაკლარენის“ პილოტმა **ლუის ჰემილტონმა**. ბრიტანელი ავტომრბოლი და ნიკოლი 2007 წლიდან იცნობენ ერთმანეთს.

*„ჩემი მომავალი სიძე - კარგი ბიჭია. ჩვენს ოჯახში ის ყველას მოსწონს“*, - ამბობს ვალიენტე.

ალფონსო ჰემილტონს გასულ ზაფხულს შეხვდა, როცა წყვილი ერთი კვირა ნიკოლის სამშობლოში - ჰავაის კუნძულებზე ისვენებდა. *„ის ძალიან გულწრფელი ადამიანია და ისინი ძალიან ბედნიერად გრძნობენ თავს“*, - განაცხადა მომღერლის მამამ.

თავად ლუისი და ნიკოლი კომენტარისგან თავს იკავებენ. ჭორების მიხედვით, პილოტი და მომღერალი მსოფლიოს ჩემპიონატში გათვალისწინებული ერთთვიანი პაუზის დროს დაქორწინდებიან.

ოთხწლიანი რომანის განმავლობაში ჰემილტონი და შერცინგერი ერთადერთხელ მცირე ხნით დაშორდნენ ერთმანეთს.

ამბები

ოლიმპიზმი

## ტოკიომ ბრძოლა გადაწყვიტა

იაპონიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ცუნეკაზუ ტაკედამ** ოფიციალურად დაადასტურა, რომ ტოკიო 2020 წლის ზაფხულის თამაშების ორგანიზებისთვის იბრძოლებს. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ იაპონია შეძლებს უმძიმესი ცუნამისა და მიწისძვრის შემდეგ ფეხზე დადგომას და ზაფხულის თამაშებისთვის ღირსეული მასპინძლობის გაწევას.

ამ მომენტისთვის საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ოფიციალური განცხადება მხოლოდ ორმა ქალაქმა - რომმა და მადრიდმა შეიტანა. სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში იგივეს გააკეთებს სტამბოლი.

ჩოგბურთი

## საგაისო კონტურები გამოიკვეთა

გუშინ იაპონიაში გაიმართა ფედერაციის თასის 2012 წლის გათამაშების წილისყრა. შედეგად მეოთხედფინალში მსოფლიო ჯგუფის მონაწილეები ასე დაწყვილდნენ:

**რუსეთი-ესპანეთი**
**ბელგია-სერბეთი**
**იტალია-უკრაინა**
**გერმანია-ჩეხეთი**

მეორე მსოფლიო ჯგუფში წყვილები ასე გამოიყურება:

**აშშ-ბელარუსი**
**იაპონია-სლოვენია**
**სლოვაკეთი-საფრანგეთი**
**შვეიცარია-ავსტრალია**

პირველად მითითებულია ქვეყნები, რომლებიც მატჩებს უმასპინძლებენ, თუმცა ბელგია-სერბეთისა და აშშ-ბელარუსის წყვილებში მასპინძელი წილისყრით გაირკვევა.

კალათბურთი

# შოკი: შაკი მკვლელია?

შოკისმომგვრელი ინფორმაცია გავრცელდა ლოს ანჯელესიდან. **შაკილ ო'ნილის** ყოფილმა მეგობარმა **რობერტ როსმა** ლეგენდარული ცენტრი მკვლელობასა და ადამიანების გატაცებაში დაადანაშაულა! როსის თქმით, ო'ნილი პირადად გასცემდა მისთვის არასასურველი ადამიანების „მოშორების“ ბრძანებებს - წერს Sporting News. უნდა აღინიშნოს, რომ თავად როსი ერთ-ერთი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი გახლავთ.

ერთ დროს შაკის საუკეთესო მეგობარი აცხადებს, რომ კალათბურთელი სხვადასხვა დროს მოითხოვდა მუსიკალური პროდიუსერის, კრიმინალური ავტორიტეტისა და უცნობი ქალის მოკვლას, რომელიც მისგან დაფეხმძიმდა.

ლოს ანჯელესის სასამართლოში შეტანილ განცხადებაში როსმა ისიც აღნიშნა, რომ შაკმა რამდენიმე მკვლელობა და აგრეთვე შეიარაღებული თავდასხმა შეუკვეთა იმ ადამიანებზე, რომლებსაც ის ვერ ეწყობოდა.

და ეს არ არის ყველაფერი. როსის მტკიცებით, ო'ნილმა ერთხელ NBA-ის ერთ-ერთი მოთამაშისთვის „სამუშაო“ ხელის მოტეხა მოითხოვა (**კობი ბრაიანტის** ხომ არა?).

შეგახსენებთ, რომ ადრე მუსიკალური პროდიუსერი როსი ჩიოდა იმის გამო, რომ მისი სახლიდან გაქრა ფირი, რომელზეც შაკილის სექსუალური თავგადასავლები იყო აღბეჭდილი. მაშინ როსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მის სახლში დამონტაჟებულმა უსაფრთხოების კამერამ გადაიღო მომენტი, როცა შაკი უცნობ ქალთან სექსით იყო დაკავებული.

ბუნებრივია, შაკილის ადვოკატმა ყველაფერი უარყო. მისი თქმით, ო'ნილი როსს მხოლოდ იმის გამო დაუმეგობრდა, რომ ის სწორ გზაზე დაეყენებინა. როგორც ჩანს, „დიზელს“ ეს არ გამოუვიდა.

# დერონი ბეშიქთაშისაა, მაგრამ...


დერონ უილიამსი

როგორც მოსალოდნელი იყო, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სუპერვარსკვლავმა **დერონ უილიამსმა** ოფიციალურად გამოაცხადა „ბეშიქთაშთან“ კონტრაქტის გაფორმების შესახებ.

ერთწლიანი ხელშეკრულება ითვალისწინებს გამთამაშებლის დაუყოვნებლივ „ნიუ ჯერსი ნეტსში“ დაბრუნებას - როგორც კი NBA-ში ლოკაუტი დასრულდება. ESPN-ის ინფორმაციით, თურქეთში დერონის ხელფასი თვეში 500 ათასი დოლარი იქნება. უახლოეს დღეებში ამერიკაში გაიმართება პრესკონფერენცია, რომელიც ამ მოვლენას მიეძღვნება. სავარაუდოდ, უილიამსი სტამბოლურ კლუბს სექტემბერში შეუერთდება.

ცნობილია, რომ „ბეშიქთაშს“ NBA-ის კიდევ ერთი სუპერვარსკვლავის შეძენა სურდა, მაგრამ, როგორც ჩანს, **კობი ბრაიანტს** არ ხიბლავს თურქეთში გადასვლის პერსპექტივა. არადა, კლუბის ხელმძღვანელობა ზუსტად ისეთი ხელფასის გადახდას აპირებდა „ლეიკერსის“ ლიდერისთვის, რასაც დერონ უილიამსი მიიღებს.

თუმცა წინადადება ძალაშია და კობის ნებისმიერ დროს შეუძლია თანხმობა განაცხადოს.

**P.S.** გუშინ, გვიან ცნობილი გახდა, რომ „ბეშიქთაშს“ სერიოზული პრობლემები შეექმნა. კერძოდ, ფეხბურთში ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებული სკანდალის გამო კლუბის ფინანსური ანგარიშები დაყადაღებულია. ასე რომ, უილიამსის გაფორმების პროცესი შეიძლება შეფერხდეს ან საერთოდ ჩაიშალოს.

■ ■ ■

„მაიამი ჰიტის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **დუეინ უეიდმა** ორივე თვალზე ოპერაცია გაიკეთა. ამ პროცედურის წყალობით ფლორიდელ ვარსკვლავს აღარ დასჭირდება სათვალე ან კონტაქტური ლინზები.

გასულ სეზონში „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ შვიდგზის მონაწილე საშუალოდ მატჩში 25.5 ქულასა და 6.4 მოხსნას აგროვებდა.

■ ■ ■

ევროპის ჩემპიონატზე სერიოზული დანაკლისი ექნება ლატვიის ნაკრებს. მას მეზობელ ლიტვაში ორი ლიდერის **ანდრის ბიედრინშისა** და **კრისტაპს იანიჩენოკსის** გარეშე მოუწევს თამაში.

როგორც იცით, „გოლდენ სტეიტის“ ცენტრმა ბიედრინშმა 2010-11 წლების სეზონის დიდი ნაწილი მრავალრიცხოვანი ტრავმების გამო გამოტოვა და არ არის ფიზიკურ ფორმაში. რაც შეეხება რიგის VEF-ის წამყვან მოთამაშეს იანიჩენოკს, მან ვერ მოასწრო ტრავმის შემდეგ აღდგენა.

ევრობასკეტზე ლატვიელები B ჯგუფში სერბეთის, იტალიის, გერმანიის, ისრაელისა და საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებენ.

ჩოგბურთი

# ალისა სიკვდილს შეებრძოლება


ალისა კლეიბანოვა

რუსმა ჩოგბურთელმა **ალისა კლეიბანოვამ** WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე ღია წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც მადლობას უხდის თავის თაყვანისმცემლებს დაბადების დღის მილოცვისთვის. აგრეთვე რუსი სპორტსმენი ხსნის მის კარიერაში ხანგრძლივი პაუზის მიზეზებს.

*„ძალიან მძიმეა ამის აღიარება, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ურთულესი პერიოდი დადგა. ექიმებმა ჰოჯკინის ლიმფონას დიაგნოზი დამიფიქსირეს. ეს არის კიბოს დაავადების ერთ-ერთი ფორმა. ამ მომენტისთვის მკურნალობის კურსს გავდივარ იტალიაში - აქ ბევრი მეგობარი მყავს, რომლებიც ყოველთვის ჩემს გვერდით არიან და მხარს მიჭერენ. ძალიან მენატრება ჩოგბურთი, რადგან ბოლო 15 წლის განმავლობაში ის ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ყოველთვის ძლიერი პიროვნება ვიყავი, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არასოდეს გადამიტანია. შესაბამისად, წინ ურთულესი პერიოდი მელის და იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება. ავადმყოფობის მიუხედავად, ძალიან მხიარულად აღვნიშნე საკუთარი დაბადების დღე და მინდა ყველას მადლობა გადავუხადო თბილი სიტყვებისთვისა და მილოცვებისთვის“*, - დაწერა ალისამ.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ტურნირი კლეიბანოვამ აპრილში რომის გრუნტის კორტებზე ითამაშა.

მძლეოსნობა

# ბოლტი 310 ათასი ღირს


უსაინ ბოლტი

„ბრილიანტის ლიგის“ სტოკჰოლმის ეტაპში (29 ივლისი) მონაწილეობისთვის მსოფლიოს უსწრაფესმა ადამიანმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **უსაინ ბოლტმა** ორგანიზატორებისგან 2 მილიონი შვედური კრონა (310 ათასი დოლარი) მიიღო.

შვედური ტურნირის დირექტორმა **რაიან სოდერბერგმა** განაცხადა, რომ მოლაპარაკებები საკმაოდ ხანგრძლივი იყო და ბოლოს მხარეებმა მაინც შეათანხმეს გარიგების ფინანსური დეტალები. საორგანიზაციო კომიტეტს მიაჩნია, რომ იამაიკელის მიწვევა ხარჯიანი იდეაა, მაგრამ ეს ფული არ იქნება წყალში გადაყრილი.

ამასთან, სახელოვანი სპრინტერის დასაპატიუებელი თანხა წინასწარ იყო ჩადებული ტურნირის ბიუჯეტში. შეგახსენებთ, რომ ბოლტი შარშანაც გამოდიოდა „ბრილიანტის ლიგის“ ამ ეტაპზე და 100 მეტრზე გარბენი წააგო ამერიკელ **ტაისონ გაისთან**. ეს უკანასკნელი ახლა ტრავმირებულია, ასე რომ, ბოლტი ვერ შეძლება შარშანდელი მარცხისთვის რევანშის აღებას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**